

კამერონ დიასი
ველური ბუნების წიაღში
B3



დიდი
თურქობის წინ
B4



"თქვენი აფხაზეთი"
B6


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 30 მარტი, 2005 წელი. №71 (931)

ფასი 50 თეთრი

# უფრთხილდით მოსკოვის ხაფანგებს

## შეთანხმებაში საქართველოდან ჯარების გაყვანის შესახებ



ვლადიმერ სოკორი

საქართველოს პარლამენტმა 10 მარტს რეზოლუცია მიიღო, რომელიც, იმ შემთხვევაში, თუ მოსკოვი და თბილისი 2005 წლის 15 მაისამდე სამხედრო ძალების გაყვანის "გონივრულ ვადებზე" შეთანხმებას ვერ მიაღწევენ, საქართველო რუსეთისგან 2006 წლის 1 იანვრამდე მისი ტერიტორიიდან სამხედრო ძალების დაუყონებლივ გაყვანას მოითხოვს.

საქართველო უსაფრთხოდ იქნება, თუ ყოველგვარი პოლიტიკური პირობის გარეშე, ბაზების გაყვანა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუციით დადგენილ დროში მოხდება. მაგრამ რისკი იქნება, თუ ის სამხედრო ბაზების გაყვანაზე რუსეთთან მოლაპარაკებების წარმოებას ეცდება, რითაც ამ უკანასკნელს საკითხის სხვა პრობლემებთან დაკავშირების საშუალებას მისცემს. ასეთ შემთხვევაში, რუსეთი კვლავ გაწელავს მოლაპარაკებათა პროცესს და თბილისზე ზეგავლენის მოხდენას ან მის მოხიბვლას ეცდება, რომ მისთვის სასურველ დოკუმენტზე მოაწერინოს ხელი.

ბალტიის ქვეყნების 14 წლის გამოცდილების ფონზე, მოსკოვისგან ნამდვილად მოსალოდნელია, რომ საქართველოდან ჯარების გაყვანის თაობაზე პოლიტიკურ შეთანხმებაში, ჯარების გაყვანის არსის უგულებელყოფის და სამხედრო ყოფნის გარანტიების მიღების მიზნით, სულ ცოტა 6 ხაფანგი ჩადოს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ყაზახეთი საქართველოს ტრანზიტული პოტენციალით არის დაინტერესებული

*30-31 მარტს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოფიციალური ვიზიტით ყაზახეთს ეწვევა. ოფიციალურ დელეგაციასთან ერთად ასტანაში საქართველოს საქმიანი წრეების წარმომადგენლები გაემგზავრებიან. მომავალ ვიზიტზე და საქართველოსა და ყაზახეთის ურთიერთობის პერსპექტივებზე "24 საათს" საქართველოში ყაზახეთის დროებითი რწმუნებული, ელჩი ნაირიზ აიდაროვი ესაუბრა:*

- პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ ყაზახეთის სახელმწიფოს ინტერესი საქართველოს სახელმწიფოსადმი განპირობებულია მისი სტრატეგიული ადგილმდებარეობით, ასევე, ვადასტურებ, რომ საქართველოს დიდი ტრანზიტული პოტენციალი აქვს. საქართველომ მომავალში დიდი ტრანზიტული ტვირთების გატარება უნდა შეძლოს, როგორც ევროპიდან აზიაში, ასევე აზიიდან ევროპაში.

გაგრძელება A6 გვერდზე



ვახო ხაკალიას ფოტო

*ნაირიზ აიდაროვი საქართველო-ყაზახეთის თანამშრომლობის პერსპექტივების შესახებ საუბრობს.*






იხილეთ B3 გვერდზე

## სამართალი

### ომბუდსმენი სამართალდამცველებს ქისტების უკანონო დეპორტაციაში ადანაშაულებს



საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ორი კვირის მანძილზე იკვლევდა წარმოშობით ქისტი ძმების, ცათიაშვილების უკანონო დეპორტაციის საკითხს, რომლებიც რუსეთის მოქალაქეები არიან და გროზნოში ცხოვრობდნენ.

A7

ბანკი რესპუბლიკა

### პირველად ამიერკავკასიაში

ბანკმა "რესპუბლიკამ" საერთაშორისო კომერციული ბანკისგან 4 მილიონ დოლარიანი საკრედიტო ხაზი მიიღო

A3

**მიიღეთ მონაწილეობა "24 საათის" და მისი პარტნიორი ავიაკომპანია "ბრითიშ ეარვეიზის" ერთობლივ კონკურსში – ვიქტორინა-ლატარიაში და მოიგეთ ორი ბილეთი ლონდონის მიმართულებით!**

**ვიქტორინის შეკითხვები და კონკურსში მონაწილეობის პირობები იხილეთ B5 გვერდზე.**

## ამინდი

| | 30/3 | 31/3 | 1/4 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 17 | 13 | 12 |
| ქუთაისი | 11 | 12 | 8 |
| ბათუმი | 11 | 6 | 5 |
| სოხუმი | 9 | 10 | 7 |
| ფოთი | 11 | 10 | 5 |
| თელავი | 14 | 11 | 11 |
| ზუგდიდი | 10 | 12 | 8 |
| გორი | 10 | 6 | 4 |
| ახმეტა | 15 | 12 | 12 |
| ჭიათურა | 9 | 8 | 6 |
| გაგრა | 12 | 14 | 10 |
| სამტრედია | 12 | 11 | 7 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8400 |
| ევრო | 2.3795 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4474 |
| რუბლი | 0.0661 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| რეკლამა | A4 | სპორტი | B4 |
| რეკლამა | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | პროექტი | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| საზოგადოება | A8 | სხვადასხვა | B8 |


## ბიუჯეტის პროექტი საპარლამენტო კომიტეტებში "მოგზაურობს"

გიორგი ასანიშვილი

**"ისე მივეჩვიეთ პროფიციტულ ბიუჯეტს, რომ ზოგჯერ გვგონია, თითქოს, სულ ასე იყო,"** - აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას იწონებს საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი. სამთავრობო გუნდის წევრი, ფინანსთა მინისტრი ვალერი ჩეჩელაშვილი ქებას იფერებს, ამასთან, მდგომარეობას პრაგმატულად აფასებს.

**"თავისთავად, არც ის არის კარგი, რომ პროფიციტული ბიუჯეტი გვაქვს - გამოდის, ჩვენი შესაძლებლობების ზუსტად გათვლა არ შეგვიძლია,"** - შენიშნავს ჩეჩელაშვილი, რომელიც იქვე დასძენს, რომ საკუთარი შესაძლებლობების გადამეტებულ შეფასებას ისევ "ფრთხილი გათვლები" სჯობია.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის გუშინდელმა სხდომამ, რომელზეც 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტი იხილებოდა, ზედმეტი ვნებათაღელვის გარეშე ჩაიარა, საგარეო საქმეთა მინისტრის მისამართით კოტე გაბაშვილის მიერ ნასროლ ტრადიციულ რეპლიკებს თუ არ ჩავთვლით.

**"ქალბატონ სალომეს, თურმე, საათის გადაწევა ვერ გაუთვალისწინებია და ჩვენს სხდომას ამიტომ არ ესწრება,"** - ასე "ახსნა" გაბაშვილმა საბიუჯეტო განხილვაზე სალომე ზურაბიშვილის არყოფნა. საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს განწყობა, ალბათ, კიდევ უფრო დაუმძიმდებოდა, როდესაც შეიტყობდა, რომ გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრი ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სხდომას დაესწრო.

მეორე რეპლიკა, რომელიც გაბაშვილის მიერ დიპლომატიური უწყების ხელმძღვანელის მისამართით გაისმა, საზღვრის დაცვის სტრუქტურების დაფინანსებას შეეხებოდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## აფხაზეთის ოპოზიცია პრესაზე ზეწოლას აპროტესტებს

### აფხაზეთის ოპოზიცია ხელისუფლებას მოუწოდებს, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა არ დაუშვას

ზურაბ აფხაზავა
*სოხუმიდან*

სახალხო ერთობის ფორუმმა გაავრცელა განცხადება, რომლის მეშვეობითაც, ფორუმში გაერთიანებული ათამდე პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენლები აფხაზეთის ხელისუფლებას აფრთხილებენ, შეწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობები. აღნიშნულ ფორუმში შემავალი პოლიტიკური ორგანიზაციები საპრეზიდენტო არჩევნების დროს არძინბას ხელისუფლებას უჭერდნენ მხარს, დღეს კი საკუთარ თავს ახალ ოპოზიციად მიიჩნევენ.

საქმე კი ის არის, რომ რამდენიმე დღის წინ, ერთადერთი ოპოზიციური გამოცემის, გაზეთ "Новый день"–ის ერთ-ერთი დამფუძნებელი სერგეი არტიუნოვი შინაგან საქმეთა მინისტრის ოთარ ხეციას კაბინეტში დაიბარეს. არტიუნოვთან საუბრისას ხეცია ცდილობდა გაერკვია, ვინ არის ფსევდონიმით ხელმოწერილი ზოგიერთი საგაზეთო მასალის რეალური ავტორი. გარდა ამისა, როგორც ზემოთ ხსენებული გაზეთის თანამშრომლები ირწმუნებიან, შინაგან საქმეთა მინისტრი ზოგადად გაზეთის ორიენტაციით უკმაყოფილებას არ მალავდა.

გაგრძელება A8 გვერდზე

დიმიტრი ავალიანის სვეტი

# ჟანრის კრიზისი

როგორც ბოლო დღეებმა აჩვენა, საქართველოში ოპოზიცია, როგორც ჟანრი, მძიმე კრიზისს განიცდის. ამჟამად ერის გადარჩენისა და მასების აყოლიების იდეების გამალებული ძიება მიმდინარეობს.

"ახალმა მემარჯვენეებმა" საკუთარი ნიშა თბილისის მერის კრიტიკაში და მერის არჩევნების მოთხოვნაში იპოვეს. ეს გასაგებია – სადაც არჩევნებია, იქ წინასაარჩევნო კამპანიაა, იქ არის "ექიმი-მეწარმე-ლიდერი", ლოზუნგები და საზოგადოების რაღაც ყურადღება მაინც. თუმცა მანამდე იყო ჰაგიოგრაფიის თემა, რომელმაც, საკითხის სპეციფიურობის გამო, საჭირო ხმაური ვერ დაიმსახურა და კამპანიაც ჩაცხრა.

ლეიბორისტები ამაოდ ებლანდებიან ფეხებში პროტესტის გამოსახატად ქუჩაში გამოსულ იმ ადამიანებს, ვისაც სამუშაო ადგილის შენარჩუნება უნდათ და ისევე აინტერესებთ ეროვნული ფასეულობების შემლახველი "სოროსის ლაქიები", როგორც მოირიგი მიწისძვრა ტაილანდში.

ედპ-ს გარშემო დღეს შეკრებილი პუბლიკა კი უკვე იმაზე მსჯელობას შეუდგა, თუ რას გააკეთებენ არსებული ხელისუფლების წასვლის შემდეგ. ალბათ, მისი მოსალოდნელი წასვლის შესახებ მათ უტყუარი ცნობები გააჩნიათ. თუმცა საუბრები არსებული ხელისუფლების "დემონტაჟზე" მათი მხრიდან პარალიზებული ბავშვის კოსმონავტობაზე ოცნებას ჰგავს. მძიმე სიციალური ფონის პირობებშიც, თუნდაც იმ შემთხვევაშიც, თუ ხელისუფლება ყველა შესაძლო ბოროტებას ჩაიდენს, ამ კონტინგენტის შანსები, რაიმეს "დემონტაჟი" მოახდინონ, ნულს უტოლდება. იმიტომ, რომ პოტენციურ ამომრჩეველს გარდა თვალების, ყურებისა და ხელების, რომლებითაც ბიულეტენებს ავსებენ, აქვთ მეხსიერებაც. საზოგადოება შეიძლება ბოლომდე არ ენდობოდეს ხელისუფლებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საზოგადოება ენდობა იმ არცთუ დავიწყებულ ძველ სახეებს, ვინც დღეს ხელისუფლების "დემონტაჟის" გეგმებს აწყობს.

იმის გააზრებაც უჭირთ, რომ რიტორიკა, რომელიც დღეს გაკეთებულ კომენტარებშიც გაისმა, და რომელსაც ქულები და წარმატებები მოჰქონდა 80-იანი წლების ბოლოს – ტრადიციების, სარწმუნოებისა და თვითმყოფადობის დაცვა იდუმალი ხელმყოფელებისგან, მასონური შეთქმულების თემა და ამდაგვარი ბოდვა, ოდნავ მოძველდა. ანუ, მეცნიერულად რომ ვთქვათ, ამას არავინ აღარ ჭამს. რასაც ასეთი იმიჯის მქონე პილიტიკოსთა ბოლო წლების "წარმატებებიც" მოწმობს. თუმცა, მათ არც რეალურ პრობლემებზე აგებული კამპანიები გამოსდით. ჟანრი კრიზისშია.

# "შევარდნაძის დროს საქართველო არ იყო სახელმწიფო, სააკაშვილის დროს კი საქართველო სახელმწიფოა"

*"დღეს ისტორია მუშაობს ჩვენზე. ის რეალობები, რაც დღეს გვაქვს, რამდენიმე წლის წინ ყველაზე ოპტიმისტურ სიზმარშიც არ შეიძლებოდა დაგვესიზმრებოდა," – განაცხადა პრეზიდენტმა სააკაშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე. პარალელურად პრეზიდენტს გააქტიურებულ ოპოზიციაზე, ქვეყანაში არსებულ ტოტალურ უშუქობასა და სხვა მნიშვნელოვან თემებზეც მოუხდა საუბარი.*

სოფო ბუკია

ოპტიმიზმის საფუძველს საქართველოს პრეზიდენტს საფრანგეთში ჩატარებული გამოკითხვა აძლევს, რომლის თანახმადაც ფრანგების თითქმის 50 პროცენტი თვლის, რომ საქართველო ევროკავშირში გაწევრიანების ღირსია. **"და ეს მაშინ, როცა რუსეთის ევროკავშირში გაწევრიანებას ფრანგების მხოლოდ 34 პროცენტი მიესალმა. ვფიქრობ, ეს დიდი მიღწევაა და ნიშნავს, რომ ევროპელები ახლა უკვე სულ სხვა თვალით გვიყურებენ,"** - დასძინა პრეზიდენტმა.

სააკაშვილი საქართველოში 10 მაისისთვის დაგეგმილ აშშ-ს პრეზიდენტის ვიზიტს ეხმაურება და აცხადებს, რომ ბუშის საქართველოში ჩამოსვლას "ძალზე დიდი მნიშვნელობა" აქვს. "**ჩვენ კიდევ არ გვესმის, რას ნიშნავს ჯორჯ ბუშის ვიზიტი. ეს არის დასტური იმისა, რომ აშშ-სთვის საქართველოში არსებული სიტუაცია ძალზე მნიშვნელოვანია, და ამერიკა მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას აპირებს საქართველოში არსებული კონფლიქტების დარეგულირებაში. როგორც ჩანს, კონფლიქტების დარეგულირება მსოფლიოს უდიდესი ქვეყნის ლიდერისთვის პირადი ინტერესის საგანი გახდა,"** - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის განცხადებით, მან გუშინ მონაწილეობა მიიღო ერთ-ერთი ფრანგული ტელევიზიის მიერ მომზადებულ გადაცემაში, რომელშიც ცნობილი პოლიტიკოსები, საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ჟისკარ დესტენი და სსრკ-ს ყოფილი პრეზიდენტი მიხაილ გორბაჩოვი მონაწილეობდნენ. **"დამერწმუნეთ, ევროპა სულ სხვა თვალით გვიყურებს. ეს არის ძალიან დიდი შრომისა და გარდაქმნების შედეგი, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება,"** – აცხადებს პრეზიდენტი და დასძენს, რომ საქართველო "უპრეცედენტოდ მნიშვნელოვანი" ქვეყანა გახდა.

პრეზიდენტმა პასუხი გასცა ჟურნალისტების კითხვას, რომელიც ამ ბოლო დროს ოპოზიციური ძალების შესამჩნევ გააქტიურებას შეეხებოდა. მიხეილ სააკაშვილს "უხარია", რომ მის ხელისუფლებას ოპოზიციაში მხოლოდ ასეთი ძალები ჰყავს.

**"ოპოზიცია ყველა ქვეყანაში აქტიურია, მაგრამ საქართველოში ეს ქრონიკულად ხდება, ამიტომ ოპოზიციის გამოსვლები არაეფექტურია. რაც შეეხება მათ მუქარას დღევანდელი ხელისუფლების დემონტაჟის თაობაზე... მე მინდა მათ შევახსენო, რომ მომავალი წლის შემოდგომაზე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია დაგეგმილი, 2008 წელს საპარლამენტო არჩევნები იქნება, 2009-ში საპრეზიდენტო... ხოლო თუ ვინმე ფიქრობს, რომ ხელისუფლების დემონტაჟს მანამდე შეძლებს, ძალიან ცდება. მე ალბათ მათ შევარდნაძეში ვეშლები, ან აკაევში. საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა, სადაც ჩატარდება დემოკრატიული არჩევნები და მხოლოდ არჩევნები გადაწყვეტს, ვინ მოვა ხელისუფლებაში. ჩვენ ვართ ძალიან სტაბილური და ძლიერი სისტემა და შეგვწევს ძალა, დავიცვათ ქართული დემოკრატია გარე ძალებისგანაც. ოპოზიციას დღეს ერთი რამ ავიწყდება, შევარდნაძის დროს საქართველო არ იყო სახელმწიფო, სააკაშვილის დროს კი საქართველო სახელმწიფოა,"** – ასე უპასუხა სააკაშვილმა "ახალი მემარჯვენეების" მიერ წამოწყებულ კამპანიასაც და ზოგიერთი ოპოზიციონერის ერთ ძალად გაერთიანებასაც.

პრეზიდენტმა გუშინ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი მზადყოფნა, შეხვდეს აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტს სერგეი ბაგაფშს.

**"ბევრს ტყუილად აქვს იმედი იმისა, რომ აფხაზეთი ოდესმე დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდება. აფხაზეთისა და ქართველების თანაცხოვრება გარდაუვალია,"** - მიაჩნია მიხეილ სააკაშვილს, რომელიც ქართულ-აფხაზური დიალოგის დაწყების ერთ-ერთ პირობად აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის დაბრუნებას მიიჩნევს.

**"აფხაზეთში უნდა დაბრუნდეს ყველა, იბრძოდა ის იქ თუ არა,"**- აცხადებს პრეზიდენტი, რომლის აზრით, საქართველოს ხელისუფლების ამოცანაა, "დაიბრუნოს აფხაზეთი და დააპუროს მოსახლეობა, გადაჭრას ქვეყანაში არსებული ენერგოკრიზისი."

ცხადია, პრეზიდენტმა გუშინ ვერ ენერგოკრიზისის თემას აუარა გვერდი და "მერვეჯერ განაცხადა ის, რაც შვიდჯერ უკვე თქვა".

**"საქართველო ერთ მავთულზე კიდია დღეს, რომელსაც კავკასიონი ჰქვია. ასეთ პირობებში, ცხადია, მე ვერავის დავპირდები, რომ ორ დღეში ოცდაოთხსაათიანი ელექტრომომარაგება ექნება. ამ მიმართულებით ხელისუფლებამ საკმაოდ ქმედითი ნაბიჯები გადადგა და იმედოვნებს, რომ 2006 წლის ბოლოსათვის ქვეყანას ენერგომომარაგების თვალსაზრისით პრობლემები აღარ ექნება. ამ სფეროში საქართველოს ხელისუფლება პრივატიზაციიდან შემოსული თანხების დაახლოებით 70 პროცენტის დაბანდებას გეგმავს, რაც გარანტია უნდა გახდეს იმისა, რომ საქართველო აღარ იქნება დამოკიდებული რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტზე,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილმა ლიცენზიების გაცემის გამარტივებულ წესზეც ისაუბრა. მისი თქმით, ლიცენზიებთან დაკავშირებით ამოქმედდება ახალი წესი, რომლის თანახმადაც ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემმა უნდა შეამოწმოს ლიცენზიის მიმღები და შესაბამისი დასკვნა დაწეროს. იმ შემთხვევაში, თუ ეს არ მოხდება, ეს ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ მცირე მეწარმეემ ლიცენზია მიიღო. მცირე მეწარმეებისათვის ლიცენზიის გაცემის ხელოვნურად შეფერხება აღარ მოხდება.

პრეზიდენტმა, ტრადიციისამებრ, შეაქო საპატრულო პოლიციის მუშაკები და რამდენიმე ისტორია გაიხსენა, მათ შორის საპატრულო პოლიციელზე, რომელმაც მოქალაქისგან ქრთამი არ აიღო.

პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ ქვეყანაში ამჟამად შექმნილი სიტუაცია ემიგრაციაში წასული ქართველების უკან დაბრუნების მიზეზი გახდება. **"შარშან მარტო ისრაელიდან საქართველოში 700 ებრაელი დაბრუნდა,"**- განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტის შეფასებით, საქართველოს დაახლოებით **"ერთი-ორი წელიწადი დასჭირდება იმისათვის, რომ ნამდვილ ევროპულ სახელმწიფოს დაემსგავსოს"**.

პრეზიდენტი კიდევ ერთხელ გამოეხმაურა ყირგიზეთში მომხდარ მოვლენებს და აღნიშნა, რომ ბიშკეკში საქართველოს ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

**"ყირგიზეთის ოპოზიციის ლიდერი როზა ოტუმბაევა "ვარდების რევოლუციის" დროს საქართველოში იმყოფებოდა და აქ საკმაოდ დიდი გამოცდილება მიიღო,"** - განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტის აზრით, ყირგიზეთის მსგავსი მოვლენების განვითარება ყაზახეთში ნაკლებად მოსალოდნელია, ვინაიდან **"ეს ქვეყანა ეკონომიკური თვალსაზრისით საკმაოდ კარგად არის განვითარებული და სიტუაცია იქ ძალზე სტაბილურია"**.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დელეგაციასთან ერთად დღეს ორდღიან ოფიციალურ ვიზიტად ყაზახეთს ეწვევა.

# ბიუჯეტის პროექტი საპარლამენტო კომიტეტებში "მოგზაურობს"

პირველი გვერდიდან

კოტე გაბაშვილი მიიჩნევს, რომ ეუთო-ს მონიტორინგის შეწყვეტა სასაზღვრო უწყების დამატებითი დაფინანსების აუცილებლობას წარმოშობს. **"საგარეო საქმეთა სამინისტრო ითხოვს, რომ ბელგიელმა ან ლიხტენშტეინელმა ინსტრუქტორმა ხევსურ ჭინჭარაულს ჩაუტაროს ტრენინგი იმაზე, თუ როგორ უნდა ირბინოს მან ჭიუხებში. ჭინჭარაულს ამის სწავლა არ სჭირდება, ამ საქმეში მას ისედაც ვერავინ შეედრება. ყველაფერს სჯობია, მესაზღვრეების უკეთ აღჭურვაზე ვიფიქროთ და მათ ღამის ხედვის დურბინდები მაინც შევუძინოთ,"** - "მულო, შენ გეუბნებიან"-ის "პრინციპით", კოტე გაბაშვილი ვალერი ჩეჩელაშვილს ეუბნება იმას, რაც სალომე ზურაბიშვილმა უნდა "გაიგოს".

თავის მხრივ, ფინანსთა მინისტრი საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მიერ სასაზღვრო უწყების დაფინანსებასთან დაკავშირებით გამოთქმულ პრეტენზიებს სამართლიანად მიიჩნევს და აცხადებს, რომ "შესაწინააღმდეგებელი არგუმენტები არ გააჩნია."

სასაზღვრო უწყების დაფინანსების საკითხი ასევე აქტუალური იყო ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე. აღნიშნული კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეც დაჟინებით ითხოვს, რომ საზღვრის დაცვა პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადდეს და ეს მის უკეთ დაფინანსებაში გამოიხატოს...



გივი თარგამაძე ბიუჯეტის ახალი პროექტით კმაყოფილია.

თავის კოლეგებთან შედარებით, უფრო "წელგამართულია" თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე - მისი საკურატორო სფერო ხელისუფლებას პრიორიტეტულად აქვს გამოცხადებული, რაც გაზრდილი ბიუჯეტის პროექტშიც არის ასახული: თავდაცვის სამინისტრო მიმდინარე წელს დამატებით 175 მილიონ ლარს მიიღებს. ასიგნებებში გათვალისწინებულია FSSP-ის პროგრამის, BLACKSEA-FOR-ისა და IPAP-ის რიგი ღონისძიებების დაფინანსება, აგრეთვე, ერაყის სამშვიდობო ოპერაციასა და საერთაშორისო წვრთნებში მონაწილე ქართული სამშვიდობო ძალების დაფინანსება.

**"ჩვენთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად მთავრობის მიერ სერიოზული ნაბიჯები იდგმება,"** - კმაყოფილებას არ მალავს გივი თარგამაძე.

თითქოს კოლეგებთან შეთანხმებულები არიანო, სასაზღვრო უწყების დაფინანსების საკითხი თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრებმაც წამოჭრეს. ასეთ "ჯგუფურ შემოტევას" ფინანსთა მინისტრმა ველარ გაუძლო და პარლამენტარებს შეჰპირდა, რომ მათ მოთხოვნას მთავრობა აუცილებლად გაითვალისწინებს, ოღონდ, ცოტა მოგვიანებით.

**"მიმდინარე წლის შემოდგომაზე მთავრობა პარლამენტში კიდევ ერთი საბიუჯეტო ცვლილების პროექტით შემოვა. იგი დაკავშირებული იქნება უკვე არა საპრივატიზაციო თანხების შემოსვლასთან, არამედ საგადასახადო შემოსავლების ზრდასთან. ამის საფუძველს ის გარემოება იძლევა, რომ პირველ კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტი 117 პროცენტით შესრულდა. ამდენად, წლის ბოლოს საშუალება მოგვეცემა, თქვენი მოთხოვნები გავითვალისწინოთ და სასაზღვრო უწყების უკეთ დაფინანსებაზე ვიფიქროთ,"** - აცხადებს ვალერი ჩეჩელაშვილი.

# „აღარ გვინდა ჭია-მერი"

თამარ მაისურაძე

*"ახალმა მემარჯვენეებმა" პირადად თბილისის მერის წინააღმდეგ, აგრეთვე, მერის არჩევითობის მოთხოვნით წამოწყებული ახალი კამპანიის პრეზენტაცია მოაწყვეს. მათ "საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციის" და მთავრობაზე წარმატებული ზეწოლის იმედი აქვთ.*

"საახალწლო ტაშ-ფანდური" – 750 ათასი ლარი, პრეზიდენტის რეზიდენციის აშენება – 2 მილიონ 500 ათასი ლარი, თავდაცვის სამინისტროს ობიექტების მშენებლობა – 7 მილიონი ლარი, საპატრულო პოლიციისთვის – 23 მილიონი ლარი, - ეს თბილისის 2005 წლის ბიუჯეტში გაწერილ თანხათა ის მცირე ჩამონათვალია, რომლისთვისაც თბილისის მერი "ახალმა მემარჯვენეებმა" გუშინ კიდევ ერთხელ გააკრიტიკეს.

**"არ ვიცი, მოგწონთ თუ არა, მაგრამ ძალიან მომწონს ამ პლაკატზე გაშარჟებული ჩვენი ქალაქის სიამაყე,"** – განაცხადა გუშინ "ახლების" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე დავით გამყრელიძემ. "აღარ გვინდა ჭია-მერი, ავირჩიოთ ნაღდი მერი," - პლაკატი, რომელზეც ამ წარწერასთან ერთად თბილისის მერის ზურაბ ჭიაბერაშვილის ბოლო "ნოვაციები"



"ახლებმა" ახალი კამპანია დაიწყეს.

("სამკუთხედი", ორიგინალური ნაძვის ხე, უარყოფილი საათი) არის გამოსახული, თბილისის ქუჩებში გუშინ გააკრეს. შარჟის ავტორი უცნობია, თუმცა იდეის ავტორობა "ახალ მემარჯვენეებს" ეკუთვნით. ამ უკანასკნელთა აზრით, "რესპუბლიკელებისა" და "ნაციონალების" გარდა, მათ წამოწყებას ყველა სხვა ოპოზიციური პარტია დაუჭერს მხარს. წამოწყება კი თბილისის მერის პირდაპირი წესით არჩევას ემსახურება. მართალია, გამყრელიძე ჭიაბერაშვილს მერობას უწუნებს, მის საქმიანობას აკრიტიკებს და პრეზიდენტის მოჯამაგირესაც უწოდებს, მაგრამ არც "ობიექტურად შეფასების უნარს" კარგავს და აცხადებს, რომ ხელისუფლების მიერ დანიშნული, ქალაქის ყველა მერი "მოჯამაგირე" იქნება.

**"ჭიაბერაშვილმა თბილისი და თბილისელები თავის უჭკუო ექსპერიმენტების პოლიგონად აქცია. არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში თავდაცვის სამინისტროს ადგილობრივი ბიუჯეტი არ აფინანსებს. არც საპატრულო პოლიციის დაფინანსებაა ქალაქის მთავრობასთან პირდაპირ კავშირში და არც პრეზიდენტის რეზიდენცია უნდა აშენდეს თბილისელების ხარჯზე. მით უმეტეს, მაშინ, როდესაც ჯანდაცვის პროგრამები, წინა წლებთან შედარებით, 10-დან 4,5 პროცენტამდე შემცირდა. გაერთიანდა განათლებისა და კულტურის სფეროების დაფინანსება. აღარაფერს ვამბობ კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისა და თბილტრანსის მძღოლების, ასევე მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობის მასხრად აგდებაზე,"** – აღნიშნა "ახლების" ლიდერმა.

გამყრელიძე თითოეული თბილისელის შეურაცხყოფად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ სააკაშვილი დედაქალაქის მკვიდრებს მერის არჩევის საშუალებას არ აძლევს. **"ჩვენ მოვახდენთ საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციას და ზეწოლას განვახორციელებთ მთავრობაზე, რომ მოგვცენ თბილისის მერის არჩევის უფლება, რომელიც ქვეყნის პირველი ხელისუფალის დავალებების შესრულების ნაცვლად ხალხის სამსახურში ჩადგება,"** – ასეთია მისი სურვილი.

დაბოლოს, გამყრელიძის რჩევა სხვა მერს: **"თბილისის წლევანდელი ბიუჯეტი კლასიკური სახელმძღვანელოა მომავალი მერისთვის, რომლის მიხედვითაც უნდა მიხვდეს, თუ როგორი არ უნდა იყოს დედაქალაქის ბიუჯეტი."**

P.S. თბილისის მერმა მადლობა გადაუხადა "მემარჯვენეებს" პიარკამპანიისთვის და პლაკატები ავტოგრაფებით "დაამშვენა".

მოკლედ

### საქართველოს პრეზიდენტი ყაზახეთს ეწვევა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დელეგაციასთან ერთად დღეს ორდღიან ოფიციალურ ვიზიტად ყაზახეთის რესპუბლიკას ეწვევა.

31 მარტს დაგეგმილია საქართველოს და ყაზახეთის პრეზიდენტების პირისპირ შეხვედრა, რომლის დასრულების შემდეგ პრეზიდენტები ორი ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლებს შეუერთდებიან და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებებს გააფორმებენ.

31 დეკემბრისთვის საქართველოსა და ყაზახეთს შორის 3 მემორანდუმის გაფორმება იგეგმება. პირველი მემორანდუმი, რომელიც მთავრობებს შორის გაფორმდება, ნარკოტიკებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას ითვალისწინებს, მეორე - ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოსა და ყაზახეთის დედაქალაქების ხელმძვანელებს შორის გაფორმდება, მესამე კი ფოთისა და აქტაუს პორტებს შორის ურთიერთთანამშრომლობას, გამოცდილების გაზიარებას და ტვირთბრუნვის გაზრდას ითვალისწინებს. ამავე დღეს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით ქალაქ ასტანაში ქართული ნაწარმის გამოფენა "საქართველო - ღვინის აკვანი" გაიმართება. მოგვიანებით სავაჭრო პალატის ორგანიზებით ბიზნეს-ფორუმი გაიმართება, რომელშიც ქართულ კომპანიებთან ერთად, 100-მდე ყაზახური კომპანია მიიღებს მონაწილეობას. **ინტერ-პრესი**

### პრემიერ-მინისტრი აშშ-ს ევროპული სარდლის მოადგილეს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი სახელმწიფო კანცელარიაში აშშ-ს ევროპული სარდლობის სარდლის მოადგილეს, გენერალ ჩარლზ უოლდს შეხვდა. აღნიშნული შეხვედრის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა ამერიკის მთავრობას იმ დახმარებისათვის, რომელსაც ის საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობაში უწევს.

გენერალ უოლდის განცხადებით, ამერიკის ხელისუფლება და სარდლობა კმაყოფილია იმ თანამშრომლობით, რომელსაც საქართველო და ამერიკა სამხედრო სფეროში ეწევიან. გენერალ უოლდის თქმით, ამერიკული მხარის მიერ მომზადებული სამხედროები ერაყში "შესანიშნავ მაგალითს იძლევიან იმისა, თუ როგორ შეუძლიათ, იბრძოლონ და იმოქმედონ ჯარისკაცებმა შესაბამისი დაფინანსებისა და გაწვრთნის შემდეგ".

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსს, პოლკოვნიკ ლევან ნიკოლეიშვილსა და აშშ-ს ევროპული სარდლობის სარდლის მოადგილეს ჩარლზ უოლდს შორის ხელი მოეწერა ამერიკასა და საქართველოს შორის სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების პროგრამების ფარგლებში თანამშრომლობის პირობებს. პროგრამის ფარგლებში ქართველ ჯარისკაცებს ჩაუტარდებათ წვრთნები საბრძოლო შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად, რაც მათ საშუალებას მისცემს, გააგრძელონ მონაწილეობა ერაყის განთავისუფლების ოპერაციებში.

თბილისში ვიზიტის დროს გენერალი უოლდი შეხვდა ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს გელა ბეჟუაშვილს და საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს. **ინტერ-პრესი**




მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა ნიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# უფრთხილდით მოსკოვის ხაფანგებს შეთანხმებაში საქართველოდან ჯარების გაყვანის შესახებ

პირველი გვერდიდან

## 1. დაკანონება

სამხედრო ძალების გაყვანის "გონივრულ ვადებზე" შეთანხმებას რაც შეეხება – თბილისს 3 წლის იმედი აქვს, მოსკოვი კი 7 წელს მოითხოვს. არის კიდევ ერთი ვარიანტი – კომპრომისი. რუსეთს მისი ჯარების ყოფნის ვადების გახანგრძლივების მიზნით მათი დაკანონება სურს. თუ ეს მოხდება, მოსკოვს სტიმული მიეცემა, სამხედრო ძალების ყოფნის ვადა ამოწურვის შემდეგაც გაახანგრძლივოს, რისთვისაც ის საქართველოზე ზეწოლას ნამდვილად ეცდება. ბალტიის ქვეყნები ამ რისკს აცნობიერებდნენ, როდესაც უარი თქვეს მათ ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის სამხედრო ძალების "დროებით" ან "გარდამავალი" პერიოდით დაკანონებაზე.

საქართველოს მიერ ლეგალიზება: ა) ძირს გამოუთხრის ქვეყნის რუსეთის ჯარებისაგან გათავისუფლების ეროვნული სუვერენიტეტის შეუცვლელ არგუმენტს, ბ) შეასუსტებს საერთაშორისო სიმპათიას და მხარდაჭერას საქართველოს სწრაფვის მიმართ, წერტილი დაუსვას რუსეთის სამხედრო ყოფნას მის ტერიტორიაზე, გ) ქვეყნის შიგნით შეინარჩუნოს შენელებული მოქმედების პოტენციური ნაღმი მისი მოცილების ნაცვლად და დ) ხელი შეუშალოს საქართველოს ეროვნულ მიზანს - ნატო-ში ინტეგრაციას.

ბალტიის ქვეყნების მსგავსად, საქართველომ არ უნდა მოახდინოს მის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ძალების ყოფნის არანაირი ვადის დაკანონება.

## 2. სახელის გადარქმევა

რუსეთს იმედი აქვს, რომ ბათუმისა და ახალქალაქის სამხედრო ბაზებს და თბილისში არსებულ შტაბბინას მათთვის "ანტიტერორისტული ცენტრების" სახელის დარქმევით შეინარჩუნებს.

თავდაპირველად, ქართველებს ეს იდეა რუსების მიერ დაბლოკილი მოლაპარაკებების განახლების მიზნით, 2004 წელს მოუვიდათ.

თბილისმა იმსჯელა ერთი ერთობლივი ქართულ-რუსული ანალიტიკური ანტიტერორისტული ცენტრის შექმნაზე, რომელიც საქართველოს კონტროლქვეშ იქნებოდა და არ განლაგდებოდა რომელიმე უკვე არსებულ სამხედრო ბაზაზე. ის გარნიზონის წასვლის შემდეგ შეიქმნებოდა, და მის შემადგენლობაში მხოლოდ რამდენიმე რუსი ოფიცერი იარაღისა და სამხედრო ძალების გარეშე იქნებოდა.

თუმცა, მოსკოვმა თბილისის კეთილი ნება აიტაცა და ის საქართველოს წინააღმდეგ შემოატრიალა. გასულ თვეს მოსკოვი გამოვიდა ინიციატივით, რომ არსებული სამხედრო ბაზებისთვის "ანტიტერორისტული ცენტრები" დაერქვათ და მეტიც, გაეზარდათ მათი გარნიზონები. ხოლო როდესაც თბილისმა იუარა, მოსკოვმა საქვეყნოდ დასდო ბრალი მას მოლაპარაკებათა ბლოკირებაში. ამ შეთავაზებით საქართველომ, შეიძლება ითქვას, საკუთარ თავს ავნო.

წლების განმავლობაში ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო ძალისხმევის ფონზე, ადვილი მისახვედრია, რომ რუსეთი საქართველოში ანტიტერორისტული ცენტრების შენარჩუნებას მოითხოვს. მით უფრო, რომ მოსკოვი ყოველთვის ხმამაღლა აცხადებდა (და ახლაც იგივეს აკეთებს), რომ საქართველო საერთაშორისო ტერორიზმის მიმართ ლოიალური იყო. სამი წლის წინ რუსეთმა გუდაუთაში განლაგებულ მის სამხედრო ბაზას "სამშვიდობო" გადაარქვა და დღემდე უგულებელყოფს 1999 წელს აღებულ ვალდებულებებს - სამხედრო ბაზა 2001 წლამდე დაეხურა.

ეს ყოველივე თბილისისთვის გაკვეთილი უნდა იყოს, და მან ცალსახად უნდა მოითხოვოს რუსული სამხედრო ძალების გაყვანა ყოველგვარი რისკისა და დროის გაწელვის გარეშე. ბალტიის ქვეყნები წარმატებულნი იყვნენ, რადგან მათი პოზიცია ყოველთვის მიზანმიმართული და მყარი იყო.

## 3. რატიფიკაცია

რუსეთი შეეცდება, მოითხოვოს სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე საქართველოსთან მიღწეული შეთანხმების საპარლამენტო ან სხვა სახის რატიფიცირება. ამ საკითხში საგულისხმოა მოლდოვას მაგალითი.

1994 წელს, მაშინდელმა პრემიერ-მინისტრებმა ვიქტორ ჩერნომირდინმა და ანდრეი სანგელმა მოლდოვადან რუსეთის სამხედრო ძალების სამი წლის ვადაში გაყვანის თაობაზე მთავრობათაშორის შეთანხმებას მოაწერეს ხელი.

რუსეთმა დაამატა პირობა, რომ შეთანხმების შესრულება "ქვეყნების შიგნით მიმდინარე პროცესებთან" იქნებოდა დაკავშირებული, ყოველგვარი დამატებითი დაკონკრეტების გარეშე. კრემლმა ამას მომენტალურად გაუკეთა ინტერპრეტაცია, როგორც პარლამენტის მიერ რატიფიცირების მოთხოვნას. მოლდოვას პარლამენტმა შეთანხმების რატიფიკაცია სასწრაფოდ მოახდინა, მაგრამ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს ეს არ გაუკეთებია. ამის ნაცვლად, რუსეთის მთავრობა წლების განმავლობაში შეთანხმების დამატებით პირობებს აყენებდა, რომ სახელმწიფო სათათბიროსთვის განსასჯელად მიეცა შეთანხმება, ხოლო სახელმწიფო სათათბირო აყენებდა დამატებით პირობებს დოკუმენტის შესასწავლად და განსახილველად.

საბოლოოდ მთავარი პირობა გახდა ის, რომ მოლდოვა დნესტრისპირეთის გამოყოფას და ამ რეგიონში რუსეთის სამხედრო ძალების დარჩენას დათანხმებოდა. 1997 წლიდან მოყოლებული, რუსეთი, უბრალოდ, იგნორირებას უკეთებდა ამ შეთანხმებას.

ამ გამოცდილების გახსენებით, თბილისმა დაჟინებით უნდა მოითხოვოს რუსეთთან სამხედრო ძალების გაყვანის თაობაზე ისეთი შეთანხმება, რაც საწყისშივე სავალდებულო შესასრულებელი იქნება. ამასთან, უნდა მოითხოვოს შეთანხმების შესრულებაზე ეფექტური საერთაშორისო დაკვირვების (გარდა ეუთო-სი) უზრუნველყოფა.

## 4. სტამბულის შეთანხმება

მოსკოვს სტამბულის ეუთო-ს 1999 შეთანხმების შენარჩუნება სურს, რადგან ეს უკანასკნელი მისგან ბათუმისა და ახალქალაქის სამხედრო ბაზების დახურვას არ მოითხოვს. ის მოითხოვს: "2000 წელს, მხარეებმა ბათუმის და ახალქალაქის რუსული სამხედრო ბაზების ფუნქციონირების ვადების და სტატუსის დადგენის შესახებ მოლაპარაკებები უნდა დაასრულონ". აღნიშნული ფორმულირება საბოლოოდ უგულებელყოფილი უნდა იყოს, რადგან სტამბულის შეთანხმების სხვა პუნქტების პარალელურად მოსკოვმა ის უკვე დაარღვია. სტამბულის ფორმულირება არაადეკვატური იყო პირველ რიგში იმის გამო, რომ მასში ბათუმის, ახალქალაქის და სხვა სამხედრო შენაერთების გაყვანის არსი არ იყო გათვალისწინებული. რუსეთთან ნებისმიერი ახალი შეთანხმება აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ბაზების დახურვის და სამხედრო ძალების გაყვანის ვალდებულებებს.

## 5. საქართველოს ვალდებულებები

რუსეთი ეცდება, საქართველოს თავს მოახვიოს ვალდებულებები, რომ სამხედრო ძალების შემცირების და გაყვანისათვის, მისთვის სასურველი პირობების შექმნა თავად შეძლოს, გააადვილოს ბაზების ფუნქციონირება, შემადგენლობის გადაადგილება და სხვა. მოსკოვი რიგ პირობებს ძალზე ფართო ფორმულირებას გაუკეთებს, რათა მოგვიანებით ისინი ბოროტად გამოიყენოს. თუმცა, ამასთანავე წამოაყენებს რიგ ძალზე სპეციპიკურ პირობებს, რომლის შესრულებაც საქართველოს დადგენილ ვადაში, ან საერთოდ არ შეეძლება.

ამგვარად, რუსეთმა უარი თქვა, საქართველოსთვის გადაეცა გუდაუთა და დაბლოკა ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო დაკვირვება იმ მიზეზით, თითქოს საქართველოს არ შეუძლია იმ რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რომელიც რუსეთის აფხაზი პროტეჟეების მიერ კონტროლირდება. მოსკოვს ადვილად შეუძლია ახალქალაქში, რუსეთის სამხედრო ბაზის დატოვების მოთხოვნით ადგილობრივი სომხების დემონსტრაციების ორგანიზება. შემდეგ კი ის ეცდება ამტკიცოს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის სურვილის საწინააღმდეგოდ ვერ იმოქმედებს.

ამ მომენტს რუსეთი ჯარების შენარჩუნების გასამართლებელ საბუთად წლების განმავლობაში დნესტრისპირეთში იყენებდა.

ამის გათვალისწინებით, საქართველომ არ უნდა აიღოს არც ერთი ვალდებულება, რომლის შესრულებაშიც შესაძლოა, რუსეთმა შეუშალოს ხელი. თბილისმა უარი უნდა თქვას რუსეთის სამხედრო ძალებისთვის გარანტიების მიცემაზე. ასეთი ვალდებულება საქართველოს ხელს შეუშლის საბოლოო მიზნის მიღწევაში. ისევე, როგორც მოსკოვი დღემდე არიდებს თავს სამხედრო ძალების გაყვანის თაობაზე ნაკისრ ვალდებულებას.

## 6. ურთიერთ-დამოკიდებულებები

კრემლმა მოახერხა სამხედრო მოლაპარაკებები სახელმწიფოთაშორის ახალ პოლიტიკურ შეთანხმებებზე მოლაპარაკებებთან დაეკავშირებინა. როგორც სამხედრო ძალების გაყვანის შეთანხმების წინაპირობად, იგი ახლა პოლიტიკური შეთანხმების მიღებას მოითხოვს, რომელიც გამორიცხავს საქართველოს ტერიტორიაზე მესამე ძალის ჯარების განლაგებას, და საერთოდ, შეზღუდავს სხვა ქვეყნებთან საქართველოს დამოუკიდებელ სამხედრო თანამშრომლობას.

მოსკოვს სურს, რომ ჯარების გაყვანის წინაპირობად მიღწეულ იქნეს პოლიტიკური შეთანხმება, რომელშიც აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების გადაწყვეტაში რუსეთის განსაკუთრებული როლი ჩაიდება, იქ მყოფი "რუსეთის მოქალაქეების" დასაცავად.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ირწმუნება, რომ მსგავსი პუნქტები იმისათვის არის საჭირო, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბირო საქართველოსთან სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების რატიფიცირების აუცილებლობაში დარწმუნდეს, თუ ასეთი ხელმოწერილი იქნება. სახელმწიფო სათათბიროში კრემლის მიერ კონტროლირებადი სასურველი უმრავლესობის პირობებში აღნიშნული მოთხოვნა არარეალურია.

თავის მხრივ, თბილისმა უნდა დაბლოკოს ნებისმიერი ურთიერთდამოკიდებულება სამხედრო ძალების გაყვანასა და გარეპოლიტიკურ საკითხებს შორის. მას ძალზე მარტივად შეუძლია შესთავაზოს შეთანხმება, რომ საქართველოს ტერიტორია არ იქნება გამოყენებული მესამე ძალის მიერ რუსეთის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში შეთანხმებები და შიდა კონსტიტუციური მოწყობა რუსეთთან გაფორმებულ ორმხრივი ხელშეკრულების საგანი არ არის. საქართველომ არც სამშვიდობო ოპერაციები უნდა დააკანონოს.

ამ მომენტში თბილისს შუძლია, ბალტიის სამ ქვეყანასთან კონსულტაციების ინიციატორი გახდეს რუსეთის სამხედრო ძალების გაყვანის თაობაზე მათი პოლიტიკური და ლოგისტიკური შეთანხმებების გამოცდილების თაობაზე.






# ბანკი რესპუბლიკა

## პირველად ამიერკავკასიაში

### ბანკმა "რესპუბლიკამ" საერთაშორისო კომერციული ბანკისგან 4 მილიონ დოლარიანი საკრედიტო ხაზი მიიღო




დიანა ჩაჩუა

*მიმდინარე წლის 15 მარტს ქართულმა კომერციულმა ბანკმა "რესპუბლიკამ" ხელშეკრულება გააფორმა საერთაშორისო კომერციულ ბანკ "Comerzbank"-თან, რომელიც 4 მილიონი დოლარის მოცულობის საკრედიტო ხაზის გამოყოფას ითვალისწინებს. აღსანიშნავია, რომ ბანკი "რესპუბლიკა" არა მხოლოდ პირველი ქართული ბანკია, რომელმაც ხელი მოაწერა "KFW"-ს საკრედიტო საგარანტიო ფონდის პარტნიორობის ხელშეკრულებას, არამედ პირველი კომერციული ბანკი საქართველოსა და ამიერკავკასიაში, რომელმაც ლიდერი საერთაშორისო კომერციული ბანკის საკრედიტო ხაზი მოიპოვა.*

ბანკი "რესპუბლიკას" მიერ "Comerzbank"-თან გაფორმებული საკრედიტო ხაზი 5 წლიანია და საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსებაზე იქნება მიმართული. აღნიშნულ შეთნხმებას "KFW"-ს (გერმანიის განვითარების ბანკი) საკრედიტო საგარანტიო ფონდის პროექტი დაედო საფუძვლად, რომლის ფარგლებშიც სესხის 90 პროცენტის გარანტორი სწორედ გერმანიის განვითარების ბანკი იქნება.

**"ბანკმა "რესპუბლიკამ" მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ და ქართული საბანკო ინდუსტრია განვითარების ახალ საფეხურზე გადაიყვანა, რითაც კიდევ უფრო აამაღლა საერთაშორისო ბიზნეს საზოგადოების ნდობა საქართველოში მოღვაწე წარნმატებული ფინანსური ინსტიტუტების მიმართ,"** - აღნიშნა ბანკი "რესპუბლიკას" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ გრიგოლ კაციამ. მისი თქმით, საკრედიტო რესურსების გამოყოფა კავკასიის რეგიონში ევროპის ლიდერი ბანკების გრძელვადიან ინტერესებს გამოხატავს, რათა დაამყარონ სტრატეგიული ურთიერთობები ყველაზე ეფექტურ და წარმატებულ ინსტიტუტებთან.

საქართველოს ბაზარზე ბანკი "რესპუბლიკას" სტაბილურობის, ფინანსური მდგრადობის და ეფექტურობის დახმარებით მიღწეული ხელშეკრულების ფარგლებში 2000-მდე მცირე კომპანიის დაკრედიტებაა დაგეგმილი. **"თითოეულ ბიზნესზე მაქსიმუმ, 150 000 ევროს ოდენობის კრედიტი გაიცემა საბაზრო განაკვეთებზე დაბალ პროცენტში"** - განაცხადა ბანკი "რესპუბლიკას" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ.

წლების მანძილზე საქართველოს საერთაშორისო ფინანსურ პარტნიორებს დონორი ორგანიზაციები და სხვა განვითარებაზე ორიენტირებული ფინანსური ინსტიტუტები წარმოადგენდნენ. ისინი დღესაც რჩებიან საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორებად. ამ ფონზე, ქართული საბანკო სექტორისთვის საერთაშორისო კომერციული ბანკის მიერ გამოყოფილი გრძელვადიანი საკრედიტო ხაზი უპრეცედენტო მოვლენაა.

აღსანიშნავია, რომ "Comerzbank"-ი მსოფლიოს უმსხვილეს ბანკების ოცეულში შედის და განვითარებადი ქვეყნების ბაზრებზე ლიდერ პოზიციებს იკავებს.

"KFW"-ს საკრედიტო საგარანტიო ფონდის მენეჯერი ბირტე მიორკე იმედოვნებს, რომ "KFW"-ს საკრედიტო საგარანტიო ფონდის პროექტის დახმარებით, საქართველოს ფინანსური სექტორი უფრო მიმზიდველი და სანდო გახდა საერთაშორისო ინვესტორებისთვის. **"ჩვენი პროექტით ქართული ბანკი საერთაშორისო ბანკებთან ურთიერთობის დიდ გამოცდილებას შეიძენს"** - აღნიშნა ბირტე მიორკემ.

როგორც ბანკი "რესპუბლიკას" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ გრიგოლ კაციამ განაცხადა, "KFW"-ს მხარდაჭერით, მათ ბანკს მომავალშიც ექნება შესაძლებლობა საერთაშორისო ბაზრებიდან ფინანსური რესურსები მოიზიდოს და გლობალური ფინანსური ინსტიტუტებისთვის რეგიონალური პარტნიორი გახდეს. **"ვიმედოვნებთ, რომ "KFW"-თან და "Comerzbank"-თან ეფექტური თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება"** - განაცხადა გრიგოლ კაციამ.




# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აქვეყნებს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ტერიტორიულ ორგანოებში ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის მეორე ეტაპის (გასაუბრების) გრაფიკს

| № | ტერიტორიული ორგანოს (რ-ნის) დასახელება |
|---|---|
| 11 აპრილი | |
| 8 | თბილისი |
| 9 | თბილისი |
| 53 | თბილისი |
| 67 | თბილისი |
| 98 | თბილისი |
| 109 | თბილისი |
| 118 | თბილისი |
| 143 | თბილისი |
| 150 | თბილისი |
| 175 | თბილისი |
| 205 | თბილისი |
| 261 | თბილისი |
| 515 | თბილისი |
| 548 | თბილისი |
| 563 | თბილისი |
| 573 | თბილისი |
| 574 | თბილისი |
| 616 | თბილისი |
| 700 | თბილისი |
| 738 | თბილისი |
| 763 | თბილისი |
| 1000 | თბილისი |
| 1050 | თბილისი |
| 1082 | თბილისი |
| 1139 | თბილისი |
| 1143 | თბილისი |
| 1144 | თბილისი |
| 1145 | თბილისი |
| 1147 | თბილისი |
| 1246 | თბილისი |
| 1312 | თბილისი |
| 1325 | თბილისი |
| 1376 | თბილისი |
| 1532 | თბილისი |
| 1605 | თბილისი |
| 1671 | თბილისი |
| 1677 | თბილისი |
| 1731 | თბილისი |
| 1781 | თბილისი |
| 1792 | თბილისი |
| 12 აპრილი | |
| 1839 | თბილისი |
| 1914 | თბილისი |
| 1960 | თბილისი |
| 1985 | თბილისი |
| 2049 | თბილისი |
| 2070 | თბილისი |
| 2461 | თბილისი |
| 2673 | თბილისი |
| 2679 | თბილისი |
| 2742 | თბილისი |
| 3014 | თბილისი |
| 3567 | თბილისი |
| 4151 | თბილისი |
| 4157 | თბილისი |
| 4522 | თბილისი |
| 4651 | თბილისი |
| 1 | თბილისი |
| 69 | თბილისი |
| 75 | თბილისი |
| 137 | თბილისი |
| 141 | თბილისი |
| 179 | თბილისი |
| 250 | თბილისი |
| 317 | თბილისი |
| 361 | თბილისი |
| 368 | თბილისი |
| 378 | თბილისი |
| 417 | თბილისი |
| 501 | თბილისი |
| 502 | თბილისი |
| 507 | თბილისი |
| 558 | თბილისი |
| 699 | თბილისი |
| 775 | თბილისი |
| 788 | თბილისი |
| 825 | თბილისი |
| 858 | თბილისი |
| 917 | თბილისი |
| 1015 | თბილისი |
| 1093 | თბილისი |
| 13 აპრილი | |
| 1120 | თბილისი |
| 1201 | თბილისი |
| 1203 | თბილისი |
| 1234 | თბილისი |
| 1237 | თბილისი |
| 1302 | თბილისი |
| 1326 | თბილისი |
| 1407 | თბილისი |
| 1515 | თბილისი |
| 1529 | თბილისი |
| 1549 | თბილისი |
| 1607 | თბილისი |
| 1695 | თბილისი |
| 1699 | თბილისი |
| 1740 | თბილისი |
| 1763 | თბილისი |
| 1834 | თბილისი |
| 1940 | თბილისი |
| 1969 | თბილისი |
| 2026 | თბილისი |
| 2110 | თბილისი |
| 2177 | თბილისი |
| 2204 | თბილისი |
| 2249 | თბილისი |
| 2330 | თბილისი |
| 2372 | თბილისი |
| 2571 | თბილისი |
| 2643 | თბილისი |
| 2666 | თბილისი |
| 2696 | თბილისი |
| 3002 | თბილისი |
| 3142 | თბილისი |
| 3550 | თბილისი |
| 3629 | თბილისი |
| 3645 | თბილისი |
| 4119 | თბილისი |
| 4127 | თბილისი |
| 4501 | თბილისი |
| 4604 | თბილისი |
| 4673 | თბილისი |
| 14 აპრილი | |
| 10 | თბილისი |
| 47 | თბილისი |
| 73 | თბილისი |
| 160 | თბილისი |
| 186 | თბილისი |
| 192 | თბილისი |
| 204 | თბილისი |
| 244 | თბილისი |
| 253 | თბილისი |
| 265 | თბილისი |
| 267 | თბილისი |
| 296 | თბილისი |
| 536 | თბილისი |
| 609 | თბილისი |
| 617 | თბილისი |
| 652 | თბილისი |
| 684 | თბილისი |
| 707 | თბილისი |
| 714 | თბილისი |
| 730 | თბილისი |
| 742 | თბილისი |
| 751 | თბილისი |
| 767 | თბილისი |
| 777 | თბილისი |
| 936 | თბილისი |
| 969 | თბილისი |
| 1030 | თბილისი |
| 1125 | თბილისი |
| 1146 | თბილისი |
| 1151 | თბილისი |
| 1210 | თბილისი |
| 1404 | თბილისი |
| 1429 | თბილისი |
| 1436 | თბილისი |
| 1676 | თბილისი |
| 1739 | თბილისი |
| 1766 | თბილისი |
| 1788 | თბილისი |
| 1984 | თბილისი |
| 2030 | თბილისი |
| 15 აპრილი | |
| 2046 | თბილისი |
| 2092 | თბილისი |
| 2275 | თბილისი |
| 2282 | თბილისი |
| 2434 | თბილისი |
| 2478 | თბილისი |
| 2639 | თბილისი |
| 2699 | თბილისი |
| 3108 | თბილისი |
| 3514 | თბილისი |
| 3613 | თბილისი |
| 3627 | თბილისი |
| 3632 | თბილისი |
| 3751 | თბილისი |
| 4109 | თბილისი |
| 4110 | თბილისი |
| 4136 | თბილისი |
| 4521 | თბილისი |
| 7 | თბილისი |
| 87 | თბილისი |
| 154 | თბილისი |
| 320 | თბილისი |
| 692 | თბილისი |
| 713 | თბილისი |
| 771 | თბილისი |
| 826 | თბილისი |
| 908 | თბილისი |
| 934 | თბილისი |
| 1010 | თბილისი |
| 1044 | თბილისი |
| 1126 | თბილისი |
| 1235 | თბილისი |
| 1255 | თბილისი |
| 1337 | თბილისი |
| 1439 | თბილისი |
| 1443 | თბილისი |
| 1467 | თბილისი |
| 1504 | თბილისი |
| 1583 | თბილისი |
| 1696 | თბილისი |
| 18 აპრილი | |
| 1722 | თბილისი |
| 1784 | თბილისი |
| 1889 | თბილისი |
| 1917 | თბილისი |
| 1979 | თბილისი |
| 2173 | თბილისი |
| 2272 | თბილისი |
| 2274 | თბილისი |
| 2312 | თბილისი |
| 2377 | თბილისი |
| 2418 | თბილისი |
| 2450 | თბილისი |
| 2533 | თბილისი |
| 2705 | თბილისი |
| 3069 | თბილისი |
| 3106 | თბილისი |
| 3501 | თბილისი |
| 3556 | თბილისი |
| 3558 | თბილისი |
| 3650 | თბილისი |
| 3700 | თბილისი |
| 4004 | თბილისი |
| 4013 | თბილისი |
| 4046 | თბილისი |
| 4122 | თბილისი |
| 4128 | თბილისი |
| 4150 | თბილისი |
| 4167 | თბილისი |
| 4631 | თბილისი |
| 4652 | თბილისი |
| 4670 | თბილისი |
| 1510 | ცხინვალი |
| 1767 | თბილისი |
| 3668 | თბილისი |
| 3669 | თბილისი |
| 19 აპრილი | |
| 418 | რუსთავი |
| 1107 | რუსთავი |
| 1225 | რუსთავი |
| 2605 | რუსთავი |
| 2671 | რუსთავი |
| 720 | რუსთავი |
| 288 | რუსთავი |
| 716 | რუსთავი |
| 1511 | რუსთავი |
| 2076 | რუსთავი |
| 4530 | რუსთავი |
| 886 | რუსთავი |
| 3541 | რუსთავი |
| 2297 | რუსთავი |
| 2507 | რუსთავი |
| 251 | რუსთავი |
| 1106 | რუსთავი |
| 1159 | რუსთავი |
| 1565 | რუსთავი |
| 3173 | რუსთავი |
| 4529 | რუსთავი |
| 1025 | რუსთავი |
| 407 | რუსთავი |
| 1323 | რუსთავი |
| 1569 | რუსთავი |
| 1586 | რუსთავი |
| 518 | რუსთავი |
| 800 | რუსთავი |
| 1968 | რუსთავი |
| 1971 | რუსთავი |
| 2519 | რუსთავი |
| 3064 | რუსთავი |
| 4545 | რუსთავი |
| 4559 | რუსთავი |
| 4 | რუსთავი |
| 212 | რუსთავი |
| 214 | რუსთავი |
| 329 | რუსთავი |
| 531 | რუსთავი |
| 20 აპრილი | |
| 570 | რუსთავი |
| 634 | რუსთავი |
| 660 | რუსთავი |
| 801 | რუსთავი |
| 804 | რუსთავი |
| 937 | რუსთავი |
| 1062 | რუსთავი |
| 1440 | რუსთავი |
| 1525 | რუსთავი |
| 1537 | რუსთავი |
| 1571 | რუსთავი |
| 1646 | რუსთავი |
| 1675 | რუსთავი |
| 1825 | რუსთავი |
| 1856 | რუსთავი |
| 2133 | რუსთავი |
| 2165 | რუსთავი |
| 2321 | რუსთავი |
| 2380 | რუსთავი |
| 2680 | რუსთავი |
| 3013 | რუსთავი |
| 3021 | რუსთავი |
| 3090 | რუსთავი |
| 3581 | რუსთავი |
| 3621 | რუსთავი |
| 3686 | რუსთავი |
| 3708 | რუსთავი |
| 4132 | რუსთავი |
| 4149 | რუსთავი |
| 21 აპრილი | |
| 1557 | ბათუმი |
| 2255 | ბათუმი |
| 3586 | ბათუმი |
| 2361 | ბათუმი |
| 2592 | ბათუმი |
| 498 | ბათუმი |
| 946 | ბათუმი |
| 2254 | ბათუმი |
| 2358 | ბათუმი |
| 2360 | ბათუმი |
| 236 | ბათუმი |
| 493 | ბათუმი |
| 4057 | ბათუმი |
| 2503 | ბათუმი |
| 3522 | ბათუმი |
| 124 | ბათუმი |
| 499 | ბათუმი |
| 3642 | ბათუმი |
| 2747 | ბათუმი |
| 477 | ბათუმი |
| 4055 | ბათუმი |
| 691 | ბათუმი |
| 478 | ბათუმი |
| 1277 | ბათუმი |
| 299 | ბათუმი |
| 479 | ქობულეთი |
| 1593 | ქობულეთი |
| 1795 | ქობულეთი |
| 1891 | ქობულეთი |
| 2059 | ქობულეთი |
| 1893 | ქობულეთი |
| 2179 | ქობულეთი |
| 105 | ქედა |
| 2779 | ქედა |
| 295 | ქედა |
| 3135 | ქედა |
| 3134 | ქედა |
| 3585 | ქედა |
| 1890 | ხულო |
| 2594 | ხელვაჩაური |
| 2593 | ხელვაჩაური |
| 311 | ხელვაჩაური |
| 106 | შუახევი |
| 4546 | შუახევი |
| 4547 | შუახევი |
| 22 აპრილი | |
| 95 | ოზურგეთი |
| 3624 | ოზურგეთი |
| 96 | ოზურგეთი |
| 1945 | ოზურგეთი |
| 94 | ოზურგეთი |
| 976 | ოზურგეთი |
| 433 | ოზურგეთი |
| 977 | ოზურგეთი |
| 1281 | ოზურგეთი |
| 975 | ოზურგეთი |
| 810 | ოზურგეთი |
| 1308 | ოზურგეთი |
| 2349 | ჩოხატაური |
| 339 | ჩოხატაური |
| 249 | ჩოხატაური |
| 159 | ლანჩხუთი |
| 434 | ლანჩხუთი |
| 2329 | ლანჩხუთი |
| 370 | ფოთი |
| 1304 | ფოთი |
| 1049 | ფოთი |
| 410 | ვანი |
| 1077 | ვანი |
| 1417 | ვანი |
| 1690 | ვანი |
| 2142 | ვანი |
| 2147 | ვანი |
| 2208 | ვანი |
| 1076 | სამტრედია |
| 1579 | სამტრედია |
| 2246 | სამტრედია |
| 178 | სამტრედია |
| 177 | სამტრედია |
| 667 | სამტრედია |
| 2638 | სამტრედია |
| 2345 | სამტრედია |
| 2638 | სამტრედია |
| 54 | ხონი |
| 2153 | ხონი |
| 2232 | ხონი |
| 2258 | ხონი |
| 2730 | ხონი |
| 25 აპრილი | |
| 421 | საჩხერე |
| 688 | საჩხერე |
| 1061 | საჩხერე |
| 1213 | საჩხერე |
| 1214 | საჩხერე |
| 1715 | საჩხერე |
| 1809 | საჩხერე |
| 2429 | საჩხერე |
| 301 | საჩხერე |
| 971 | საჩხერე |
| 680 | ჭიათურა |
| 687 | ჭიათურა |
| 1264 | ჭიათურა |
| 1716 | ჭიათურა |
| 241 | ჭიათურა |
| 2318 | ჭიათურა |
| 3607 | ჭიათურა |
| 1512 | ჭიათურა |
| 1603 | ზესტაფონი |
| 760 | ზესტაფონი |
| 1081 | ზესტაფონი |
| 1932 | ზესტაფონი |
| 2538 | ზესტაფონი |
| 1601 | ზესტაფონი |
| 1860 | ზესტაფონი |
| 2128 | ზესტაფონი |
| 525 | ზესტაფონი |
| 3737 | ზესტაფონი |
| 2587 | ზესტაფონი |
| 728 | ზესტაფონი |
| 1710 | ზესტაფონი |
| 2332 | ზესტაფონი |
| 305 | ხარაგაული |
| 1039 | ხარაგაული |
| 1651 | ხარაგაული |
| 2082 | ხარაგაული |
| 2083 | ხარაგაული |
| 3051 | ხარაგაული |
| 2356 | ხარაგაული |
| 26 აპრილი | |
| 26 | აბაშა |
| 4526 | აბაშა |
| 1157 | სენაკი |
| 1664 | სენაკი |
| 3702 | სენაკი |
| 1620 | სენაკი |
| 1321 | სენაკი |
| 3062 | სენაკი |
| 2193 | მარტვილი |
| 3513 | მარტვილი |
| 2394 | მარტვილი |
| 350 | მარტვილი |
| 2371 | მარტვილი |
| 2392 | მარტვილი |
| 1555 | მარტვილი |
| 4527 | მარტვილი |
| 3094 | მარტვილი |
| 1171 | ხობი |
| 1530 | ხობი |

| № | ტერიტორიული ორგანოს (რ-ნის) დასახელება |
|---|---|
| 4100 | ხობი |
| 619 | ხობი |
| 1056 | ხობი |
| 1473 | ხობი |
| 4044 | ხობი |
| 4126 | ხობი |
| 1142 | ხობი |
| 2338 | ჩხოროწყუ |
| 821 | ჩხოროწყუ |
| 2334 | ჩხოროწყუ |
| 880 | ჩხოროწყუ |
| 2674 | ჩხოროწყუ |
| 658 | ჩხოროწყუ |
| 28 | წალენჯიხა |
| 104 | წალენჯიხა |
| 1578 | წალენჯიხა |
| 1698 | წალენჯიხა |
| | **27 აპრილი** |
| 743 | ქუთაისი |
| 1857 | ქუთაისი |
| 2143 | ქუთაისი |
| 491 | ქუთაისი |
| 1392 | ქუთაისი |
| 1602 | ქუთაისი |
| 3039 | ქუთაისი |
| 4017 | ქუთაისი |
| 352 | ქუთაისი |
| 1749 | ქუთაისი |
| 1811 | ქუთაისი |
| 1394 | ქუთაისი |
| 3146 | ქუთაისი |
| 529 | ქუთაისი |
| 1826 | ქუთაისი |
| 1835 | ქუთაისი |
| 2167 | ქუთაისი |
| 3534 | ქუთაისი |
| 734 | ქუთაისი |
| 963 | ქუთაისი |
| 967 | ქუთაისი |
| 1317 | ქუთაისი |
| 1639 | ქუთაისი |
| 1750 | ქუთაისი |
| 4590 | ქუთაისი |
| | **28 აპრილი** |
| 1370 | ქუთაისი |
| 541 | ქუთაისი |
| 1333 | ქუთაისი |
| 4599 | ქუთაისი |
| 876 | ქუთაისი |
| 1315 | ქუთაისი |
| 1385 | ქუთაისი |
| 2345 | ქუთაისი |
| 3012 | ქუთაისი |
| 877 | ქუთაისი |
| 4503 | ქუთაისი |
| 1316 | ქუთაისი |
| 1918 | ქუთაისი |
| 2655 | ქუთაისი |
| 1640 | ქუთაისი |
| 4021 | ქუთაისი |
| 1391 | ქუთაისი |
| 1818 | ქუთაისი |
| 2609 | ქუთაისი |
| 3031 | ქუთაისი |
| 4146 | ქუთაისი |
| 136 | ქუთაისი |
| 223 | ქუთაისი |
| 1257 | ქუთაისი |
| 1552 | ქუთაისი |
| 2412 | ქუთაისი |
| 2504 | ქუთაისი |
| 2650 | ქუთაისი |
| 2728 | ქუთაისი |
| 4551 | ქუთაისი |
| | **3 მაისი** |
| 1465 | ზუგდიდი |
| 4562 | ზუგდიდი |
| 1432 | ზუგდიდი |
| 1095 | ზუგდიდი |
| 2139 | ზუგდიდი |
| 2741 | ზუგდიდი |
| 3197 | ზუგდიდი |
| 744 | ზუგდიდი |
| 3034 | ზუგდიდი |
| 2288 | ზუგდიდი |
| 39 | ზუგდიდი |
| 1464 | ზუგდიდი |
| 4162 | ზუგდიდი |
| 2188 | ზუგდიდი |
| 2189 | ზუგდიდი |
| 127 | ზუგდიდი |
| 1413 | ზუგდიდი |
| 2328 | ზუგდიდი |
| 1365 | ზუგდიდი |
| 1580 | ზუგდიდი |
| 304 | ზუგდიდი |
| 1581 | ზუგდიდი |
| 2740 | ზუგდიდი |
| 958 | ზუგდიდი |
| 2698 | ზუგდიდი |
| 1665 | ზუგდიდი |
| 2284 | ზუგდიდი |
| 1111 | ზუგდიდი |
| 2236 | ზუგდიდი |
| 592 | ზუგდიდი |
| 2187 | ზუგდიდი |
| 1545 | ზუგდიდი |
| 2024 | ზუგდიდი |
| 2408 | ზუგდიდი |
| 3612 | ზუგდიდი |
| 3617 | ზუგდიდი |
| 3620 | ზუგდიდი |
| | **4 მაისი** |
| 2567 | ბაღდათი |
| 2632 | ბაღდათი |
| 2637 | ბაღდათი |
| 164 | ბაღდათი |
| 918 | ცაგერი |
| 1572 | ცაგერი |
| 3091 | ცაგერი |
| 3704 | ცაგერი |
| 1704 | ცაგერი |
| 114 | ონი |
| 163 | ონი |
| 1014 | ონი |
| 199 | ონი |
| 135 | ამბროლაური |
| 140 | ამბროლაური |
| 492 | ამბროლაური |
| 3725 | ამბროლაური |
| 1700 | ამბროლაური |
| 1884 | ამბროლაური |
| 1902 | ამბროლაური |
| 1927 | ამბროლაური |
| 2036 | ამბროლაური |
| 2799 | ამბროლაური |
| 3553 | ამბროლაური |
| 4039 | ამბროლაური |
| 4541 | ამბროლაური |
| 4594 | ამბროლაური |
| 610 | წყალტუბო |
| 612 | წყალტუბო |
| 875 | წყალტუბო |
| 2137 | წყალტუბო |
| 3587 | წყალტუბო |
| 1492 | წყალტუბო |
| 2396 | წყალტუბო |
| 2656 | წყალტუბო |
| 4593 | წყალტუბო |
| 155 | ტყიბული |
| 287 | ტყიბული |
| 1212 | ტყიბული |
| 2086 | ტყიბული |
| 2181 | ტყიბული |
| 2776 | ტყიბული |
| 1949 | ტყიბული |
| 4099 | ტყიბული |
| | **5 მაისი** |
| 2062 | მესტია |
| 4105 | მესტია |
| 1628 | მესტია |
| 1066 | ლენტეხი |
| 2035 | ლენტეხი |
| 3647 | ლენტეხი |
| 2062 | მესტია |
| 4105 | მესტია |
| 1628 | მესტია |
| 1066 | ლენტეხი |
| 2035 | ლენტეხი |
| 3647 | ლენტეხი |
| 148 | თერჯოლა |
| 1489 | თერჯოლა |
| 1119 | თერჯოლა |
| 380 | თერჯოლა |
| 693 | თერჯოლა |
| 1054 | თერჯოლა |
| 1564 | თერჯოლა |
| 1858 | თერჯოლა |
| 1034 | თერჯოლა |
| 2129 | თერჯოლა |
| 1543 | თერჯოლა |
| 390 | ახალგორი |
| 1896 | ახალგორი |
| 3512 | ახალგორი |
| 435 | ქურთის თემი |
| 1040 | ქურთის თემი |
| 1041 | ქურთის თემი |
| 2648 | ქურთის თემი |
| 1002 | ერედვი |
| 1598 | ერედვი |
| 1510 | ცხინვალი |
| 1767 | ცხინვალი |
| 3668 | ცხინვალი |
| 3669 | ცხინვალი |
| | **6 მაისი** |
| 116 | ბორჯომი |
| 682 | ბორჯომი |
| 3028 | ბორჯომი |
| 1611 | ბორჯომი |
| 2009 | ბორჯომი |
| 2228 | ბორჯომი |
| 1964 | ბორჯომი |
| 3202 | ბორჯომი |
| 1045 | ხაშური |
| 340 | ხაშური |
| 1087 | ხაშური |
| 1718 | ხაშური |
| 3161 | ხაშური |
| 1048 | ხაშური |
| 1453 | ხაშური |
| 3695 | ხაშური |
| 724 | ხაშური |
| 2537 | ხაშური |
| 3515 | ხაშური |
| 4681 | ახალქალაქი |
| 93 | ახალციხე |
| 269 | ახალციხე |
| 270 | ახალციხე |
| 271 | ახალციხე |
| 272 | ახალციხე |
| 719 | ახალციხე |
| 1136 | ახალციხე |
| 2435 | ახალციხე |
| 2770 | ახალციხე |
| 100 | ადიგენი |
| 4005 | ადიგენი |
| 2390 | ადიგენი |
| 1075 | ასპინძა |
| | **10 მაისი** |
| 1043 | ქარელი |
| 449 | ქარელი |
| 2150 | ქარელი |
| 1561 | ქარელი |
| 1520 | გორი |
| 2625 | გორი |
| 4049 | გორი |
| 1354 | გორი |
| 1348 | გორი |
| 1524 | გორი |
| 1349 | გორი |
| 151 | გორი |
| 1350 | გორი |
| 2335 | გორი |
| 2267 | გორი |
| 2266 | გორი |
| 1523 | გორი |
| 3530 | გორი |
| 1585 | გორი |
| 1522 | გორი |
| 3040 | გორი |
| 1351 | გორი |
| 1353 | გორი |
| 2108 | გორი |
| 3572 | გორი |
| 1338 | გორი |
| 2623 | გორი |
| 3571 | გორი |
| 600 | გორი |
| 1873 | გორი |
| 2295 | გორი |
| 200 | გორი |
| 673 | გორი |
| 773 | გორი |
| 1493 | გორი |
| 1702 | გორი |
| 4041 | გორი |
| | **11 მაისი** |
| 27 | კასპი |
| 55 | კასპი |
| 110 | კასპი |
| 2440 | კასპი |
| 3588 | კასპი |
| 1821 | კასპი |
| 2391 | კასპი |
| 608 | კასპი |
| 1215 | კასპი |
| 2369 | კასპი |
| 4086 | კასპი |
| 225 | დუშეთი |
| 396 | დუშეთი |
| 1068 | დუშეთი |
| 2539 | დუშეთი |
| 3008 | დუშეთი |
| 2093 | დუშეთი |
| 120 | თიანეთი |
| 4040 | თიანეთი |
| 338 | თიანეთი |
| 791 | თიანეთი |
| 285 | ყაზბეგი |
| 487 | ყაზბეგი |
| 772 | ყაზბეგი |
| 1047 | ყაზბეგი |
| 422 | ყაზბეგი |
| 4561 | მარნეული |
| 2522 | მარნეული |
| 3162 | მარნეული |
| 403 | მარნეული |
| 31 | მარნეული |
| 2462 | მარნეული |
| 1021 | მარნეული |
| 1685 | მარნეული |
| 21 | მარნეული |
| 374 | მარნეული |
| 1008 | მარნეული |
| 1023 | მარნეული |
| 1631 | მარნეული |
| 4023 | მარნეული |
| | **12 მაისი** |
| 2048 | მცხეთა |
| 3523 | მცხეთა |
| 61 | მცხეთა |
| 24 | მცხეთა |
| 1028 | მცხეთა |
| 34 | მცხეთა |
| 111 | მცხეთა |
| 1526 | მცხეთა |
| 2547 | მცხეთა |
| 232 | მცხეთა |
| 516 | მცხეთა |
| 1660 | მცხეთა |
| 2326 | მცხეთა |
| 2727 | მცხეთა |
| 689 | მცხეთა |
| 1138 | მცხეთა |
| 1290 | მცხეთა |
| 1613 | მცხეთა |
| 2015 | მცხეთა |
| 2508 | მცხეთა |
| 4154 | მცხეთა |
| 30 | ბოლნისი |
| 37 | ბოლნისი |
| 227 | ბოლნისი |
| 262 | ბოლნისი |
| 1141 | ბოლნისი |
| 2524 | ბოლნისი |
| 1455 | ბოლნისი |
| 1550 | ბოლნისი |
| 1567 | ბოლნისი |
| 1568 | ბოლნისი |
| 1622 | ბოლნისი |
| 302 | დმანისი |
| 530 | დმანისი |
| 2558 | დმანისი |
| 579 | დმანისი |
| 1742 | დმანისი |
| 126 | დმანისი |
| | **13 მაისი** |
| 1083 | გარდაბანი |
| 907 | გარდაბანი |
| 3657 | გარდაბანი |
| 4588 | გარდაბანი |
| 2543 | გარდაბანი |
| 509 | გარდაბანი |
| 3656 | გარდაბანი |
| 1798 | გარდაბანი |
| 46 | გარდაბანი |
| 638 | გარდაბანი |
| 911 | გარდაბანი |
| 956 | გარდაბანი |
| 959 | გარდაბანი |
| 2081 | გარდაბანი |
| 2454 | გარდაბანი |
| 3711 | გარდაბანი |
| 119 | თეთრიწყარო |
| 3666 | თეთრიწყარო |
| 2545 | თეთრიწყარო |
| 2607 | თეთრიწყარო |
| 3073 | თეთრიწყარო |
| 113 | წალკა |
| 797 | წალკა |
| 1320 | წალკა |
| 3170 | წალკა |
| 571 | საგარეჯო |
| 575 | საგარეჯო |
| 1236 | საგარეჯო |
| 290 | საგარეჯო |
| 2158 | საგარეჯო |
| 1094 | საგარეჯო |
| 4566 | საგარეჯო |
| 4565 | საგარეჯო |
| 48 | საგარეჯო |
| 66 | საგარეჯო |
| 328 | საგარეჯო |
| 394 | საგარეჯო |
| 1470 | საგარეჯო |
| 4554 | საგარეჯო |
| 4663 | საგარეჯო |
| | **16 მაისი** |
| 764 | გურჯაანი |
| 830 | გურჯაანი |
| 1112 | გურჯაანი |
| 4598 | გურჯაანი |
| 2482 | გურჯაანი |
| 2073 | გურჯაანი |
| 519 | გურჯაანი |
| 1070 | გურჯაანი |
| 1776 | გურჯაანი |
| 2710 | გურჯაანი |
| 1558 | თელავი |
| 117 | თელავი |
| 1216 | თელავი |
| 2570 | თელავი |
| 156 | თელავი |
| 1502 | თელავი |
| 928 | თელავი |
| 2722 | თელავი |
| 215 | თელავი |
| 1079 | თელავი |
| 1405 | თელავი |
| 1922 | თელავი |
| 2061 | თელავი |
| 925 | თელავი |
| 2719 | თელავი |
| 4597 | თელავი |
| 2675 | თელავი |
| 1916 | თელავი |
| 770 | თელავი |
| 1751 | თელავი |
| 22 | თელავი |
| 23 | თელავი |
| 966 | თელავი |
| 1409 | თელავი |
| 2646 | თელავი |
| 4161 | თელავი |
| 3590 | თელავი |
| | **17 მაისი** |
| 1032 | ყვარელი |
| 1224 | ყვარელი |
| 556 | ყვარელი |
| 1067 | ყვარელი |
| 1843 | ყვარელი |
| 2695 | ყვარელი |
| 2457 | ყვარელი |
| 4113 | ყვარელი |
| 1064 | ლაგოდეხი |
| 1167 | ლაგოდეხი |
| 375 | ლაგოდეხი |
| 3730 | სიღნაღი |
| 3593 | სიღნაღი |
| 216 | სიღნაღი |
| 1926 | სიღნაღი |
| 2090 | სიღნაღი |
| 1994 | სიღნაღი |
| 171 | სიღნაღი |
| 814 | სიღნაღი |
| 2180 | სიღნაღი |
| 142 | ახმეტა |
| 1078 | ახმეტა |
| 1080 | ახმეტა |
| 364 | ახმეტა |
| 1057 | ახმეტა |
| 2723 | ახმეტა |
| 1229 | დედოფლისწყარო |
| 92 | დედოფლისწყარო |
| 91 | დედოფლისწყარო |
| 1155 | დედოფლისწყარო |
| 182 | დედოფლისწყარო |
| 1230 | დედოფლისწყარო |
| 2027 | დედოფლისწყარო |
| 2175 | დედოფლისწყარო |
| 2523 | დედოფლისწყარო |
| | **18 მაისი** |
| 1154 | აფხაზეთი |
| 1956 | აფხაზეთი |
| 1663 | აფხაზეთი |
| 2117 | აფხაზეთი |
| 1684 | აფხაზეთი |
| 3620 | აფხაზეთი |
| 829 | აფხაზეთი |
| 2728 | აფხაზეთი |
| 1368 | აფხაზეთი |
| 2164 | აფხაზეთი |
| 4585 | აფხაზეთი |
| 4624 | აფხაზეთი |
| 130 | აფხაზეთი |
| 131 | აფხაზეთი |
| 132 | აფხაზეთი |
| 467 | აფხაზეთი |
| 468 | აფხაზეთი |
| 505 | აფხაზეთი |
| 824 | აფხაზეთი |
| 1172 | აფხაზეთი |
| 1199 | აფხაზეთი |
| 1280 | აფხაზეთი |
| 1319 | აფხაზეთი |
| 1729 | აფხაზეთი |
| 2172 | აფხაზეთი |
| 2262 | აფხაზეთი |
| 2288 | აფხაზეთი |
| 2328 | აფხაზეთი |
| 2740 | აფხაზეთი |
| 2765 | აფხაზეთი |
| 950 | აფხაზეთი |

სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ტერიტორიულ ორგანოებში ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის მეორე ეტაპი (გასაუბრება) ჩატარდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროში წარმოდგენილი განრიგის მიხედვით დილის 9 საათიდან.

მისამართი: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, მოქალაქეთა მისაღები, გრიბოედოვის ქ. N10;

ტელ: 758267

ელ-ფოსტა: ministry@justice.gov.ge

## კრიზისი გრძელდება

ენერგოკრიზისი ისევ გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ჰიდროელექტროსადგურებში წყლის შემოდინება უკვე დაიწყო, "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" დამაიმედებელ პროგნოზებს, ჯერჯერობით, ვერ აკეთებენ. საქმე ისაა, რომ ქვეყნის სეზონური სადგურები, რა დატვირთვითაც არ უნდა იმუშაონ მათ, არსებულ 100-130-მეგავატიან დეფიციტს ბოლომდე ვერ მოხსნიან.

საქმეს ვერც სომხეთიდან ("ალავერდის" ხაზით) და რუსეთიდან ("სალხინოს" ხაზით) შემოტანილი სიმძლავრეები შველის. 300-მეგავატიანი მეცხრე ბლოკიც მხოლოდ 200 მეგავატ სიმძლავრეს გამოიმუშავებს.

შედეგად, ენერგოსისტემაში არსებული რესურსები ისევ შეზღუდვებით იხარჯება. რეგიონებში დენი მხოლოდ სასიცოცხლო ობიექტებს მიეწოდება, თბილისში კი ცალკეულ უბნებს დროგამოშვებით ისევ თიშავენ.

შეზღუდვების სისტემის მოსაწესრიგებლად, ენერგოკომპანიებსა და ელექტროსადგურებს საბითუმო ბაზარმაც ახალი ლიმიტები დაუმტკიცა, რომელიც 31 მარტამდე იქნება ძალაში. საერთო ჯამში, ენერგომომარაგებაში შეზღუდვამ, ტექნიკური დანაკარგების გათვალისწინებით, 3,9 მლნ კვტ.სთ. შეადგინა, პიკის საათებში - 250 მეგავატი.

*24 საათი*

## ყაზახეთი საქართველოს ტრანზიტული პოტენციალით არის დაინტერესებული

პირველი გვერდიდან

დღეს მრავალი სფეროს საქმიანი წრეები დაინტერესებულნი არიან, რომ აზიური კონტინენტის სხვა ქვეყნებმა ტვირთბრუნვის მოცულობის გაზრდა შეძლონ ყაზახეთის დახმარებით, რომელიც იყენებს რა შავი ზღვის პორტებს - ფოთს, ბათუმს ტრანზიტული ტვირთის გადასაადგილებლად, ტვირთი იგზავნება ყველა მიმართულებით, მათ შორის - რუსეთში, შავი ზღვის ქვეყნებში თუ ხმელთაშუა ზღვის არეალში.

ოფიციალური ვიზიტის პარალელურად, გაიმართება საქმიანი წრეების შეხვედრა, სადაც წარმოდგენილი იქნება ორი ქვეყნის მსხვილი ეროვნული კომპანიები, რომლებიც საუკეთესო პროდუქციით წარდგებიან. მე როგორც ვიცი, საქართველოს მხრიდან წარმოდგენილი იქნება 20-25 კომპანია, რომლებიც ცნობილნი არიან ღვინის, კონიაკის, ასევე ჩაის, წვენების მწარმოებელი პროდუქციით. ყაზახი კოლეგები წარმოადგენენ შემდეგ პროდუქტს - ხორბალი, ფერადი ლითონი, ბამბა, აბრეშუმი, და კავკასიის ბაზრისთვის აუცილებელი პროდუქტი - ნავთობი. სავარაუდოდ, ეს ბიზნეს ფორუმი კარგი შედეგის მომტანი იქნება ორივე ქვეყნისთვის.

**- საქმიან წრეებთან რა საკითხები იქნება განხილული?**

- პირველ ეტაპზე, ყაზახეთის საქმიანი წრეების დახმარებით, საქართველო აზიური ბაზრის წევრი უნდა გახდეს. ჩვენთან კარგად არის განვითარებული საბანკო სტრუქტურა, აზიური ბანკის განვითარების ინსტიტუტმა თავისი ფილიალები მრავალ რეგიონში გახსნა. შარშან მიღწეული მოლაპარაკებების საფუძველზე, წელს პირველად ვხსნით საქართველო-ყაზახეთის ერთობლივ ბანკს, თქვენთან არსებულ "სილქ როუდ ბანკში" შემოდის აზიის ყველაზე სერიოზული საბანკო სტრუქტურა, რომელიც აქციების 70 პროცენტს შეიძენს. ეს იქნება კრედიტებისა თუ გრანტების მიღების კიდევ ერთი შესაძლებლობა, რაც ნებისმიერი მომხმარებლისთვის სასარგებლოა, ორი ქვეყნის მეწარმეებს კი საშუალება ექნებათ, კიდევ უფრო კარგად გაიცნონ ერთმანეთი

**- რითი არიან დაინტერესებული საქართველოში ყაზახეთის საქმიანი წრეები?**

- საქართველო, აზერბაიჯანი და თურქეთი სერიოზულ ყურადღებას უთმობენ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის დამთავრებას. ამ საკითხის ირგვლივ ყაზახეთმაც გამოთქვა თავისი პოზიცია - რომ ჩვენი ქვეყანა მზად არის, უახლოეს პერიოდში 10-20 მილიონი ტონა ნავთობი მიაწოდოს მოხმარებისათვის ამ არხს. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მოცულობა 50 მილიონ ტონას იტევს, აქედან, ყაზახეთის მხარე 1/5 წილის მიწოდებას თანხმდება, რომელიც მომავალში გაიზრდება და მთელი მოცულობის 3/4-ს დაფარავს. პერსპექტივაში, ყაზახეთისა და საქართველოს ურთიერთობები კიდევ უფრო განვითარდება, თუ ამ სფეროში, როგორიც არის ნავთობის მოპოვება, ურთიერთობებს დავარეგულირებთ.

ჩვენ სურვილი გვაქვს, მონაწილეობა მივიღოთ საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური ზრდის პროცესში. ყაზახეთი მზადაა, თვითონ გახდეს ინვესტორი სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკურ სივრცეში, ჩვენ გვინდა დავეხმაროთ საქართველოს, მივცეთ გარკვეული გრანტები. დღეს ყაზახეთის რესპუბლიკა თვითონ დებს ინვესტიციებს სხვადასხვა ქვეყნებში. ჩვენ დღეს მზად ვართ, შევიძინოთ ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტები, როგორიც არის ფოთში, ბათუმში საზღვაო ტერმინალი. ძალიან გვინდა, მონაწილეობა მივიღოთ ისეთ პროექტში, როგორიც არის წითელი ხიდის მშენებლობა. ყაზახეთი, როგორც მოგეხსენებათ, მეტალურგიული ქვეყანაა. შეგვიძლია დავეხმაროთ საქართველოს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ამუშავებაში.

თუმცა, ყველაფერი დამოკიდებულია თქვენს არჩევანზე, თუ რა კონსტრუქციული წინადადებით ჩამოვა საქართველოს პრეზიდენტი ჩვენს ქვეყანაში.

***ესაუბრა ელენე ფარადაშვილი***

## სოფელი გლდანი, ჯერჯერობით, დენს ვერ მიიღებს

*28 მარტს სოფელ გლდანის მოსახლეობამ, რომელსაც "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" (სგსე) ერთ-ერთ ყველაზე "ურჩ" გადამხდელად ასახელებს, ელექტროენერგიის მოთხოვნით თბილისიდან მცხეთისკენ მიმავალი გზა გადაკეტა. საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის (სგსე) განცხადებით, მცხეთა-მთიანეთის ფილიალში ბოლოდროინდელი შეზღუდვები საქართველოს ენერგოსექტორში შექმნილ მწვავე დეფიციტს უკავშირდება.*

ენერგოკომპანიაში განმარტავენ, რომ პიკის საათებში, საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მცხეთა-მთიანეთის ფილიალს, საჭირო 50 მეგავატის ნაცვლად, 10 მეგავატი ელექტროენერგია მიეწოდება. როგორც ენერგოკომპანიაში აცხადებენ, ეს რესურსი მხოლოდ რამდენიმე 100-პროცენტიანი გადამხდელი ობიექტის ენერგომომარაგებისთვის არის საკმარისი.

**"მწირი ენერგორესურსების განაწილებისას სადისტრიბუციო ენერგოკომპანია ვერ უზრუნველყოფს სოფელ გლდანის სტაბილურ ენერგომომარაგებას. სოფელ გლდანის ენერგომომარაგებაზე უარყოფითად მოქმედებს გლდანის აბონენტების გადახდის მაჩვენებლებიც, რომელიც ტრანსფორმატორების დონეზე კატასტროფულად დაბალია. მაგალითად, სტაბილური ენერგომომარაგების პერიოდში, თებერვლის თვეში სოფელ გლდანის 1075 აბონენტის გადახდა მოხმარებული ელექტროენერგიის მხოლოდ 3.5 პროცენტს შეადგენდა,"** – აცხადებენ სგსე-ში.

24 მარტს სოფელ გლდანში ენერგოკომპანიის ბალანსზე მყოფ ტრანსფორმატორზე ავარიული დაზიანება მოხდა. სოფელ გლდანის მოსახლეობამ ენერგოკომპანიას გადამწვარი ტრანსფორმატორის შეკეთება მოსთხოვა. აღნიშნულთან დაკავშირებით, სგსე მცხეთა-მთიანეთის ფილიალში აცხადებენ, რომ **"ტრანსფორმატორების შეკეთებისთვის ენერგოკომპანიის მხრიდან თანხების გამოყოფას დაზიანებულ ტრანსფორმატორზე თანხის ამოღების მაჩვენებელი განსაზღვრავს. ხშირ შემთხვევაში, ავარიულ ტრანსფორმატორებზე გადახდის კატასტროფულად დაბალი მაჩვენებელი ენერგოკომპანიას მათი შეკეთების საშუალებას არ აძლევს და ისინი ოფიციალურად გადაუხდელობის გამო გამორთულ ტრანსფორმატორებად ცხადდება."** კომპანიის განცხადებით, საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია გადამხდელი ტრანსფორმატორებისთვის დენის სტაბილური მიწოდების მიზნით ფილიალის მომსახურების მთელს ტერიტორიაზე არგადამხდელი ტრანსფორმატორების ჩაჭრას გააგრძელებს.

მცხეთა-მთიანეთის ფილიალში ტრანსფორმატორების დონეზე დენის მოხმარება-ამოღების მაჩვენებლების გამჭვირვალობის მიზნით, სგსე-მ ტრანსფორმატორებზე კომუნალური მრიცხველების დამონტაჟება დაიწყო. კერძოდ, სოფელ გლდანში ტრანსფორმატორებზე კომუნალური მრიცხველების დამონტაჟება ორ კვირაში დაიწყება.

*24 საათი*

## ენერგეტიკა და რეგიონების დეცენტრალიზაცია მსოფლიო ბანკის ყურადღების ცენტრში

### პარლამენტის თავმჯდომარემ მსოფლიო ბანკის ექსპერტები დახურულ კარს მიღმა მიიღო

მაია ურუშაძე

*მსოფლიო ბანკი საქართველოს ხელისუფლებას პრიორიტეტების დაკონკრეტებას სთხოვს, ხელისუფლება კი ბანკის წარმომადგენლებს საქართველოს სხვა დონორებთან უფრო მეტი კოორდინაციისკენ მოუწოდებს. როგორც გაირკვა, მსოფლიო ბანკის ექსპერტები კრისტიან პეტერსენი და ასიტა დე სილვა, რომლებიც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ გუშინ, დახურულ კარს მიღმა მიიღო, ბანკის მიერ საქართველოში 1997 წლიდან დღემდე დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობით კმაყოფილები არიან, სამომავლოდ კი ბანკის საქმიანობის კონკრეტულ პრობლემებზე უფრო მეტად ფოკუსირებას უჭერენ მხარს. შეხვედრას ეკონომიკური პროფილის კომიტეტების თავმჯდომარეებიც ესწრებოდნენ.*


ილია ლომთათიძის ფოტო

*მსოფლიო ბანკი აქცენტებს ენერგოსექტორისა და რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების დაფინანსებაზე აკეთებს.*

უახლოესი სამი-ოთხი წლის განმავლობაში მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი თანხები, ძირითადად, ენერგოსექტორის განვითარებასა და რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების განხორციელებას უნდა მოხმარდეს.

საუბარი შეეხება 60-მილიონ დოლარიან პროგრამას, რომლის განხორციელებასაც მსოფლიო ბანკი საქართველოში სამ ტრანშად გეგმავს. პირველი ტრანშით, რომლის მიღებასაც საქართველოს მთავრობა უკვე სექტემბრისთვის ვარაუდობს, ენერგეტიკა და რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარება დაფინანსდება. პრიორიტეტებს შორისაა ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალური სფეროებიც. მანამდე, სანამ მსოფლიო ბანკის ტრანშები წამოვა, უნდა შემუშავდეს მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც ბანკის პროექტების უშუალო მოსარგებლეების შერჩევა უნდა მოხდეს. ეს იმისათვის არის საჭირო, რომ ბანკის დახმარება მართლაც ყველაზე გაჭირვებულ ფენას მოხმარდეს.

ამასთან, ექსპერტები ითხოვენ, რომ საქართველოს მთავრობამ ჩამოაყალიბოს ერთიანი საშუალოვადიანი სტრატეგია, რომელიც თავსებადი იქნება ბანკის სტრატეგიასთან. ამ შემთხვევაში ბანკი, პრობლემებზე უფრო მეტად ფოკუსირებას შეძლებს, რაც მსოფლიო ბანკის საქართველოში მოღვაწეობის ეფექტურობას უფრო აამაღლებს.

გუშინდელ შეხვედრაზე პარლამენტის თავმჯდომარემ ბანკის ექსპერტებს კიდევ ერთხელ დაუდასტურა, რომ პრიორიტეტები, რომელთა მიხედვითაც მსოფლიო ბანკი საქართველოში უახლოესი სამი-ოთხი წლის განმავლობაში იმუშავებს, საქართველოს ხელისუფლების ერთიანი პოზიციაა.

მსოფლიო ბანკი ქვეყნის სამომავლო განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტად რეგიონების დეცენტრალიზებას მიიჩნევს. თუმცა, პარლამენტის თავმჯდომარის აზრით, დეცენტრალიზაციის წინაპირობად რეგიონული პროგრამების განვითარება უნდა იქცეს.

სწორედ ამ ჭრილში, ნინო ბურჯანაძემ მსოფლიო ბანკის ექსპერტებს ქუთაისის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ყურადღების გამახვილება სთხოვა. პარლამენტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ სიღარიბესთან ბრძოლა წარმოუდგენელია, თუ ქვეყნის რეგიონები სოციალ-ეკონომიკურად არ განვითარდებიან. ბანკის ექსპერტთა აზრით, ქუთაისის განვითარებაზე ზრუნვა შესაძლებელი იქნება რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტების ფარგლებში, პილოტ-პროგრამის სახით.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ბანკის ექსპერტები საქართველოში ბანკის განვლილი მუშაობის შეფასებისა და სამომავლო სამოქმედო გეგმების დაკონკრეტების მიზნით იმყოფებიან.

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

**პროკრედიტ ბანკი** აცხადებს კლიენტთა მომსახურების განყოფილების (ბანკის ფილიალის ან სერვის-ცენტრის საოპერაციოს) უფროსის ვაკანსიებს.

**მოთხოვნები:**

- უმაღლესი განათლების დიპლომი, სასურველია ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის ან ფინანსების დარგში
- ბანკში კლიენტთა მომსახურების დეპარტამენტში მუშაობის მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება
- საბანკო ოპერაციების კარგი ცოდნა
- კლიენტთა მომსახურების პრინციპების სიღრმისეული ცოდნა
- მართვის, ორგანიზაციული და პრობლემათა გადაჭრის ეფექტური უნარ-ჩვევები
- კომუნიკაბელობა
- ქართული, ინგლისური და რუსული ენების ცოდნა

დაინტერესებულმა პირებმა დოკუმენტები უნდა გამოაგზავნონ ქვემოთ მითითებულ მისამართზე

- CV ფოტოთი
- დიპლომის და/ან სერტიფიკატების ასლები
- რეკომენდაციები

პროკრედიტ ბანკი, საქართველო
სათაო ოფისი, აღმაშენებლის გამზირი N 154, თბილისი 0112 ან შემდეგ ელექტრონულ მისამართზე carrier@ procreditbank.ge

განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა: 30 მარტი 2005 წ.
გთხოვთ თქვენს CV-ში ან ელექტრონულ ფოსტის გრაფაში მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი განაცხადი არ განიხილება.

ქალაქ თბილისის მერიის
სამოქალაქო მონაწილეობისა
და ინტეგრაციის
**საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსი**
Tbilisi City Service - Tbilisi Corps

დედაქალაქის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსი 1 აპრილიდან იწყებს განაცხადების მიღებას თბილისის მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტებისა და სახურავების შესაკეთებლად საჭირო თანხების მოთხოვნის მიზნით.

დაფინანსების მოთხოვნით, თბილისის კორპუსისათვის საპროექტო განაცხადით მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობას.

1992 წლის შემდგომ, როდესაც საქართველოში დაიწყო მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ბინების პრივატიზება, მობინადრეთა უმრავლესობა ბინის მესაკუთრე გახდა. მრავალბინიანი სახლის ეზოს, მიმდებარე მიწის ნაკვეთის, კიბის უჯრედების, სხვენის, შენობის მზიდი კონსტრუქციების, ლიფტების, საძირკვლის და სახურავის მოვლა-პატრონობა ბინის მესაკუთრეთა მოვალეობაა.

ბინისა და არასაცხოვრებელი ფართის მესაკუთრეთა ამხანაგობა იქმნება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში. ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი, ის არარეგისტრირებული კავშირია. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულება საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობაა.

ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობებს თბილისის კორპუსში განაცხადების შეტანა შეუძლიათ ყოველი თვის 1-დან 10 რიცხვის ჩათვლით.

**დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ინტერნეტ გვერდზე - www.tbilisicorps.ge
მისამართი: აღმაშენებლის 89/24,
"თბილქალაქპროექტის" შენობა, II სართული.
ტელ.: 952034**

უცხოეთი

## ინდონეზიაში სტიქიური უბედურება 3 თვეში განმეორდა

*28 მარტი. ინდონეზია. კუნძული ნიასი. ადგილობრივი დროით 23:09 სთ. რიხტერის სკალით 8.7 ბალის სიძლიერის მიწისძვრა, რომელიც, თვითმხილველთა თქმით, 2-3 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა - ასეულობით მსხვერპლი და პანიკაში ჩავარდნილი მოსახლეობა. გამთენიისას კი ღამეულ კოშმარს ცუნამიც ემატება.*

ინდონეზიაში, რომელსაც დეკემბრის ბოლოს უდიდესი მასშტაბის სტიქიური უბედურება დაატყდა თავს და 12 ქვეყანაში 300 000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, 3 თვეში იგივე მეორდება. ყველაზე მეტად ამჯერად სუმატრასთან ახლოს მდებარე კუნძულები - ნიასი და სიმეულუ დაზარალდა. მიწისძვრის ეპიცენტრი კუნძულ ნიასთან 90 კმ-ში იყო. ძლიერი მიწისძვრის შედეგად განადგურებულია შენობა-ნაგებობების 80 პროცენტი, პარალიზებულია საკომუნიკაციო საშუალებები. ინდონეზიის ვიცე-პრეზიდენტის თქმით, არ გამორიცხავენ მსხვერპლის რაოდენობის ზრდას 2 000 კაცამდე. ვინაიდან სეისმოლოგები ცუნამისაც ვარაუდობდნენ, ჯერ კიდევ გათენებამდე მოხერხდა სახიფათო ზონიდან ცოცხლად დარჩენილი მოსახლეობის ევაკუირება. ბიძგები იგრძნობოდა მალაიზიასა და ინდოეთშიც. ნიასი სუმატრის სანაპიროდან 200 კმ-ითაა დაშორებული და აჩეხის პროვინციის სამხრეთით მდებარეობს. აჩეხის პროვინცია კი გასული წლის დეკემბრის სტიქიური უბედურების კერა იყო.

ინდონეზიის პრეზიდენტი სუსილო ბამბანგ იუდჰოიონო გუშინ პირადად ეწვია სტიქიური უბედურების ზონას, რის გამოც, მან ავსტრალიაში დაგეგმილი ვიზიტიც გადადო. სტიქიით დაზარალებულ რაიონში ჩასულია ათასობით მაშველი.

რიხტერის სკალით, დაახლოებით, 7-7.5 ბალის სიმძლავრის მიწისძვრის შესახებ პროგნოზს ბრიტანელი სეისმოლოგები ერთი კვირის წინ აკეთებდნენ, რაც ჟურნალ Nature-შიც გამოქვეყნდა. მართალია, ოლსტერის უნივერსიტეტის მკვლევარებს არ დაუზუსტებიათ ვადები, მაგრამ არ გამორიცხავდნენ სეისმოლოგიაში "გუნდების" სახელით ცნობილი მიწისქვეშა ბიძგების შემთხვევას, რომელიც შეიძლება ერთი მძლავრი მიწისძვრის შემდეგ მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდეს.

28 მარტის მიწისძვრა, ინდონეზიაში გასული წლის დეკემბერში მომხდარ სტიქიურ უბედურებასთან ერთად, მსოფლიოს მასშტაბით მიწისძვრების ათეულში შევიდა. უკანასკნელი ასწლეულის განმავლობაში კი ყველაზე დამანგრეველი ძალის მქონედ 1960 წელს - ჩილეში, ხოლო 1964 წელს ალასკაზე მომხდარი მიწისძვრა ითვლება, რომლის სიმძლავრემაც, რიხტერის სკალით, 9.5 ბალი შეადგინა.

*24 საათი*

## ერაყის უსაფრთხოების ძალები ძლიერდება, პოლიტიკური კრიზისი კი - ღრმავდება

"წელიწადნახევრის შემდეგ უსაფრთხოებაზე კონტროლი მთლიანად ერაყის შეიარაღებული ძალების ხელში გადავა", - ამის შესახებ ორშაბათს ბაღდადში გამართულ პრესკონფერენციაზე ერაყის დროებითი მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრმა ფალაჰ ჰასან ან-ნაკიბმა განაცხადა.

მინისტრის თქმით, ერაყის სამხედროებმა და პოლიციელებმა უკვე დაიწყეს კოალიციის ჯარების ჩანაცვლება. "იმედი გვაქვს, მომავალი ზაფხულისთვის ერაყში მყოფი მრავალეროვანი პატრულის რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდება, - აცხადებს ნაკიბი, - ზოგიერთ ქალაქში კი საერთოდ აღარ იქნება".

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში საკმაოდ ეფექტური გახდა ერაყის დაზვერვა, რის შედეგადაც ამბოხებულებთან, ასევე კრიმინალებთან, ბრძოლა უფრო შედეგიანი გახდა. მინისტრი პირობას დებს, რომ ამბოხება ძალიან მალე ჩაიხშობა.

მიუხედავად იმედიანი განცხადებებისა, მინისტრი ვერ ასახელებს ამერიკული ჯარების (სწორედ ისინი შეადგენენ კოალიციის ძირითად ბირთვს) სრული გაყვანის საბოლოო თარიღს. მრავალი ერაყელი ჩინოვნიკის თქმით, ეს პროცესი პირდაპირპროპორციულად არის დამოკიდებული ერაყის უსაფრთხოების ძალების მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულების ხარისხზე.

წინა დღეს ერაყის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ განცხადება გააკეთა, რომ უშიშროების სამსახურებმა "მთავარი ტერორისტი" აბუ მუსაბ აზ-ზარქავის კვალს მიაგნეს და, სავარაუდოდ, უახლოეს ხანებში დააპატიმრებენ.

უსაფრთხოების ძალების "გაძლიერების" პარალელურად, დღეისთვის ერაყის უმთავრეს პრობლემას პოლიტიკური კრიზისის დარეგულირებაც წარმოადგენს. უკვე ორი თვე გავიდა საპარლამენტო არჩევნების ჩატარებიდან და ჯერჯერობით მთავრობის შემადგენლობაზე შეთანხმება მიღწეული არ არის. ერაყის ახალი პარლამენტი, სადაც უმრავლესობას, გასაგები მიზეზების გამო (ერაყელი სუნიტების უდიდესი ნაწილი 30 იანვარს საარჩევნო ურნებთან არ მისულა), შიიტები და ქურთები შეადგენენ, უკვე მესამე სხდომაა, ვერ თანხმდება პრეზიდენტისა და მთავრობის ხელმძღვანელის კანდიდატურაზე. გუშინ კიდევ ერთი უშედეგო სხდომა გაიმართა უსაფრთხოების მაქსიმალურად გაძლიერებული ზომების თანხლებით.

უნდა ითქვას, რომ თითქმის ყველა დამკვირვებელი ერთხმად მოუწოდებს არჩევნებში გამარჯვებულ ძალებს, რომ სუნიტებსაც მისცენ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის საშუალება. აშკარაა, ერაყში სტაბილური სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობა, სუნიტების მონაწილეობის გარეშე, სერიოზულ ეჭვებს აჩენს.

***ასოშიეითედ პრესი***

## ბუტანის მეფე აბსოლუტურ ძალაუფლებას ნებაყოფლობით ემშვიდობება

სულ მალე დედამიწაზე ერთი აბსოლუტური მონარქიით ნაკლები იქნება. ბუტანის მეფემ ჯიგმე სინგი ვანგჩუკმა ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო: უარი თქვას თვითმპყრობელობაზე და ქვეყანაში ორპარტიული დემოკრატიული სისტემა შემოიღოს. "ქვეყნის სუვერენიტეტი, სტაბილურობა და კეთილდღეობა ყველაფერზე მაღლა უნდა იდგეს. ქვეყანა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მეფე", - განაცხადა მონარქმა.

ვანგჩუკი, ალბათ, ბრიტანეთის მონარქის მსგავს ფუნქციებს იტვირთავს. სახელმწიფოს შემდგომ ბედს კი ხალხი გადაწყვეტს: ჯიგმე სინგი ვანგჩუკი ბუტანის ყველა ამომრჩეველს ძირითადი კანონის ახალი პროექტს გააცნობს და წლის ბოლოს სახალხო რეფერენდუმის შედეგად გადაწყდება მეფის ინიციატივის ბედი. მონარქი აცხადებს, რომ მზად არის, კონსტიტუციის ახალ პროექტთან დაკავშირებით ნებისმიერი წინადადება და შენიშვნა მიიღოს.

2001 წლიდან შემუშავების პროცესში არსებული ახალი კონსტიტუცია, სავარაუდოდ, ორპალატიან პარლამენტს დააფუძნებს – 75-წევრიანი ეროვნული ასამბლეით (ქვედა პალატა) და 25-წევრიანი ეროვნული საბჭოთი (ზედა პალატა). მართალია, ვანგჩუკი სახელმწიფოს მეთაურად დარჩება, მაგრამ, ორი მესამედის უმრავლესობით, პარლამენტს მისი იმპიჩმენტის უფლება ეძლევა.

შეიძლება ითქვას, რომ ბუტანი, ფაქტობრივად, ამჟამად უკვე დემოკრატიული მმართველობის ქვეყანაა. დარჩენილია მხოლოდ სახელმწიფო წყობის დე-იურედ შეცვლის დაფიქსირება.

ახალმა კონსტიტუციამ 1953 წლის სამეფო ბრძანებულება უნდა შეცვალოს, რომელიც მონარქს აბსოლუტურ ძალაუფლებას ანიჭებდა. მეფე ვანგჩუკი სამეფო ტახტზე 1974 წელს, 16 წლის ასაკში ავიდა. ის დინასტიის მეოთხე წარმომადგენელია, რომელიც ბუტანს 1907 წლიდან მართავს. მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ბუტანის სამეფო დიდი ბრიტანეთის პროტექტორატს წარმოადგენდა. 1949 წელს ბუტანმა დამოუკიდებლობა მიიღო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში ინდოეთის ხელისუფლების რჩევების გათვალისწინება იკისრა, როგორც - ვალდებულება. ქვეყნის მოსახლეობა 530 ათას ადამიანს შეადგენს.

*24 საათი*

## აზერბაიჯანში "ნარინჯისფერი მოძრაობა" შეიქმნა

ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის და ნავთობის აკადემიის სტუდენტთა ჯგუფმა აზერბაიჯანის "ნარინჯისფერი მოძრაობის" შექმნის შესახებ განცხადება გააკეთა. ამის შესახებ ინტერნეტ-საიტი "ნოვიე იზვესტია" იუწყება.

მოძრაობის წევრთა თქმით, მათი მიზანი ქვეყნის ხელისუფლების დამხობაა. რევოლუცია ნოემბრისთვისაა დაგეგმილი, როცა რესპუბლიკაში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება.

აზერბაიჯანის "ნარინჯისფერი მოძრაობის" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ განზრახული აქვთ, მხარი დაუჭირონ სამი წამყვანი ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციის - პარტია "მუსავათის", აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის რეფორმისტული ფრთისა და აზერბაიჯანის დემოკრატიული პარტიის წინასაარჩევნო ბლოკს.

"ნოვიე იზვესტიას" ჟურნალისტების არაოფიციალური მონაცემებით, აზერბაიჯანის "ნარინჯისფერი მოძრაობა" ამერიკის დემოკრატიის ინსტიტუტის ფინანსური მხარდაჭერითაა შექმნილი.

თებერვლის ბოლოს, აზერბაიჯანის პარლამენტის წევრმა ჯუმშუდ ნურიევმა განაცხადა, რომ სოროსის ფონდის მხარდაჭერით უკრაინის ლვოვის ოლქში უკრაინული ახალგაზრდული ორგანიზაციის "პორას" მსგავსი სტრუქტურა იქმნება. მასში უკრაინაში და რუსეთის კალინინგრადის ოლქში მცხოვრები აზერბაიჯანელები შევლენ.

აზერბაიჯანის უდიდესი ოპოზიციური პარტიის "მუსავათის" ლიდერმა ისა გამბარმა კი აღნიშნა, რომ "აზერბაიჯანის ოპოზიცია უკრაინული და ქართული სცენარების გამეორების შესაძლებლობას არ გამორიცხავს, თუ ხელისუფლება საპარლამენტო არჩევნებს კიდევ ერთხელ გააყალბებს". მისივე თქმით, აზერბაიჯანული რევოლუციის სიმბოლო შესაძლოა ია გახდეს.

***ინტერ-პრესი***

ორი სიტყვით

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ქრთამის აღების ფაქტზე თბილისის ისან-სამგორის პოლიციის სამმართველოს მე-7 განყოფილების უფროსის მოადგილე შალვა ბარდაველიძე დააკავა. გენერალური ინსპექციის ინფორმაციით, ბარდაველიძემ, ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებაში ეჭვმიტანილი პირის გათავისუფლების სანაცვლოდ, ქრთამად 350 ლარი აიღო. სპეციალური ქიმიური ნივთიერებით დამუშავებული ფულის კუპიურები მას ჯიბეში უპოვეს. შს სამინისტროს გენინსპექციამ ბარდაველიძის დაკავების სპეცოპერაცია ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩაატარა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** საჩხერისა და ჭიათურის პოლიციის თანამშრომლებმა ერთობლივად გატარებული ღონისძიებების შედეგად ყაჩაღობაში ეჭვმიტანილები დააკავეს. გიორგი ოსიპოვი, დავით პაპიძე, თამაზ გოცაძე და გოგა დეკანოიძე გუშინ, საჩხერის რაიონის სოფელ გორისაში, ბენზინგასამართ სადგურზე განხორციელებულ ყაჩაღურ თავდასხმაში არიან ეჭვმიტანილები. თავდასხმისას ყაჩაღებმა სადგურის ერთ-ერთ თანამშრომელს ჯუმბერ დეკანოიძეს მრავლობითი ჭრილობა მიაყენეს და ნავაჭრი თანხა წაართვეს. ოთხივე დაკავებული წინასწარი პატიმრობის საკანში გადაიყვანეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის იმერეთის განყოფილებამ ოპერატიული ინფორმაციის შედეგად უაქციზო სიგარეტის შენახვის მორიგი ფაქტი გამოავლინა. კანონდამრღვევი ქუთაისში მცხოვრები ნონა კისკეიძეა, რომელიც ჭავჭავაძის გამზირზე თავის საცხოვრებელ ბინაში დიდი ოდენობით კონტრაბანდული გზით შემოტანილ სიგარეტს ინახავდა. უაქციზო თამბაქოს ნაწარმი ჩამორთმეულია და დალუქულია ფინანსურ პოლიციაში. კისკეიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე დიდი ოდენობით უაქციზო სიგარეტის შენახვის მუხლით აღიძრა, რაც სამართალდამრღვევის მიმართ ჯარიმას ან ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რეიდისას ფინანსური პოლიციის ქვემო ქართლის სამმართველომ აღურიცხავი სამრეწველო პროდუქციით დატვირთული შვიდი ავტომანქანა დააკავა. ავტომანქანების მძღოლები და ტვირთის მფლობელები, ძირითადად, ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეები არიან. ავტომანქანები საჯარიმო ავტოსადგომებზეა გადაყვანილი და ტვირთს ექსპერტიზა უტარდება, რაც ჯარიმის ოდენობას განსაზღვრავს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების, შსს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოს, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოსა და ზუგდიდის შს სამმართველოს თანამშრომლებმა ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში, მდინარე ენგურის პირას არსებულ საგუშაგოსთან გააჩერეს აფხაზეთის მიმართულებით მიმავალი ავტომანქანა "მერსედეს-ბენცი", რომელსაც თბილისში მცხოვრები, 45 წლის თენგიზ გოგუა მართავდა. შემოწმებით დადგინდა, რომ აღნიშნული ავტომანქანა ეკუთვნის თბილისში მცხოვრებ, 38 წლის ბადრი მინდიაშვილს, ხოლო ავტომობილის ფაქტობრივი სახელმწიფო სანომრე ნიშანი არის ოად-434. მანქანა 22 მარტს თბილისიდან არის გატაცებული. აღნიშნულ ფაქტზე თბილისის ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომლებმა თბილისში ჩიტაიას ქუჩაზე დააკავეს ორგანიზებული ყაჩაღური ჯგუფის წევრები - კასპის რაიონის სოფელ თელიანში მცხოვრები, ნასამართლევი, 32 წლის დავით პაპინაშვილი, მეტსახელად "ჩინელა" და აფხაზეთიდან დევნილი, დროებით თბილისში, სასტუმრო "გილში" მცხოვრები, ნასამართლევი, 35 წლის ზურაბ ქირია, რომლებიც 24 თებერვალს სხვა პირთან ერთად ყაჩაღურად თავს დაესხნენ თბილისში მცხოვრებ ტერენტი ჟვანიას ოჯახს. **მედიანიუსი**

# ომბუდსმენი სამართალდამცველებს ქისტების უკანონო დეპორტაციაში ადანაშაულებს

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ორი კვირის მანძილზე იკვლევდა წარმოშობით ქისტი ძმების, ცათიაშვილების უკანონო დეპორტაციის საკითხს, რომლებიც რუსეთის მოქალაქეები არიან და გროზნოში ცხოვრობდნენ.

როგორც გაირკვა, 7 მარტს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში მისული სამი ქისტი ძმა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ფარულად, რეგისტრაციის გავლის გარეშე, აზერბაიჯანი-საქართველოს საზღვრის ნეიტრალურ ზონაში გადაიყვანეს.

როგორც სახალხო დამცველის აპარატში აცხადებენ, უფროს ძმას შენგელი ცათიაშვილს 2004 წლის 18 დეკემბერს მიღებული აქვს სტატუსის მაძიებლის ცნობა, რაც მისი დეპორტაციის უკანონობას კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის. მიუხედავად თხოვნისა, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის და ანტიტერორისტული ცენტრის წარმომადგენლებს ამ კონკრეტული უკანონობის აღკვეთაში სახალხო დამცველის აპარატისათვის თანადგომა არ გაუწევიათ.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ომბუდსმენის აპარატი ქისტი ძმების დასაცავად გამოდის.*

რამდენიმე დღის წინ ძმები ცათიაშვილები არალეგალურად დაბრუნდნენ საქართველოში და სახალხო დამცველის აპარატის თავისუფლებისა და თანასწორობის სექტორის ხელმძღვანელს ბექა მინდიაშვილს შეხვდნენ. ამის შემდეგ ისინი მინდიაშვილთან ერთად ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს ეთერ ასტემიროვასაც ესტუმრნენ. ჩვენი ინფორმაციით, შეხვედრას შინაგან საქმეთა სამინსტროს თანამშრომელი ლევან კახიანიც დაესწრო. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ლევან კახიანი ერთ-ერთია შს სამინისტროს იმ თანამშრომელთა შორის, რომლებმაც ცათიაშვილების დეპორტაცია მოახდინეს.

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა ცათიაშვილების მიმართ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მოქმედება უკანონოდ გამოაცხადა და, სამივე ძმას ხელმოწერით, ლტოლვილის მაძიებლის სტატუსი და შესაბამისი ცნობა მისცა.

"შინაგან საქმეთა სამინისტრო, ქვეყნის უსაფრთხოების მიზნით, კანონიერად აკონტროლებს ჩეჩნეთიდან გადმოსულ რუსეთის მოქალაქეებს, თუმცა მათ მიმართ ძალადობის, მუქარისა და დაშინების ხერხების გამოყენება სახალხო დამცველის აპარატს სრულიად მიუღებლად მიაჩნია," - აცხადებენ ომბუდსმენის ოფისში.

სახალხო დამცველის სოზარ სუბარის განმარტებით, ლტოლვილთა შესახებ არსებული ყველა ინფორმაცია კონფიდენციალურია, შსს-ს თანამშრომელთა მხრიდან ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან ჩასაფრება და მისულ პირთა დაკავება კი - არამართებული.

მეორე გახმაურებული საქმე, რომელიც სახალხო დამცველის ჩარევის შემდეგ, ფაქტობრივად, დაზარალებულის სასარგებლოდ დასრულდა, ნუგზარ ჩალათაშვილის საქმე გახლავთ. სახალხო დამცველი თავდებად დაუდგა გურჯაანელ ნუგზარ ჩალათაშვილს, რომელსაც გამოძიება ადანაშაულებს 28 აგვისტოს მომხდარ ავარიაში, რომლის დროსაც ერთი ადამიანი დაიღუპა. საუბარია გახმაურებულ საქმეზე, რომელმაც ომბუდსმენის ინტერესი ნუგზარ ჩალათაშვილის მეუღლის მანანა ჩალათაშვილის საჩივრის შემდეგ გამოიწვია. ჩალათაშვილების მტკიცებით, 4 მარტს ღამით მათ სახლში შეუვარდნენ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული გურჯაანის და საგარეჯოს რაიონის პოლიციის თანამშრომლები. პოლიციელებმა კანონდარღვევით, იარაღის მუქარითა და სიტყვიერი შეურაცხყოფით ჩაატარეს ჩხრეკა – ისინი ნუგზარ ჩალათაშვილს ეძებდნენ. შიშის ნიადაგზე, ჩალათაშვილების ქალიშვილს ენის დამბლა დაემართა და მეტყველების უნარი დღემდე დაკარგული აქვს.

სახალხო დამცველის აპარატის მონაცემებით, გასული წლის აგვისტოში ნუგზარ ჩალათაშვილი ავტოავარიაში მოყვა და შეჯახების შედეგად მოტოციკლის მძღოლი დაიღუპა. დაღუპულის ოჯახი ჩალათაშვილს არ უჩივის, ვინაიდან მას მომხდარში ბრალი არ მიუძღვის. თუმცა, რაიონის გამომძიებელი მას თავისთვის - 500 დოლარს, ხოლო მოსამართლისთვის 1000 დოლარს სთხოვდა. სახალხო დამცველის ვარაუდით, აღნიშნული თანხის მომლოდინე გამომძიებლებმა და მოსამართლემ ჩალათაშვილის დაჩქარება გადაწყვიტეს და მის ოჯახს პოლიციელები ამიტომაც მიუგზავნეს.

სოზარ სუბარი ჩალათაშვილის საქმეს ადგილზე გაეცნო და გუშინწინ ნუგზარ ჩალათაშვილი პოლიციაში სახალხო დამცველთან ერთად გამოცხადდა.

სახალხო დამცველის აპარატის შუამდგომლობით, საგარეჯოს რაიონულმა სასამართლომ ჩალათაშვილს, აღმკვეთი ღონისძიების სახით, თავდებობა შეუფარდა. სოზარ სუბარი დარწმუნებულია, რომ ჩალათაშვილი არ დაემალება გამოძიებას და, ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, აქტიურად ითანამშრომლებს მასთან.

*24 საათი*

მოკლედ

## სასამართლოს შედეგით დაზარალებულის მამაც უკმაყოფილოა და მსჯავრდებულიც

მილიციის განსაკუთრებული დანიშნულების რაზმის ოფიცერს სერგეი ლაპინს გროზნოს სასამართლომ ჩეჩნეთის მკვიდრის წამებისთვის 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ლაპინი წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს და ადვოკატების დახმარებით გროზნოს სასამართლოს გადაწყვეტილების უზენაეს სასამართლოში გასაჩივრებას აპირებს.

საქმის მასალების მიხედვით, 2001 წლის 2 იანვარს გროზნოელი ზელიმხან მურდალოვი შინაგან საქმეთა ოქტომბრის რაიონის განყოფილებაში მიიყვანეს, სადაც სერგეი ლაპინი მუშაობდა. გამოძიების მასალების მიხედვითვე, ლაპინმა ერთ-ერთ მილიციელთან ერთად, რომლის ვინაობა ჯერ კიდევ არ არის დადგენილი, ზელიმხან მურდალოვი რეზინის ხელკეტით სცემა, რის შედეგადაც მურდალოვმა თავის ქალის და ტვინის ტრავმა მიიღო და გონება დაკარგა. დანაშაულის დაფარვის მიზნით ლაპინმა მურდალოვი გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანა.

სასამართლოს შედეგებით უკმაყოფილოა არა მარტო მსჯავრდებული, არამედ ზელიმხან მურდალოვის მამაც. მისი თქმით, მან ვერ მიიღო პასუხი კითხვაზე - სად იმყოფება ამჟამად მისი შვილი.

## ტერაქტების ორგანიზებაში ეჭვმიტანილი ყალბი პასპორტის წარდგენისას დააკავეს

მოსკოვში, დუბროვკაზე და ბუდიონოვსკში განხორციელებული ტერაქტების ორგანიზებაში ეჭვმიტანილი სამართალდამცველებმა ბელარუსში დააკავეს. როგორც ბელარუსის საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, რუსეთის მოქალაქე, ეროვნებით ჩეჩენი ნუმარნტამეტ ხატოევი მინსკის აეროპორტში ყალბი პასპორტის წარდგენისას დააკავეს. როგორც გაირკვა, ხატოევი ბელარუსის დედაქალაქში სტამბოლიდან ჩაფრინდა.

დაკითხვის დროს ხატოევმა აღიარა, რომ 1999 წლის შემდეგ ჩეჩნეთში ფედერალური ძალების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდა. რეპორტიორების თქმით, ხატოევმა ბელარუსის ხელისუფლებას სთხოვა, რუსეთს არ გადასცეს.

ბელარუსის და რუსეთის სამართალდამცველი ორგანოები დაკავებულის ექსტრადიციის შესახებ მოლაპარაკებას მართავენ.

1995 წლის ზაფხულში ბუდიონოვსკს (სტავროპოლის მხარე) თავს დაესხა შამილ ბასაევის შეიარაღებული რაზმი, რის შედეგადაც 148 მილიციელი და ადგილობრივი მცხოვრები დაიღუპა. მოსკოვში, დუბროვკაზე მდებარე თეატრალური ცენტრი ტერორისტებმა 2002 წლის 23 ოქტომბერს დაიკავეს. მათ 900-ზე მეტი ადამიანი აიყვანეს მძევლად. სპეცოპერაციის შედეგად 130 მათგანი დაიღუპა. თეატრალურ ცენტრში მყოფი 40 ტერორისტი სპეცრაზმელებმა გაანადგურეს.


## თავისუფლების ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ტრენერების ვაკანსიაზე

თავისუფლების ინსტიტუტი განათლების პოლიტიკის, დაგეგმარებისა და მენეჯმენტის საერთაშორისო ინსტიტუტთან ერთად ახორციელებს პროექტს "განათლების რეფორმის ეფექტურობის გაზრდა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში თვითმმართველობის მექანიზმების დამკვიდრების გზით" (ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით). პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს განათლების რეფორმის წარმატებულ განხორციელებასა და თვითმმართველობის მექანიზმების დამკვიდრების საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

თავისუფლების ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს ტრენერების ვაკანსიაზე. პროექტის ფარგლებში შერჩეულ იქნება სულ 40 ტრენერი.

სამუშაოს აღწერა:

- ტრენერების მოსამზადებელ კურსში მონაწილეობა;
- ტრეინინგების ჩატარება შესაბამისი რეგიონის სკოლების სამერვეო საბჭოებისა და დირექტორებისათვის;

სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია:

- ტრეინინგების ჩატარების, ტრეინინგების მასალების შემუშავების გამოცდილება;
- განათლების სფეროსა და მიმდინარე რეფორმების ცოდნა;
- მასალების შემუშავებისა და აუდიტორიასთან ურთიერთობის გამოცდილება;

შერჩეულმა კანდიდატებმა სრულყოფილად უნდა გაიარონ ტრეინინგების კურსი.

დაინტერესებულმა პირებმა 2005 წლის 7 აპრილამდე უნდა გამოაგზავნონ რეზიუმე (CV) ელექტრონული ფოსტით მისამართზე keti@liberty.ge; ან ჩააბარონ თავისუფლების ინსტიტუტის ოფისში შემდეგ მისამართზე: გრიბოედოვის ქ. N 23. ტელ: 93 66 15.


# ადვოკატთა ასოციაცია ხელისუფლებამ დააფუძნა

სულ ცოტა ხნის წინ დაფუძნებული ადვოკატთა ასოციაცია, უფრო ზუსტად, ასოციაციის დამფუძნებელი კრება, რომელიც ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში ორი დღის მანძილზე დიდი ხმაურით მიმდინარეობდა და სადაც დამტკიცდა ასოციაციის წესდება, აირჩიეს ასოციაციის თავმჯდომარე და მმართველი ორგანოები, სერიოზული კრიტიკის ობიექტი გახდა. ადვოკატთა ნაწილის განცხადებით, ორი დღის განმავლობაში მიმდინარე არჩევნები კანონის დარღვევით ჩატარდა და ხელისუფლების სურვილის შესაბამისად დასრულდა.

ადვოკატთა რეფორმის დამფინანსებელი საერთაშორისო ორგანიზაციები, მართალია, აზრის გამოთქმისას კორექტულობას ინარჩუნებენ და ადვოკატთა ასოციაციის დაფუძნებისას ხელისუფლების პოლიტიკურ შეკვეთებზე არ საუბრობენ, მაგრამ მათი რეკომენდაციით, ასოციაციის მმართველი ორგანოების არჩევნები აუცილებლად განმეორებით უნდა ჩატარდეს.

ადვოკატთა ასოციაციის დამფუძნებელი კრების ოქმის გაცნობის შემდეგ კრიტიკულად განწყობილთა შორის აღმოჩნდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაც, რომელიც თავის პოზიციას ღიად გამოხატავს. "ჩვენი შეფასებით, საქართველოში ადვოკატთა ასოციაცია არ შექმნილა და იმედს ვიტოვებთ, რომ პროცესის ყველა მონაწილე აცნობიერებს იმ უდიდეს პასუხისმგებლობას, რომელიც ამ პროცესის არალეგიტიმურად და კანონის დარღვევით წარმართვის შემთხვევაში დაეკისრებათ. თითოეული პროცედურა, რომელიც დამფუძნებელ კრებაზე ჩატარდა, კერძოდ - ასოციაციის წესდების დამტკიცება, თავმჯდომარისა და მმართველი ორგანოების არჩევნები, კანონის სრული იგნორირებით განხორციელდა და, შესაბამისად, მივიღეთ სიტუაცია, როდესაც გვყავს 900 ფიცდადებული იურისტი, მაგრამ არ არსებობს ადვოკატთა ასოციაცია, როგორც ორგანიზაცია, რომელიც ამ იურისტების მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელებას შეუწყობს ხელს. არადა, "ადვოკატურის შესახებ" კანონის შესაბამისად, პირი ადვოკატად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სხვა პირობებთან ერთად, აკმაყოფილებს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის პირობასაც. ეს უკანაკნელი კი, კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ ჯერჯერობით არ არსებობს," – ასეთი შინაარსისაა "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" მიერ გავრცელებული განცხადება. "ეჭვს არ იწვევს დამოუკიდებელი და ძლიერი ადვოკატურის შექმნის აუცილებლობა, ვინაიდან მის გარეშე შეუძლებელია ქვეყანაში წარმატებული სასამართლო რეფორმის განხორციელება. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მოუწოდებს ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის - იუსტიციის საბჭოს, ამჯერად მაინც გამოიჩინონ გულისხმიერება და მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ კანონით მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას და ხელი შეუწყონ საქართველოში ადვოკატთა ასოციაციის შექმნას," – აცხადებენ ახალგაზრდა იურისტები და მზად არიან, დახმარება აღმოუჩინონ ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს პროცესის კანონის შესაბამისად წარმართვისა და ადვოკატთა ასოციაციის შექმნის საქმეში.

ადვოკატთა ასოციაციის დამფუძნებელი კრებისა და ჩატარებული არჩევნების შესახებ ხმამაღლა საუბარს ადვოკატთა ნაწილი ჯერჯერობით ერიდება. თუმცა, ცნობილია, რომ პროფესიონალ ადვოკატთა დიდმა ნაწილმა, პროტესტის ნიშნად, დამფუძნებელი კრება დატოვა. მათი განცხადებით, ასოციაციის თავმჯდომარე ხელისუფლების მიერაა დანიშნული და მან განმეორებით ტურში სწორედ ხელისუფლების მიერ ჩატარებული არჩევნების საფუძველზე გაიმარჯვა.

*24 საათი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

---
---
---
---
---
---
---
---
---

ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**............................................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**.....................................

**საკონტაქტო ტელეფონი** ..................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

## აფხაზეთის ოპოზიცია პრესაზე ზეწოლას აპროტესტებს

პირველი გვერდიდან

არტიუნოვთან საუბრის დასასრულს, ხეციამ განაცხადა, რომ გაზეთ "Новый день"–ის დამფუძნებლებთან საუბარი პროკურატურის კედლებში უნდა გაგრძელდეს.

გაზეთი "Новый день" ორი წლის წინ დაარსდა და "გერმანულ-აფხაზური თანამშრომლობის" ფონდის მიერ ფინანსდებოდა. გამოცემის თანადამფუძნებლები გახდნენ ჟურნალ "Российская Федерация сегодня"-ს საკუთარი კორესპონდენტი აფხაზეთში სერგეი არტიუნოვი და სამთავრობო გაზეთის "Республика Абхазия"-ს კორესპონდენტი ასლან ავიძბა. ავიძბა მაშინ აქტიურად აქვეყნებდა ოპოზიციის მაკომპრომეტირებელ მასალებს.

შარშანდელ შემოდგომამდე, ანუ დაარსებიდან თითქმის წელიწადნახევრის განმავლობაში, გაზეთმა რაიმე განსაკუთრებული პოპულარობის მოპოვება ვერ შეძლო. წინასაარჩევნო კამპანიის დროს "Новый день" – ი ხაჯიმბას აქტიური მხარდამჭერი იყო. დეკემბერში, ხაჯიმბა-ბაგაფშს შორის ხელმოწერილი შეთანხმებების შემდეგ, გაზეთი საკუთარ მკითხველებს არჩევნების ბოიკოტირებისკენ მოუწოდებდა. დღეს "Новый день" ოპოზიციური სახალხო ერთობის ფორუმის ბეჭდურ გამოცემას წარმოადგენს. გაზეთი სავსეა რადიკალური შინაარსის მასალებით. ზოგიერთი წერილის ავტორი აფხაზეთის ამჟამინდელი მთავრობის წევრებს პუტჩისტებად მოიხსენიებს, რომელთაც უკანონოდ ჩაიგდეს ხელში ხელისუფლების სადავეები. სწორედ მსგავსი შინაარსის წერილებია ხელმოწერილი ფსევდონიმებით. პირველ რიგში, საუბარია 12 ნოემბრის მოვლენებზე, როდესაც ბაგაფშის მომხრეებმა მთავრობის სახლის შენობა დაიკავეს.

გაზეთი ბაგაფშის მომხრეებს მთავრობის სახლის უკანონოდ დაკავებაში, ასევე თამარ შაკრილის მკვლელობასა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის და თავად პრეზიდენტის კაბინეტის გაქურდვაში ადანაშაულებს. ამ კონტექსტში გაზეთი მუდმივად ახსენებს ოთარ ხეციას, რომელიც იმ პერიოდში სოხუმის მილიციის შეფი იყო და მთავრობის სახლის დაცვის ოპერაციას ხელმძღვანელობდა. გაზეთი მიიჩნევს, რომ შენობის შტურმი სწორედ ხეციას ორგანიზებული იყო.

როგორც ჩანს, სერგეი არტიუნოვის შინაგან საქმეთა სამინისტროში დაბარება სწორედ გაზეთ "Новый день"– ში ხეციას წინააღმდეგ დაბეჭდილი მასალების გამოძახილია. უნდა ითქვას, რომ რედაქციის თანამშრომლები იმანაც შეაშინა, რომ შს სამინისტროში არტიუნოვი სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომლებმა მიიწვიეს.

ამასთან, ოპოზიციონერები დარწმუნებულები არიან, რომ "Новый день" – ის შს სამინისტროში დაბარება უშუალოდ ხეციას ინიციატივა არ ყოფილა. ფორუმის წევრები მიიჩნევენ, რომ ხელისუფლებას ოპოზიციური გამოცემის დახურვა აქვს განზრახული.

გარდა ამისა, ფორუმი აცხადებს, რომ აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით ხელისუფლების სრული დუმილი ნიშნავს იმას, რომ ოპოზიციის მოწინააღმდეგეები მუდმივად დაუსჯელნი იქნებიან.

ხელისუფლება მომხდარ ინციდენტს მართლაც დუმილით შეხვდა. სამთავრობო კულუარებში აცხადებენ, რომ არტიუნოვის შს სამინისტროში დაბარება ნამდვილად ხეციას შესახებ გამოქვეყნებულ სტატიებს უკავშირდება.

"Новый день" – ის მომდევნო ნომერი შეუფერხებლად, თავის დროზე გამოვიდა. აქვე გაზეთის თანამშრომელთა განცხადება დაიბეჭდა, სადაც ისინი აღნიშნულ ინციდენტს ეხმაურებიან. ჟურნალისტები შიშობენ, რომ თუ ხელისუფლება მომხდართან დაკავშირებით შესაბამის რეაგირებას არ მოახდენს, შესაძლოა, მათი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ აღმოჩნდეს. გაზეთის ამავე ნომერში ფსევდონიმით ხელმოწერილი მთელი რიგი სტატიების ავტორთა ნამდვილი გვარ-სახელია გაშიფრული.

## ელიავას ბაზრობა დროებით დარჩება

ნანა ქადაგიშვილი

*თბილისის მერისა და ელიავას ბაზრობის მოვაჭრეთა გუშინდელი შეხვედრა, რომელზეც მოვაჭრეებზე მეტად "ლეიბორისტები" აქტიურობდნენ, მშვიდობიანად დასრულდა. მოვაჭრეები, გარკვეული პირობის შესრულების შემდეგ, ძველ ადგილას დროებით დარჩებიან.*

კარგა ხნის კამათის შემდეგ ზურაბ ჭიაბერაშვილი და ბაზრობის ადმინისტრაცია იმ შეთანხმებამდე მივიდნენ, რომ ელიავას ბაზრობა დროებით ძველ ადგილას დარჩება. ოღონდ, იმ პირობით, რომ ერთ კვირაში ადმინისტრაციამ და მოვაჭრეებმა დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობას უნდა წარუდგინონ გეგმა, რომლის მიხედვითაც ბაზრობაზე პარკირების სისტემა მოწესრიგდება. ავტოსადგომებისთვის ისეთი ადგილი უნდა მოიძებნოს, რომ ტრანსპორტის გადატვირთული მოძრაობა გარკვეულწილად მაინც შემსუბუქდეს. ხოლო ამ პრობლემის მოგვარება ელიავას ბაზრობას სიცოცხლეს რამდენი ხნით გაუხანგრძლივებს, ქალაქის მერი ჯერ არ აკონკრეტებს.

მოვაჭრეთა ჯგუფი, ვისაც მოლაპარაკების მისია დაეკისრა, ძირითადად, ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან შედგებოდა. გუშინდელი შეხვედრა იმ პირობით შედგა, რომ მათ ქალაქის ხელმძღვანელობისთვის ელიავას ბაზრობის ალტერნატიული ადგილის საკუთარი ვარიანტი შეეთავაზებინათ, მაგრამ მოვაჭრეთა წარმომადგენლების ერთადერთი წინადადება ბაზრობის ძველ ადგილას დატოვება იყო. **"სავაჭროდ არც მუხიანი გამოდგება და არც ლილო. სადაც ვართ, აპრობირებული ადგილია და ისევ აქ დაგვტოვეთ. ავტოსადგომებს მოვაწყობთ, ბაზრობის კეთილმოწყობასაც გპირდებით, ყველა საჭირო სანიტარიულ ნორმას დავიცავთ. ამ ყველაფრის მოსაწესრიგებლად ჩვენთან ერთად ხარჯებს მოვაჭრეებიც გასწევენ,"** – განაცხადეს ბაზრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა. ქალაქის მერი ყველაზე მეტად იმ ფაქტმა გააკვირვა, რომ ადმინისტრაციის წინადადებას მოვაჭრეებიც დაეთანხმნენ. **"ადმინისტრაცია მოვაჭრეთა გაჭირვებით სარგებლობს. წესით, ბაზრობის კეთილმოწყობისთვის ხარჯი მხოლოდ ადმინისტრაციამ უნდა გაიღოს. თუ არადა, მოვაჭრეები, ვინც თანხას გადაიხდის, წილში შეიყვანოს,"** – განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

ბაზრობის ერთ-ერთმა მეპატრონემ ელიავას ბაზრობის ადგილას დიდი სავაჭრო ცენტრის აშენების იდეაც წამოაყენა და ინვესტიციის მოზიდვა საკუთარ თავზე აიღო. თუმცა, მერი არც ამ იდეას აღუფრთოვანებია. **"ქალაქის ცენტრში დიდი სავაჭრო ცენტრების აშენება მიზანშეწონილი არ არის. პირიქით, იმას ვცდილობთ, ასეთი ცენტრები გარეუბნებში გადავიტანოთ,"** – განაცხადა მან. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დავით იოსელიანმა კი სცადა, მოვაჭრეებისთვის განემარტა, რომ ბაზრობის ადგილას კეთილმოწყობილი ცენტრის აშენება ბევრ მათგანს სამსახურის გარეშე დატოვებს, რადგან მათი უმრავლესობა არენდის გაზრდილ გადასახადს ველარ გადაიხდის (ლილოში გადასვლის შემთხვევაში კი, მერია მოვაჭრეებს შეღავათიან გადასახადს ჰპირდება). თუმცა, მოვაჭრეებზე დიდი შთაბეჭდილება არც იოსელიანის განმარტებას მოუხდენია. სამაგიეროდ, მოვაჭრეთა რიგებში ჩამსხდარი "ლეიბორისტების" გამოსვლები მოწონებით სარგებლობდა და ისედაც აღელვებულ ადამიანებს უარესად უნთებდა ცეცხლს.

**"თუ არ გვეტყვი, ბაზრობის გადატანას როდის აპირებ, იმისთანა აქციას მოგიწყობთ, გუშინდელი მონაგონი იყოს,"** – რატომღაც მოვაჭრეებზე მეტად ცხარობდა "ლეიბორისტი" სოსო შატბერაშვილი, ამ სიტყვების შემდეგ კი, პროტესტის ნიშნად, შეხვედრაც დატოვა.

ბოლოს მერისა და მოვაჭრეთა წარმომადგენლობის შეხვედრა მაინც მშვიდობიანად დასრულდა. ქალაქის ხელმძღვანელობას, ჯერჯერობით, დათმობაზე წასვლა მოუწია და ელიავას ბაზრობის გარეუბანში გადატანა სამომავლოდ გადადო. ასეთი დაპირების მიუხედავად, მოვაჭრეებს ერთი რამ მაინც აშფოთებდათ. არსებობს მერის დადგენილება, რომლის თანახმადაც, ავტომანქანების ნაწილებით მოვაჭრე ობიექტები კახეთის გზატკეცილზე, ყოფილი "ავტოვაზის" ტერიტორიაზე პირველ მაისამდე უნდა გადავიდეს. თუმცა, ჭიაბერაშვილმა მოვაჭრეების დამშვიდება ამ შემთხვევაშიც მოახერხა. **"დადგენილებაში წერია, რომ მიზანშეწონილია ავტომანქანების ნაწილების სარეალიზაციო ობიექტების ავტოვაზის ტერიტორიაზე გადატანა. მიზანშეწონილი კი არ ნიშნავს, რომ დადგენილება აუცილებლად უნდა შესრულდეს,"** – განმარტა მან.

## საქართველო თამბაქოს გარეშე

თამარ დვალი

*უკვე მეექვსე წელიწადია, რაც 29 მარტს საქართველოში მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული დღე - "საქართველო თამბაქოს გარეშე" აღინიშნება. წელს ამ დღის თემატიკად "ჯანდაცვის პროფესიონალები და თამბაქოს კონტროლი" დასახელდა. გუშინ, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის ინიციატივით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში პრესკონფერენცია მოეწყო, რომელიც საქართველოში თამბაქოს წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების პროპაგანდას მიეძღვნა.*

**"ჩვენ გვყავს პრეზიდენტი, რომელიც სიგარეტს არ ეწევა. ეს გვაძლევს უნიკალურ შანსს, მისი ფენომენი თამბაქოს წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდისთვის გამოვიყენოთ,"** – განაცხადა გუშინ ჯანდაცვის სამინისტროში მოწვეულმა პარლამენტარმა ლევან მეტრეველმა.

მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტართა და ჯანდაცვის მუშაკთა სურვილები და მოსაზრებები მართლაც მრავალფეროვანია, თამბაქოს მოხმარების თვალსაზრისით, საქართველოში არსებული სიტუაცია კვლავ საგანგაშო რჩება. სტატისტიკური მონაცემებით, ბოლო წლების განმავლობაში, თამბაქოს მომხმარებელთა რიცხვი კატასტროფულად იზრდება. მოსახლეობის დაახლოებით 40 პროცენტი მოიხმარს თამბაქოს, მათ უმეტესობას კი ქალები და მოზარდები შეადგენენ.

მწეველთა რაოდენობის შემცირების მიზნით, სახელმწიფო რიგი ღონისძიებების გატარებას გეგმავს. მიზნის მიღწევისათვის, პირველ რიგში, თამბაქოზე გადასახადებისა და ფასების ზრდა, რეკლამის და სპონსორობის სრული აკრძალვა, თამბაქოს წარმოების, იმპორტის, ექსპორტის, საბითუმო და საცალო ვაჭრობის მკაცრი რეგულირება, ლიცენზირება, კონტრაბანდასთან ბრძოლა და საზოგადოებრივ ადგილებში მოწევის შეზღუდვა იგეგმება.

**"მსოფლიოში თამბაქოს წინააღმდეგ მიმართული რამდენიმე აპრობირებული მეთოდი არსებობს. მათ შორის უპირველესია ჯანსაღი ცხოვრების წესის აგიტაცია და პროპაგანდა. მეორე - ეს არის საკანონმდებლო ჩარჩო კონვენციების რატიფიცირება. 2004 წლის 20 თებერვალს საქართველოს მიერ ხელმოწერილ იქნა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენცია, რომელიც მოიცავს თამბაქოს კონტროლის სფეროში აღიარებულ ძირითად საერთაშორისო პრინციპებს. ამასთან, ქვეყნის კანონმდებლობით მომდევნო ნაბიჯს წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის მიერ კონვენციის რატიფიკაცია,"** – განაცხადა "24 საათთან" საუბრისას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ ნიკოლოზ ფრუიძემ.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსის, ლევან ბარამიძის თქმით, თუკი საქართველოს პარლამენტი ჩარჩო კონვენციას მიიღებს, მაშინ თამბაქოს კოლოფის ორ მესამედზე განთავსებული იქნება ანტირეკლამა.

**"თამბაქოს კოლოფზე უნდა იყოს რეკლამა იმისა, რომ თამბაქო მავნებელია ჯანმრთელობისთვის. მომავალში ჩვენ ვგეგმავთ გამოვაცხადოთ ტენდერი, რათა საუკეთესო ვარიანტი შეირჩეს. რაც შეეხება კონვენციას, ჩვენ ვცდილობთ ისეთი დოკუმენტის მიღებას, რომელიც იმუშავებს და არ დარჩება მხოლოდ კანონად. კონვენციაში გათვალისწინებულია ხუთწლიანი ვადა გარდამავალი პერიოდისთვის. უცბად თამბაქოს აკრძალვა შეუძლებელია, ეს ყველაფერი ეტაპობრივად უნდა მოხდეს. თუკი სწორად დავგეგმავთ, ბოლოს კარგ შედეგს მივიღებთ,"** – განაცხადა საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსმა ლევან ბარამიძემ.

რადგანაც საქართველოში ჯანდაცვის მუშაკები ერთ-ერთი ყველაზე მწეველი კატეგორიაა, წლევანდელი ეგიდის თემატიკაც - "ჯანდაცვის პროფესიონალები და თამბაქოს კონტროლი" - აქედან მომდინარეობს.

## განათლების რეფორმა საინგილოში

დალი კუპრავა

*28-31 მარტს, ოთხი დღის განმავლობაში, აზერბაიჯანის კახის, ბელაქნისა და ზაქათლის ქართული სკოლების მასწავლებლები ტრენინგს გაივლიან - "სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები". ტრენინგის მიზანია ეფექტიანი სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომების ძირითადი პრინციპების გაცნობა. ასევე, თანამედროვე მიდგომების, გაკვეთილის დაგეგმვასთან დაკავშირებული და კლასის დემოკრატიული მართვის სტრატეგიებსა და პრინციპებს შეთანხმებული ეფექტიანი სასწავლო პროგრამის შექმნის ხერხების შესწავლა. ეს ტრენინგი საინგილოს მასწავლებლებისთვის პირველი ეტაპია. დაგეგმილია მეორე ეტაპიც.*


ვახო ბაკურიას ფოტო

*ისინი ქართველები არიან, მიუხედავად აზერბაიჯანული გვარ-სახელებისა და ზოგჯერ გამართული, ზოგჯერ გაუმართავი ქართულისა.*

"ჩემი გვარია მაზანაშვილი, მამამ გვარი აღიდგინა," - მეუბნება ალიაბადელი მოსწავლე გოგონა. "მე იაშვილი ვარ, მაგრამ არ გვიშვებენ, რომ ჩვენი გვარი დავირქოთ,"-შეწუხებულია ოქსანა. "ჩემი ძმა ოთხი წლისაა და დაბადების მოწმობა არ აქვს - ქართული სახელის დარქმევის ნებას არ გვაძლევენ, ჩვენ მაინც რამაზს ვეძახით," - ეს ლელაა. ბიჭები ჩუმად არიან, მორცხვად იღიმებიან და ციფრულ აპარატზე გადაღებული ფოტოები აინტერესებთ.

თქვენ არაფერს დამაბარებთმეთქი, ვკითხე, როცა გამოიძიეს, რომ საქართველოდან ვიყავი. "წიგნები და გაზეთები გვინდა ქართული... მეგობრები გვინდა საქართველოდან, რომ წერილები მივწეროთ... ალიაბადში ერთი, სულ ქართული სკოლა გვინდა... ქართული ბაღიც გვინდა... გვინდა, რომ ბაქოში ერთი ქართულენოვანი ფაკულტეტი მაინც იყოს, ყველა ვერ ახერხებს თბილისში ჩამოსვლას და ახლა ლიმიტებიც აღარ იქნება... თბილისის ნახვა გვინდა... ქართული ფილმები გვინდა "იმედზე"... მეექვსეკლასელ ბიჭს კეპზე "ტელეიპუცები" ეხატა. მოგწონს-მეთქი ეს სერიალი, - ვკითხე და, "ნეტავი ერთხელ მაინც მანახაო," - ინატრა.

საინგილოში მხოლოდ "იმედი" აჩვენებს და "რადიო - იმედი" ისმის. "იმედი" რომ არა, ხუთი წელიც, და ბავშვებს ქართულს ველარ გავაგონებდითო, ამბობენ უფროსები და პატარკაციშვილის სადღეგრძელოს სვამენ.

ისინი ქართველები არიან, მიუხედავად აზერბაიჯანული გვარ-სახელებისა და ზოგჯერ გამართული, ზოგჯერ გაუმართავი ქართულისა.

ვიდრე ეზოში ბავშვებთან ვსაუბრობდი, ზაქათლისა და ბელაქნის ქართული სკოლების მასწავლებლები ალიაბადის სკოლაში ტრენინგისთვის შეიკრიბნენ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის "ილია ჭავჭავაძის" ფარგლებში ხორციელდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სამი პროგრამა: სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარება, სასკოლო გრანტები და სასკოლო ქსელი. ამ პროგრამების განხორციელებით საქართველოს სკოლებმა დასახეს განვითარების ახალი სტრატეგიები, მასწავლებლებმა გამოავლინეს ინდივიდუალური შემოქმედებითი უნარები, შექმნეს ახალი საგაკვეთილო მოდელები და დანერგეს ინოვაციები სასწავლო პრაქტიკაში.

დაირღვა იზოლაცია სკოლებს შორის როგორც რაიონულ, ასევე სახელმწიფო მასშტაბით და მასწავლებლებს თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების საშუალება მიეცათ.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ჯგუფისა და მწვრთნელების მცდელობით სამაჩაბლოს მასწავლებლებიც გადამზადდნენ, როგორც ქართული, ასევე - ოსური სკოლების. "ზაფხულში ცხინვალის გავლით შევდიოდით და ქურთასა და ავლევში ტრენინგები ჩავატარეთ. ხმაური არ აგვიტეხავს და არც პრესა-ტელევიზიით გამოგვიქვეყნებია ჩვენი საქმიანობა. მთავარია, რომ საქმე კეთდება. მასწავლებლები ახალ მეთოდებს ეცნობიან, ერთმანეთს უახლოვდებიან და სკოლების დონეზე გათიშულობა და იზოლაცია ქრება," - გვითხრა მარინა ჟვანიამ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ჯგუფის ორგანიზატორმა და კონსულტანტმა.

გუშინწინ მწვრთნელები საქართველოდან კახში და ალიაბადში ჩავიდნენ. კახის მასწავლებლებთან ეს მეორე შეხვედრაა. ალიაბადში კი ზაფხულის ტრენინგი ადგილობრივი ხელისუფლების "ინიციატივით" არ ჩაატარებინეს და ახლა პირველად ტარდება.

"ეს ჩვენთვის ძალიან კარგია, ჩვენ ვსწავლობთ, როგორ ვასწავლოთ, რომ ბავშვებმა უკეთ ისწავლონ," -ამბობს ალიაბადის ფიზიკის მასწავლებელი. ზაქათლის განათლების განყოფილების გამგემ განაცხადა, რომ ქართული სკოლის მასწავლებლებს, ათი-თხუთმეტი წელია, კვალიფიკაცია არ აუმაღლებიათ და საქართველოს მთავრობის ეს ინიციატივა მათ ძალიან წაადგებათ. "შარშან ლომაიას ვიზიტების მერე ბევრი რამ შეიცვალა -სახელმძღვანელოები გვაქვს, თვალსაჩინოებები, მხატვრული ლიტერატურაც და, საერთოდ, ჩვენდამი დამოკიდებულებაც შეიცვალა," - ამბობენ მასწავლებლები.

საინგილოს მასწავლებელთა ტრენინგის პირველი ეტაპი ხვალ დამთავრდება.

## ერთი წლის ანგარიში

გუშინ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ სამინისტროს მიერ ერთი წლის მანძილზე გაწეული მუშაობის ანგარიში წარმოადგინა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გამართულ მიღებაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის ხელმძღვანელობა, უმაღლესი სასწავლებლებისა და საშუალო სკოლის პედაგოგები ესწრებოდნენ.

ალექსანდრე ლომაიამ მოკლედ მიმოიხილა სამინისტროს შექმნიდან გასული ერთი წლის განმავლობაში გაწეული სამუშაო და დასძინა, რომ ამ მოკლე ვადაში, სხვა მრავალ ღონისძიებასთან ერთად, დაფუძნდა იდეა "განათლება-კორუფციის გარეშე", რომელიც საქართველოში ძლიერი ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის საფუძველი უნდა გახდეს. გასული ერთი წლის მანძილზე, რომელიც არ იყო იოლი წელი, მოხერხდა პედაგოგთა 49-მილიონიანი დავალიანების გასტუმრება. სამინისტროში განხორციელდა სტრუქტურული და საკადრო ცვლილებები, ამოქმედდა გენერალური ინსპექცია, რომლის მუშაობის შედეგად გამოვლინდა არაერთი კორუფციული გარიგების ფაქტი და დარღვევა. მიღებულია კანონი უმაღლესი სასწავლებლების შესახებ და მოხდა უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაცია. მოქმედი 227 უმაღლესი სასწავლებლიდან აკრედიტაცია გაიარა 110 უმაღლესმა სასწავლებელმა. განსახილველად გამოტანილ იქნა კანონი ზოგადი განათლების შესახებ. "განათლების სფეროში რეფორმის პროცესი შეუქცევადია", - განაცხადა ალექსანდრე ლომაიამ.

პრემიერ-მინისტრმა დადებითად შეაფასა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთწლიანი მუშაობა. კომპრომისები, რომელიც განათლების პოლიტიკას ეწინააღმდეგება, არ იქნება. "სადაც საჭიროა, ჯიუტებიც ვიქნებით, რადგან ეს არის ჩვენი მთავრობის მთავარი რეფორმა," - განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა და დასძინა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან განათლების სისტემის დაფინანსება 80 პროცენტით გაიზრდება.

*24საათი*

## ალტერნატიული აზრის წყარო

### რუსულ-ქართული ანალიტიკური ვებ-გვერდის პრეზენტაცია თბილისში

*ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის (IWPR) თბილისის ოფისში გუშინ, რუსულ-ქართული საინფორმაციო-ანალიტიკური ვებ-გვერდის www.pankisi.info-ს პრეზენტაცია გაიმართა. "თუ თქვენ ჟირინოვსკი და როგოზინი მოგბეზრდათ, მიაკითხეთ pankisi.info-ს," – აცხადებენ ინტერნეტ-პროექტის ავტორები.*

სოფო ბუკია

უკვე წელიწადზე მეტია, რაც ინტერნეტ სივრცეში არსებობს საიტი pankisi.info, რომლის დამფუძნებლები "მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების" ინსტიტუტის თავმჯდომარე გია ნოდია და "ექსტრემალური ჟურნალისტიკის ცენტრის" ხელმძღვანელი ოლეგ პანფილოვი არიან. საიტის შექმნის იდეა 2002 წელს გაჩნდა, როდესაც ჯერ ლიკანში, მოგვიანებით კი, მოსკოვში გაიმართა კონფერენცია სახელწოდებით "რუსეთი და საქართველო – დიალოგი კავკასიის ქედს მიღმა". ამ შეხვედრებს ფონად რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბული ურთიერთობები გასდევდა. სამხედრო პოლიტიკურ კრიზისს კიდევ უფრო ამძაფრებდა ტელევიზიითა და პრესით გაჩაღებული საინფორმაციო ომი.

კონფერენციაში მონაწილე ქართველი და რუსი ჟურნალისტები და ექსპერტები, პოლიტიკური კრიზისის გამომწვევ მიზეზებზე მსჯელობის პარალელურად, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ აუცილებელია არსებულ საინფორმაციო ომს დაუპირისპირდეს რაიმე ალტერნატივა, რაც ორივე ქვეყნის საზოგადოებას საშუალებას მისცემს, ერთმანეთს უკეთ გაეცნოს. ასეთ ალტერნატივად დაისახა ვებ-გვერდი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების გამოხატვა და სხვისი აზრის გაცნობა.

ასე გაჩნდა საიტი, სადაც ქართველ ინტერნეტ-მომხმარებელს საშუალება აქვს წაიკითხოს, თუ რას წერს რუსული მედია საქართველოზე, რუსი მკითხველი კი საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე ქართულ პრესაში დაბეჭდილ მასალებს იპოვის.

**"ხშირად საქართველოსთან დაკავშირებული მოვლენების გაშუქებისას რუს ჟურნალისტებს საქართველოში სანდო წყაროები არ გააჩნიათ,"** - განაცხადა გია ნოდიამ გუშინდელ პრეზენტაციაზე.

**"საიტის იდეა კარგია, მაგრამ საწყენია, რომ ქართველი მკითხველი არ აქტიურობს,"** – განაცხადა "ექსტრემალური ჟურნალისტიკის ცენტრის ხელმძღვანელმა" ოლეგ პანფილოვმა, რომელიც თბილისს სწორედ იმ მიზეზით ეწვია, რომ ქართველ ინტერნეტ-მომხმარებელს pankisi.info გააცნოს.

ერთწლიანი არსებობის მანძილზე pankisi.info-მ 70-ზე მეტი ექსკლუზიური სტატია გამოაქვეყნა 36 ქართველი და 41 რუსი ჟურნალისტისა და ექსპერტის ავტორობით. pankisi.info-ზე განთავსებული სტატიების ავტორები რუსი ექსპერტები და პუბლიცისტები არიან, როგორებიცაა ანდრეი პიონტკოვსკი, დმიტრი ფურმანი, პაველ ფელგენგაუერი, ვიქტორ შენდეროვიჩი და სხვები.

საიტის მომხმარებელთა გეოგრაფიული არეალი საკმაოდ ფართოა. ყველაზე მეტად ვებ-საიტით რუსეთში, ევროპულ ქვეყნებსა და აშშ-ში ინტერესდებიან, ამ მხრივ საქართველო მეოთხე ადგილზეა. სწორედ ქართველი ინტერნეტ-მომხმარებლის პასიურობამ და ამ მართლაც საინტერესო საიტის სათანადო შეუფასებლობამ განაპირობა ვებ-გვერდის გუშინდელი "დაგვიანებული" პრეზენტაციაც. საიტს სოროსის ფონდი აფინანსებს.

საქართველოში გარკვეულ ჟურნალისტურ წრეებში pankisi.info-ს უკვე კარგად იცნობენ, როგორც სერიოზულ ანალიტიკურ ვებ-გვერდს, სადაც კომპეტენტურ ავტორთა მოსაზრებების წაკითხვა შეიძლება. **"თუ თქვენ მოგბეზრდათ ჟირინოვსკისა და როგოზინის კომენტარები, რომლებიც როგორც რუსულ, ისე ქართულ მედია სივრცეში ხშირად ტრიალებს და უფრო ინტელექტუალური კომენტარები გაინტერესებთ, მაშინ მიაკითხეთ pankisi.info-ს,"** - განაცხადეს გუშინ საიტის დამფუძნებლებმა.




მუსიკით და მუსიკაში



მაიკლ ოუენი: „ბოლომდე ვიბრძოლებთ!"



პაატა ზაქარეიშვილი: "საჭიროა ცოტაოდენი ფანტაზია!"



B2 B4 B6

ნომრის სტუმარი

# კინოში მონსტრების დრო წავიდა

მაია ჭალაგანიძე

*მოგეხსენებათ, კინო სინთეზური ხელოვნებაა. ამიტომაც ასე სინთეზურად დაავადდა ყველა იმ სენით, რაც უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში მოხდა. ეს სენებია: სიღარიბე, სიბნელე, კორუფცია, საკუთარი თავის გადარჩენისთვის წლების ნაშრომის განადგურება... მოკლედ, ყველა ის ეპიდემია, რამაც სსრკ-ს დანგრევის და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ იფეთქა. მონსტრი ქვეყნის ნგრევამ პატარა ქვეყნის დიდი კინემატოგრაფია გადაიყოლა. მაგრამ ამას თავი დავანებოთ, რადგან ჩვენ უკვე ვიცით, რა დრო დასჭირდა ამ ყველაფერს. ახლა ის გვაინტერესებს, რა დრო დასჭირდება ყველაფრის თავიდან დაწყებას.*

*დაინტერესებულ საზოგადოებას დაწესებულება კინოცენტრის შესახებ, რა თქმა უნდა, სმენია, ის მუდმივად ფულს ითხოვდა ბიუჯეტიდან და ვერასდროს ვერ იღებდა. ან იქნებ, იღებდა კიდეც, მაგრამ მაყურებელს პროდუქტი - კარგი ქართული ფილმი არ მიეწოდებოდა. კინოცენტრის წინა ხელმძღვანელი თანამდებობიდან ცენტრის სიღარიბის გამო გადადგა. 22 მარტს კი ახლანდელმა კულტურის მინისტრმა ამ თანამდებობაზე კინოფესტივალების ცნობილი მომწყობის, გაგა ჩხეიძის კანდიდატურას მოაწერა ხელი. იგი 1991 წლიდან კონსულტანტად, მენეჯერად და მთარგმნელად მუშაობს ორგანიზაციაში "გერმანული კინემატეკის მეგობრები," რომლის ოფისიც ბერლინის კინოს სახლშია და რომელიც შემდეგ სფეროებში საქმიანობს: ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის ჩატარება, საარქივო საქმიანობა და კინოგაქირავება, კინოლიტერატურის გამოცემა, მუნიციპალური კინოთეატრის "არსენალის" მენეჯმენტი და კიდევ ბევრ სხვა სფეროში. საქართველოში თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალ "პრომეთეს" დირექტორად იცნობენ. ახალ რეგალიებს მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევს და იმავე რეჟიმით მუშაობს, როგორც ფესტივალების ოფისში. ისიც მოსწონს, რომ არ ავსებს ქონებრივ დეკლარაციას და ამითაც ამტკიცებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ კულტურის სამინისტროს ექვემდებარება, ნომენკლატურა არ არის. მოკლედ, კარგი მენეჯერი დღეს ყველგან ჭირს, კინოცენტრმა ის იპოვა... რა შუაშია, მაგრამ მუსიკალური ცენტრის დირექტორად ნიკა მემანიშვილის დანიშვნით, იქნებ, კარგი მენეჯერი შევიძინოთ, მაგრამ არ მინდა, ძალიან ნიჭიერი მუსიკოსი დავკარგოთ.*

- კინოცენტრი 2000 წელს იმ კანონის საფუძველზე შეიქმნა, რომელიც კინოს მხარდაჭერას ეხებოდა. სახელმწიფომ რაღაც ეტაპზე გადაწყვიტა, რომ ღრმა კრიზისში მყოფ ქართულ კინოს, რომელმაც ათწლეულების მანძილზე უდიდესი მემკვიდრეობა შექმნა და რომელიც ჩვენი სულიერი კულტურის ნაწილია, მისი მხარდაჭერა სჭირდებოდა. მეოცე საუკუნის ქართულ კულტურაში კინოხელოვნების წილი ხომ ძალიან დიდია.

კინოცენტრის ერთ-ერთი ამოცანაა, შეიქმნას ეროვნული კინოარქივი, სადაც თავს მოიყრის საქართველოში შექმნილი ყველა ფილმი. შეიქმნას ისეთი საცავი, რომელიც თანამედროვე სტანდარტებს უპასუხებს და სადაც არაფერი დაზიანდება. ამის შექმნა მხოლოდ ჩვენი ძალებით შეუძლებელია, ამიტომ არსებობს პროექტი ფონდისა, სადაც შევა როგორც კინოცენტრი, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციები - სააქციო საზოგადოება "ქართული ფილმი", კერძო ინვესტორები. რუსეთში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენებს ამ სფეროს დახმარების დიდი ინტერესი აქვთ.

**- კანონის არსებობის მიუხედავად, 2000 წლიდან ქართულ კინოს ვერ ეშველა, რატომ?**

- მოგეხსენებათ რა მდგომარეობა იყო სახელმწიფოში რამდენიმე წლის წინ - თითოეულ კუთვნილ კაპიკზე სახელმწიფო სტრუქტურებსაც კი ბრძოლა უხდებოდათ ხაზინასთან, პარლამენტთან, მთავრობასთან. ახლა დიამეტრალურად შეიცვალა ეს ვითარება და ალბათ, ამ თანხის მისაღებად ომი აღარ დაგვჭირდება.

**- ამ ჯერზე ბიუჯეტი თქვენც გაგეზარდათ?**

- წელს გათვალისწინებულია 850 000 ლარი. მედიის საშუალებით მოვისმინე იმ დარგების ჩამონათვალი, ვისაც ბიუჯეტის ზრდა შეეხო და იქ კულტურის შესახებ არაფერი თქმულა.

**- რა მემკვიდრეობა გადაიბარეთ?**

- დამხვდა დაწყებული პროექტებიც და შესრულებული სამუშაოც. შარშან ჩატარდა კონკურსი მოკლემეტრაჟიანი ფილმებისთვის და 10 მოკლემატრაჟიანი ფილმია გადაღებული.

**- მათ შორის ყველაზე ცნობილი...**

- გიორგი ორაშვილის 13-წუთიანი ფილმი "ზღვის დონიდან", რომელმაც ბერლინის კინოფესტივალზე სულ ახლახან ნიუ-იორკის კინოაკადემიის პრიზი-სტიპენდია მოიპოვა. ჩვენი ეროვნული კინოცენტრის ერთ-ერთი დიდი წარმატებაა ლევან ზაქარეიშვილის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, რომლის პრემიერაც რამდენიმე დღის წინ შედგა, ფილმი კანის ფესტივალზეა მიწვეული.

**- თქვენი წინამორბედი ამ თანამდებობიდან გადადგა, რა იყო ამის მიზეზი?**

- სწორედ ფინანსური სიდუხჭირე. კინოცენტრმა ვერ გამოიტანა დაპირებული თანხა, ამან გამოიწვია რეჟისორთა უკმაყოფილება. ასეთ პირობებში ზაზა ურუშაძეს მუშაობა აღარ შეეძლო და გადადგა.

**- წლობით დაუფინანსებელი სტრუქტურა და ჩავარდნილი დარგი გერგოთ, რას აპირებთ?**

- მინდა, კინოცენტრი თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს დავუახლოვო. ამისთვის საჭიროა სამი ძირითადი განყოფილება - ფილმწარმოება, უფრო სწორად კი, მისი მხარდაჭერა. ჩვენ არ ვართ პროდიუსერები და ფილმებს არ ვაწარმოებთ. პროდიუსერს, საპროდიუსერო კომპანიას, ან კერძო პირს, ან სტუდიას შემოაქვს პროექტი. ჩვენ ვართ თანადამფინანსებლები და კანონის მიხედვით, მაქსიმუმ 75 პროცენტის დაფინანსება შეგვიძლია. დანარჩენი 25 პროცენტი თავად უნდა მოიზიდონ.

შემდეგი მიმართულება - კინოს ექსპორტი, ფილმების ფესტივალებში მონაწილეობა, მათი უცხო ენაზე სუბტიტრირება, საერთაშორისო კინობაზრებში მონაწილეობა, სადაც ჩვენი პროდუქციის გაყიდვას შევეცდებით. საჭიროა აგრეთვე ურთიერთობა უცხოურ ტელეარხებთან, პოტენციურ გამქირავებლებთან. არა მხოლოდ რუსეთში არიან დაინტერესებული ქართული ფილმებით.

**- კინოში (და არა მხოლოდ) სრულიად განსხვავებული გემოვნების და მენტალობის თაობა მოვიდა, რომელთაც ქართული ფილმების წარმატებებით არ უცხოვრიათ. ამის მიუხედავად, ინტერესი არის?**

- ქართული ფილმებისადმი ინტერესი დიდია და ელიან, რომ ოდესმე ყინული დაიძვრება და დავიბრუნებთ ქართულ კინოს. ძველ ქართულ ფილმებს დღემდე ატრიალებენ, ნებისმიერი ფესტივალი პერიოდულად აჩვენებს მათ, ძირითადად, 60-70-იანი წლების ნამუშევრებს. სასურველია, ეს ფილმებიც ვაჩვენოთ ახალ თაობას და ისევე როგორც ჩვენ, ისინიც ამაზე გაიზარდონ.

**- მესამე მიმართულება?**

- მას პირობითად, კინოხელოვნების პოპულარიზაცია ჰქვია - საგანმანათლებლო საქმიანობა, ფესტივალების ჩატარება, საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებული პროექტების დაფინანსება. შარშან კინოცენტრმა ნატო ვაჩნაძის საიუბილეო ღონისძიებები დააფინანსა. მომავალში, ალბათ, სტუდენტთათვის დაარსდება ბიბლიოთეკა, რომელიც კინოცენტრს დაექვემდებარება. კანონით კინოთეატრების დახმარებაც გვევალება. ქართულმა კინომ არა მხოლოდ დედაქალაქში, არამედ რეგიონებშიც უნდა იტრიალოს. შეიქმნება სადისტრიბუციო ცენტრი, ჩატარდება სემინარები და სხვა.



კანის ფესტივალი ˝ა˝ კლასის კინოფესტივალია. მაშინ ჩავატარებთ, როდესაც ˝ა˝ კლასის ქვეყანა გავხდებით.

მაღალმხატვრული ღირებულების ფილმები თავად დაიცავენ თავს, ჩვენ კი მათ იურიდიული დაცვის მექანიზმებს შევუქმნით.

**- კინოს წარმოებას მატერიალური ქონება სჭირდება, რა დაგხვდათ?**

- როგორც იცით, არსებობდა კინოსტუდია "ქართული ფილმი", რომელსაც ათწლეულების განმავლობაში ჰქონდა წარმოება, სახელმწიფო დაკვეთა და უშვებდა პროდუქციას. სოციალიზმის დროს ჰქონდათ გეგმა და ვაი მისი ბრალი, ვინც ამას არ შეასრულებდა. სხვათა შორის, საუკეთესო წლებში წელიწადში 10 და მეტ მხატვრულ ფილმს უშვებდნენ. ეს სტრუქტურა დაიშალა, ისევე როგორც ყველაფერი ამ ქვეყანაში. მართალია, სახელმწიფოს წილი 2/3 შეადგენს, მაგრამ სააქციო საზოგადოებად გარდაქმნილი "ქართული ფილმი", სამწუხაროდ, ველარ მუშაობს.

**- ახლა რამდენი ფილმის გადაღებას ახერხებს?**

- ვერ გეტყვით, მაგრამ დაწყებული იყო ფილმები, რომელიც კინოცენტრის დახმარებით დამთავრდა. ერთ-ერთი ლევან ზაქარეიშვილის ზემოთ ნახსენები ფილმი იყო. იყო ერეკლე ბადურაშვილის, რეზო ესაძის ფილმებიც, რომლებიც 8-10 წლის წინ დაიწყო, შემდეგ კი წარმოება გაჩერდა.

ძალიან მალე, პირველად გამოვაცხადებთ კონკურსს სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის დასაფინანსებლად. ასეთი კონკურსი ჯერ არ ყოფილა. საერთოდაც კონკურსების გზით ვივლით. საქართველოში ფილმის გადაღების მსურველი ძალიან ბევრია, ბევრია, აგრეთვე, პროფესიონალი რეჟისორი, რომელსაც აქვს სცენარი... მათ შეუძლიათ კონკურსში მინაწილეობის მიღება.

**- რა კრიტერიუმებით გაიმარჯვებს პროექტი?**

- მხოლოდ ერთი კრიტერიუმი შეიძლება არსებობდეს - მაღალმხატვრული ღირებულების იდეა, სცენარი. ყველაფერი იმ შესაძლებლობის ფარგლებში მოხდება, რაც კინოცენტრს გააჩნია. ცხადია, 3-მილიონიანი პროექტი ვერ განხორციელდება, ამის ბიუჯეტი არ გვაქვს. ტრადიციულად კი ქართული ფილმი არის მცირებიუჯეტიანი საავტორო ფილმი. მის გადაღებას ნამდვილად შევძლებთ. თუნდაც, "გიორგი სააკაძის" რიმეიკს ხვალვე ნამდვილად ვერ გადავიღებთ.

**- არსებობს ბევრი ცნობილი და ზოგიც უცნობი პატარა კინოსტუდია. როგორც ჩანს, ვერც ისინი მუშაობენ, რადგან ახალი ფილმები, რეალურად, არ გვაქვს. რა ურთიერთობები ექნება კინოცენტრს ამგვარ დამოუკიდებელ სტუდიებთან?**

- ეს საკითხი ბევრს აინტერესებს. რა თქმა უნდა, საჭიროა ამ ურთიერთობების მოგვარება და პირველ რიგში კი ისეთ დაწესებულებასთან, როგორიც სააქციო საზოგადოება "ქართული ფილმია". ეს, ფაქტობრივად, სახელმწიფო დაწესებულებაა, რადგან ამ ორგანიზაციაში 2/3 სწორედ სახელმწიფოს წილია. ის მწარმოებელი ორგანიზაციაა და არალოგიკურია, რომ სახელმწიფო ორგანიზაციამ ასევე სახელმწიფო კინოცენტრს სუბსიდირება სთხოვოს. ბევრ ქვეყანაში კანონით აკრძალულია კინოცენტრის მიერ იმ პროექტის დაფინანსება, რომელიც სახელმწიფო ორგანიზაციიდან არის შემოსული. თუ ასეთივე კანონი ჩვენთანაც ამუშავდება, "ქართული ფილმი" ჩვენთან პროექტს ვერ შემოიტანს. მათ ჰყავთ რეჟისორები, ტექნიკა, უნდა იმუშაონ, რომ შექმნან ფილმები და ჰქონდეთ ფული. პირადად მე მიმაჩნია და ამ აზრს სხვებიც იზიარებენ, რომ თავის დროზე, სწორი არ იყო კინოსტუდიის სააქციო საზოგადოებად გადაკეთება. რამდენადაც ვიცი, ეს გერმანელი იურისტების კონსულტაციით და რჩევით მოხდა. ისინი იყვნენ იურისტები, რომელთაც წარმოდგენა არ ჰქონდათ კინობაზარზე, კინოინდუსტრიაზე. სხვა გერმანელი სპეციალისტები გაოგნებულები იყვნენ, ასეთი რამ დაუშვებლად მიაჩნდათ.

კინოცენტრი მიესალმება პატარა სტუდიების, ან საპროდიუსერო კომპანიების არსებობას. სახელმწიფო კი ამ კერძო სტრუქტურებს ფეხზე დადგომაში მიეხმარება, რათა შემდგომ დიდი პროექტების განხორციელება შეძლონ.

**- თბილისში შეიძლება, კერძო კინოთეატრებმა წარმატებული ბიზნესი ააწყონ, მაგრამ ასე ვერ იქნება რეგიონებში. აპირებს თუ არა სახელმწიფო, ანუ კინოცენტრი იზრუნოს რეგიონების კინოცხოვრების გამოცოცხლებაზე?**

- ეს ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი სფერო იქნება. კინოცენტრმა უნდა იზრუნოს კინოთეატრების განვითარებაზე და სულერთია, ეს კომერციული იქნება, თუ არა. კერძო კინოთეატრების დახმარებაც შეიძლება და ამის სანაცვლოდ ეს კინოთეატრი აიღებს ვალდებულებას და კვირაში ორჯერ ქართულ პროდუქციას გაუშვებს ეკრანზე. ეს მოლაპარაკების საგანია.

არსებობს მეორე - მუნიციპალური კინოთეატრების ჩამოყალიბების იდეა. ეს გერმნიაში აპრობირებული მეთოდია. მოგეხსენებათ, კომერციული კინოთეატრი ახალი ფილმის ჩვენებას გულისხმობს. როგორც კი ფილმი დაძველდება, კინოთეატრებში მას აღარავინ გაუშვებს, რადგან ის სხვა მატარებლებზე განაგრძობს ცხოვრებას - DVD ან ვიდეოკასეტაზე, აჩვენებენ ტელევიზიით და სხვა. კინოთეატრი, რომელიც "მაგდანას ლურჯას" ან სხვა ძველ ფილმს აჩვენებს, სახელმწიფო დაფინანსების გარეშე ვერ იარსებებს. კინოთეატრმა რომ თავი შეინახოს, დიდი და ახალი ჰოლივუდის ფილმები უნდა აჩვენოს. ჩემი სურვილია, ქალაქში იყოს ერთი მუნიციპალური კინოთეატრი, რომელიც თაობებს აღზრდის და სადაც ნებისმიერი მაღალმხატვრული ღირებულების არაკომერციულ ფილმს უჩვენებენ.

**- კაპიტალის სახით დაგხვდათ თუ არა უცხოეთთან ჩამოყალიბებული ურთიერთობები?**

- სამწუხაროდ, მხოლოდ რუსეთთან.

**- ფესტივალების ორგანიზების დიდი გამოცდილება გაქვთ. როდის არის ქვეყანა მზად ფესტივალის ჩასატარებლად?**

- ყოველთვის. ომის დროს და ომის შემდგომაც ჩატარებულა ფესტივალები და მსოფლიოში ეს პრეცედენტი არსებობს. ედინბურგში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და სარაევოში ომის პერიოდშიც კი ჩატარდა.

იმის დაშვებაც კი წარმოუდგენელია, რომ ვიფიქროთ ხორცზე და არ ვიფოქროთ სულზე. ადამიანს სიცოცხლისთვის ფიზიკური და სულიერი საზრდო ერთნაირად სჭირდება. ხომ არ შეიძლება, ჯერ დამკვიდრებაზე, ფულის შოვნაზე, მანქანის შეძენაზე ვიფიქროთ და მხოლოდ ამის შემდეგ მოვუსმინოთ მოცარტს ან ბახს?! ეს ადამიანის ყოველდღიური მოთხოვნილებაა. ადამიანი შრომის დროსაც მღეროდა, ომის დროსაც, გაჭირვებისა და ლხინის დროსაც, კულტურის ძირითადი ფუნქცია სწორედ ეს არის. სულიერი საზრდოს გარეშე ადამიანი - ადამიანი არ იქნებოდა, კინოც სულიერი კულტურის შემადგენელი ნაწილია და ამ კულტურაში ფესტივალებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. "ჩვენ ეზოში" სესილია თაყაიშვილის გმირი ქალბატონი ამბობს, რა დროს სიყვარულია, სახლი თავზე გვენგრევაო. სიყვარული თუ არ იქნა, რად გინდა ის სახლი?!

**- კინოფესტივალებს სახელმწიფო როგორ უნდა დაეხმაროს?**

- ეს კინოცენტრის ერთ-ერთი მოვალეობაა. ვიცი, რომ ჯერჯერობით არსებობს ორი პროექტი - სტუდენტური ფესტივალი "სესილი", და თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი "ოქროს პრომეთე", რომელიც მეექვსედ ჩატარდება. ამ ფესტივალის დირექტორი ვიყავი, ახლა კი ვერ ვიქნები. კინოფესტივალმა ცოტა გამოაცოცხლა მიძინებული კინოსამყარო. საერთაშორისო კონტაქტებისთვის ფესტივალები უმნიშვნელოვანესია, ამის გარეშე არ ვცოცხლობთ და თან ქართული ფილმი ყველას ენატრება.

**- შეიძლება, ბევრი წლის მერე კანის კინოფესტივალის დონის თუ არა ისეთი დონის ფესტივალი ჩატარდეს საქართველოში, როგორიც ქართული კინოს ძველ დიდებას და პრესტიჟს შეეფერება?**

- მინდა გაგაწბილოთ. გუშინ სრულიად ახალგაზრდა რეჟისორი მოვიდა და გვითხრა, კინო უნდა გადავიღო, პროექტი მაქვსო და თან კანის ფესტივალზე უნდა გავუშვაო. ველარ ვხვდები, ფესტივალისთვის იღებენ ფილმს თუ სათქმელი აქვთ რამე? უპირველეს ყოვლისა, თავის მეგობარს უნდა აჩვენონ ის ტკივილი თუ სიხარული, რის გამოც ფილმი გადაიღეს... როგორც კი ფილმის გაყიდვაზე და ფესტივალზე ფიქრს იწყებ, აღარ ხარ შემოქმედი. ფიროსმანი გამოფენებისთვის არ ხატავდა...

რაც შეეხება, კანის ფესტივალს - ეს “ა” კლასის კინოფესტივალია. მაშინ ჩავატარებთ, როდესაც “ა” კლასის ქვეყანა გავხდებით. იმ ფესტივალის ბიუჯეტი 10 მილიონი ევროა და თან ამხელა ბიუჯეტის მიუხედავად, თავისი ხარჯით არც რეჟისორს იწვევს და არც ფილმი ჩააქვს. მონაწილეობას იქით ეხვეწება ყველა... ეს ერთადერთი მოვლენაა მსოფლიოში. არსებობს ბერლინის, ვენეციის, კარლოვი ვარის ფესტივალები, მაგრამ ყველა გეტყვით, რომ კანის ერთადერთია, რომელსაც ასეთი სახელი და პრესტიჟი აქვს.

**- კინოს მოწონება-დაწუნება გემოვნების საკითხია. რა ღირებულებები იქნება წამყვანი იმისთვის, რომ უნიჭობა არ დაფინანსდეს?**

- საექსპერტო კომისია სპეციალისტებისგან, მწერლებისა და კინომცოდნეებისგან არის შექმნილი. სცენარის მიხედვით უნდა განსაზღვრონ, გამოვა კარგი ფილმი თუ არა. ჩემი აზრით, 12-კაციანი კომისია ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებს. ამის იმედი მაქვს. მაგრამ, არსებობს დამოუკიდებელი პროექტებიც - თუ გაქვთ ფული და სცენარი - გადაიღეთ ფილმი და მერე გამოჩნდება უნიჭობაა თუ არა. შეცდომისგან, რა თქმა უნდა, არავინ არის დაზღვეული, მაგრამ ვცდილობთ, დავაფინანსოთ ნიჭის მარცვალი და საინტერესო იდეა.

**- აქამდე ქართულ კინოს დიდი რეჟისორები უვლიდნენ და ალბათ ვერავინ იტყვის, რომ ვინმეს მათზე მეტად უყვარს ეს საქმე. ამის მიუხედავად, კინო დარჩა უფულოდ, უპატრონოდ, კინოთეატრები იქცა კაზინოებად და არაყნის საამქროებად. რა დამცავი მექანიზმი აქვს კინოს ხელმძღვანელობაში მოსულ ახალ თაობას იმისთვის, რომ მსგავსი რამ არ დაემართოს?**

- დამცავი მექანიზმი მაღალმხატვრული ღირებულების შექმნაა, რომელიც ისევე პოპულარული გახდება ქართველ მაყურებელში, როგორიც იყო "შერეკილები", "არაჩვეულებრივი გამოფენა", "ნატვრის ხე"... ისინი დაიცავენ თავის თავს, ჩვენ კი მათ იურიდიული დაცვის მექანიზმებს შევუქმნით. დაიდება ხელშეკრულებები, რომ ამ კინოთეატრში უნდა იყოს კინო და არა რესტორანი, და თუ რესტორანს გახსნიან, ვუჩივლებთ. ეს არის იურიდიული დაცვა...

**- ჩვენ ვიცით, რა დრო დასჭირდა დიდი ქართული კინოს დანგრევას. რა დრო დასჭირდება ამ ყველაფრის აღდგენას?**

- ამ თანამდებობაზე კონკურსის წესით სამი წლის ვადით დამნიშნეს. ჩემი პროგრამა-მინიმუმი ამ ციკლის ამუშავება - ფილმის დაფინანსება, წელიწადში ფილმების გარკვეული რაოდენობის გადაღება და მერე ამ რაოდენობის გაზრდაა. უნდა დაიწყოს კინოთეატრების აღდგენის, ქონების გამიჯვნის, არქივის შექმნის პროცესი.

**- ამ ეტაპზე კინოს რევოლუციური განვითარება სჭირდება თუ ევოლუციური?**

- რევოლუციები საჭირო არ არის. შევარდნაძემ, მართალია, ოთარ იოსელიანისა და ელდარ შენგელაიას ზეწოლით, მაგრამ ერთი კარგი რამ გააკეთა - ჩვენი კანონი. ეს ძალიან კარგი კანონია და მინდა, რომ ოპტიმალურად ამუშავდეს.

კინო კრიზისში არა მხოლოდ იმის გამო შევიდა, რომ დაფინანსება არ იყო, იმის გამოც, რომ ფორმაცია შეიცვალა - გაუქმდა ცენზურა, დაიმსხვრა ტოტალიტარიზმი. ეს კი გამოიწვევს კინოენის, კინოესთეტიკის, მხატვრული ფორმების ცვლილებასაც. იგავით, ქვეტექსტებით გადმოცემის საჭიროება ახლა აღარ არის. ამიტომ რეჟისორები უფრო რადიკალურ ნაბიჯებზე უნდა წავიდნენ, ახალი თაობა ამას მოიტანს.

**- როგორ გგონიათ, ახალი ქართული კინო მამათა და შვილთა ბრძოლას გამოიწვევს?**

- ყველა თაობა აცხადებს, რომ წყვეტს კავშირს წარსულთან და სრულიად ახალი სიტყვის თქმას აპირებს. ლიტერატურაშიც იყო ასეთი მცდელობები და რევოლუციური რყევების შემდეგ ეს ხშირად ხდება ხოლმე. დრო გადის და ხვდებიან, რომ თურმე შორს არ წასულან, შეუძლებელია, მოსწყდე საკუთარ ფესვებს და ტრადიციებს.



# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ნოდარ დუმბაძე
"თეთრი ბაირაღები"
რეჟისორი: გოგი ქავთარაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
პრემიერა
ლევან წულაძე
"სხვა მთვარე"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
"ლაბირინთი"
ავტორი და რეჟისორი: კახა ბაკურაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**ამირანი**
"გარეკილები"
დას: 14:00; 14:00; 18:00; 20:00; 22:00 სთ.

**რუსთაველი**
"გარეკილები"
დას: 13:00; 17:30; 19:30; 21:30 სთ.

"ჰიჩი"
დას: 15:00 სთ.

## კონცერტები

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
"იუმორინა-2005"
დას: 19:00 სთ.

## გამოფენები

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**TMS**
გოგა ჩანადირის ფოტონამუშევრების გამოფენა
"შრი-ლანკა - უბედურების ზონა"
გახსნა: 18:00 სთ.

**ქარვასლა**
ნარინჯისფერი რეპორტაჟი
(ფოტოგამოფენა)

**ეროვნული გალერეა**
ვალერი მარგიანის ფერწერული ნამუშევრების გამოფენა

**ჰობი**
"კალეიდოსკოპი"
(თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა)

**თანამედროვე ქართული ტექსტილის გალერეა "ათინათი"**
"მეტამორფოზები"
(თინა კლდიაშვილი და დავით მონავარდაშვილი)

**ორნამენტი**
მუდმივმოქმედი ექსპოზიცია "ტიხრული მინანქარი"

**კოპალა**
ირაკლი ცაბაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

## საჯარო დისკუსია

**ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის ოფისი**
(რადიანის ქ. 5)
გაიმართება საჯარო დისკუსია თემაზე:
"ახალი იმპულსები: ნაციონალიზმი და მილიტარიზმი"
მომხსენებლები: სალომე ასათიანი (კულტუროლოგი), დავით დარჩიაშვილი (ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" აღმასრულებელი დირექტორი), ნიკოლოზ რურუა (საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე)
მოდერაცია: დავით პაიჭაძე (რადიო თავისუფლება)
დას: 18:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# ნიკა მემანიშვილი - ეროვნული მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელი

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით გუშინ დაფუძნდა საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი, რომელსაც ახალგაზრდა კომპოზიტორი ნიკა მემანიშვილი უხელმძღვანელებს.

ცენტრში გაერთიანდა ევგენი მიქელაძის სახელობის სიმფონიური ორკესტრი, სულხანიშვილის სახელობის სახელმწიფო საგუნდო კაპელა, სახელმწიფო კამერული ორკესტრი და სახელმწიფო კვარტეტი.

"გაერთიანდა ოთხი მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ორგანიზაცია, რომელიც საქართველოში კლასიკური მუსიკის განვითარებაზე იზრუნებს" - განაცხადა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გოკა გაბაშვილმა. მისივე თქმით, ეროვნული მუსიკალური ცენტრი მუსიკალურ თეატრში დაიდებს ბინას და 26 მაისს გაიხსნება. რაც შეეხება შემოქმედებითი კოლექტივის ჩამოყალიბებას, მომავალი თვიდან გამოცხადდება კონკურსი, ეროვნული მუსიკალური ცენტრის თანამშრომლებს კი გაუორმაგდებათ ხელფასები და სამუშაო პირობები გაუუმჯობესდებათ.

"ეროვნული მუსიკალური ცენტრი უამრავ საინტერესო სტუმარს უმასპინძლებს. ყველა კონცერტზე აუცილებლად შესრულდება ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. დაგეგმილია ცნობილი თანამედროვე უცხოელი მუსიკოსების ნაწარმოებების შესრულებაც. კონცერტებს ყოველთვიურად უცხოელი დირიჟორები წარუძღვებიან" - აღნიშნა ნიკა მემანიშვილმა.

ეროვნული მუსიკალური ცენტრი ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება. წელს მისი ბიუჯეტი ნახევარ მილიონ ლარს შეადგენს და ყოველწლიურად გაიზრდება.

*ინტერ-პრესი*

# მუსიკით და მუსიკაში

### დირიჟორის პორტრეტი

სოფო კილასონია

იგი არა მუსიკით, არამედ მუსიკაში ცხოვრობს. სამი-ოთხი წლიდან მას სწავლობს, ამავე პერიოდში მიუჯდა ფორტეპიანოს და მელოდიების აწყობა დაიწყო. იმ დროიდან მისი ცხოვრება და შემოქმედება არასდროს გამიჯნულა. მხოლოდ ერთი შემთხვევა ახსენდება, როცა მუსიკალურმა ბგერებმა მის გონებასა და ყურში ჟღერადობა შეწყვიტა. მაშინ ეგონა, რომ დაყრუვდა. სიცარიელე დიდხანს არ გაგრძელებულა, თუმცა, მას შემდეგ დააფიქსირა, რომ სხვადასხვა ნაწარმოებიდან ჰანგები მუდამ ჩაესმოდა, რაც არ უნდა ეკეთებინა, ყველაფრის პარალელურად. **"ახლა თქვენ გესაუბრებით და მუსიკა მაინც მესმის. ალბათ, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ასეა,"** - მითხრა დირიჟორმა გოგი ჭიჭინაძემ. მუსიკის გარდა, თითქმის არაფერზე გვისაუბრია. თუმცა, სხვა საკითხები არც გვაინტერესებდა.

მის შესახებ ბევრი დაწერილა და ბევრიც გვსმენია, თუმცა, მისი პორტრეტი ჩემთვის და, მჯერა, არა მხოლოდ ჩემთვის, მაინც საინტერესოა, მით უფრო მაშინ, როცა იგი მისთვის ახალ გარემოში, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში მოღვაწეობს, საოპერო დასის სამხატვრო ხელმძღვანელის მოადგილე და იმ ახალი საოპერო სპექტაკლის დამდგმელი დირიჟორია, რომლის პრემიერასაც სულ მალე ვიხილავთ.



*გოგი ჭიჭინაძე*

დირიჟორობა იმიტომ არ აურჩევია, რომ ბუნებით დიქტატორია, ან, უბრალოდ, ორგანიზაციული საქმეები ხიბლავს. ნამდვილად არა. მას დღემდე უჭირს შენიშვნის მიცემა და რეპეტიციაზე ხმის აწევა, თუმცა, ეს უკანასკნელი მას საერთოდ არ სჭირდება, ისედაც ყველაფერს უსრულებენ და უსიტყვოდ ენდობიან. თუმცა, ოპერის დასთან მუშაობამდე ბევრი რამ იყო. მოსკოვი, სადაც ცხრამეტ წლამდე ცხოვრობდა, კონსერვატორია, ფორტეპიანოს ფაკულტეტი და პირველი ნაბიჯები სადირიჟორო პულტთან. მის ცხოვრებასა და შემოქმედებაში მუდამ პირველები მონაწილეობდნენ: ედიშერ რუსიშვილი, ოდისეი დიმიტრიადი, ვლადიმერ ვაისი, ვლადიმერ ზივა, გერგიევი და ილია მუსინი, ადამიანები, ვინც მას ბევრი რამ ასწავლეს და დიდი სკოლა მისცეს.

გოგი ჭიჭინაძემ კონსერვატორია ფორტეპიანოს განხრით დაამთავრა, თუმცა, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ იგი დირიჟორი გახდებოდა. მას თავიდანვე ხიბლავდა ერთი საქმის სხვებთან ერთად კეთება და საერთოდაც უყვარს ადამიანებთან შემოქმედებითი ურთიერთობა. **"ყოველთვის მიზიდავდა ერთად კეთების ფაქტორი. მიყვარს, ბევრი ხალხი რომ აკეთებს ერთ საქმეს. ვისკონტი ამბობდა თავის გუნდზე: ჩვენ არ ვართ თანამშრომლები, ჩვენ შეთქმულები ვართო. ეს შეთქმულების პროცესი ანუ ერთობლივი შემოქმედება ყოველთვის მომწონდა. ძალიან მიყვარს თვითონ ორკესტრის ჟღერადობა, ხალხთან ურთიერთობა და თავად ადამიანი. ძალიან უცნაურია, მაგრამ ადამიანი ცალკე მოცემული მიყვარს, მასთან ყოველთვის ძალიან კარგად ვგრძნობს თავს, მიუხედავად იმისა, რომ მარტოობა ყველაფერს მირჩევნია. რაც შეეხება ლიდერისა და მმართველის ფაქტორს, ეს ჩემთვის არ არსებობს."**

ბუნებით დემოკრატი დირიჟორი, რომელიც ყოველთვის მაქსიმალურს ითხოვს სხვებისგან, ყველაზე მეტს საკუთარ თავს ართმევს და მუდამ მაქსიმალურად იხარჯება. მას მსმენელამდე ყოველთვის მიაქვს ის, რითიც რეალურად ცხოვრობს და სუნთქავს. მის ცხოვრებასა და შემოქმედებას შორის საზღვარი არასოდეს გავლებულა. ალბათ ამიტომაც იგი ყოველთვის უსმენს საკუთარ შინაგან ხმას და უჭირს, როცა შესასრულებელი ნაწარმოები მის განწყობას არ ეხმიანება. თუმცა ამბობს, რომ ასე ხდებოდა უწინ, ახლა კი პროფესიონალიზმმა იმატა და რეპერტუარსაც მიხედა.

**"გამორიცხულია, დიდი მუსიკალური ტილოს მზადება დავიწყო და ამ მზადების წინ თვეობით არ ვარკვევდე, იმ პერიოდში, იმ კომპოზიტორის ცხოვრებაში რა ხდებოდა. ან ირგვლივ რა დაიწერა, რა დაიხატა იმ დროს. ეს ყველაფერი ძალიან მაინტერესებს. მე იმ არტისტთა რიცხვს მივეკუთვნები, ვისთვისაც ერთია შემოქმედება და რეალური ცხოვრება. რითიც ვცხოვრობ, ყოველთვის ის გამომაქვს სცენაზე. ადრე იმდენად ვიყავი დამოკიდებული ჩემს შინაგან მდგომარეობაზე, რომ თუ ნაწარმოები არ ეხამებოდა ჩემს განწყობას, ვერ ვაკეთებდი. ახლა ასე არაა, პროფესიონალიზმმა მოიმატა და ამიტომ. მე ყოველთვის აღმიქვამდნენ, როგორც ძალიან მინორულ დირიჟორს. ჩემთვის უფრო ახლობელი იყო ბნელი მუსიკა. ამას მოვერიე და ბოლო ორი-სამი წელიწადია, მაქსიმალურად ლაღ მუსიკას მივმართავ."**

კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ გოგი ჭიჭინაძეს ევროპის არაერთ წამყვან ორკესტრთან უმუშავია. 1994 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც ბათუმის სიმფონიურ ორკესტრს უდირიჟორა, იყო მრავალი გასტროლი, ფესტივალი, გამარჯვებული კონკურსი და სხვა მრავალი, თუმცა, ამჯერად ჩვენთვის ყველაზე საინტერესოზე შევჩერდებით.

2000 წლიდან იგი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საოპერო მომზადების კათედრის პედაგოგი ხდება. პედაგოგიურ მოღვაწეობას და სტუდენტურ ორკესტრთან მუშაობას დირიჟორი ყველაზე მეტი სიამოვნებით იგონებს. **"რომ გითხრათ, ჩემი შემოქმედებით ვამაყობ და შოკში ვარ-მეთქი, მართალი არ ვიქნები, მაგრამ პედაგოგიური მოღვაწეობით ნამდვილად ვტრაბახობ. ბავშვები საერთოდ ცალკე თემაა ჩემს ცხოვრებაში. კონსერვატორიაში მოღვაწეობის დრო უცნაური და ამავე დროს ძალიან ლამაზი პერიოდია. რომ გითხრათ, შემოქმედებითი გამოცდილება სტუდენტურ ორკესტრთან შევიძინე-მეთქი, არც ამაში ვიქნები მართალი, მაგრამ ადამიანური გამოცდილება მივიღე. როგორც პიროვნებამ, უამრავი რამ შევიძინე."**

სწორედ კონსერვატორიის საოპერო სტუდიის სცენაზე გოგი ჭიჭინაძე იმ სპექტაკლის დამდგმელ დირიჟორად მოგვევლინა, რომლის განხორციელება პირველი იყო, რაც ოპერის თეატრის ახალმა ხელმძღვანელობამ მას სთხოვა, - გაეტანო დონიცეტის "დონ პასკუალე". უკვე დიდი ხანია, რაც თეატრში ახალ სპექტაკლზე მუშაობენ. დამდგმელი დირიჟორი გვპირდება, რომ სპექტაკლი ძალიან ლამაზი და ხალისიანი იქნება. **"ძალიან მინდა, სპექტაკლის ხილვისას მაყურებელმა ბევრი იცინოს, ოღონდ იცინოს სიუჟეტზე. ეს არის იუმორით სავსე მუსიკა და დადგმა. მინდა, რომ ხალხმა ნამდვილად ისიამოვნოს მუსიკალური თვალსაზრისით. იყოს დახვეწილი ჟღერადობა, ორკესტრი. ეს ყველაფერი ნამდვილად ასე იქნება, უბრალოდ, მე ასე ვარ შეჩვეული მუშაობას".**

ახალ საპრემიერო სპექტაკლზე ბევრი არ გვისაუბრია. ჩემი რესპონდენტის სურვილით, თეატრზე განვაგრძეთ საუბარი. ეს გასაგებიცაა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ დღევანდლამდე მას ოპერისა და თეატრის ორკესტრთან არასდროს უმუშავია, მეორეც იმიტომ, რომ იგი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ზაზა აზმაიფარაშვილის მოადგილე და იმ "შეთქმულთა" სრულუფლებიანი წარმომადგენელია, ვისაც ოპერისა და ბალეტის თეატრის აღორძინება დაეკისრა. **"პირველი შემთხვევაა, როცა თბილისში სამსახურში მისვლა მიხარია და მუშაობისას ბედნიერი ვარ",** - მითხრა მართლაც აღტაცებით და იმ ატმოსფეროზე მესაუბრა, რომელიც თეატრში სუფევს და რომელიც ჭეშმარიტი შემოქმედებისა და ჯანსაღი ურთიერთობისთვის არაჩვეულებრივია.

კითხვაზე, თუ, მისი აზრით, რა არის მთავარი, რათა ჩვენმა თეატრმა საბოლოოდ დიდ წარმატებას მიაღწიოს, მოკლედ მიპასუხა: **"ნიჭი - დიდი, ნებისყოფა - უზარმაზარი, გადაწყვეტილების მიღების უნარი და საქმის სიყვარული."**

აპრილის შუა რიცხვებში ოპერისა და ბალეტის თეატრი კიდევ ერთი საოპერო სპექტაკლის პრემიერას გეგმავს. დირიჟორი გოგი ჭიჭინაძე, დამდგმელი რეჟისორი მაია გაჩეჩილაძე და დამდგმელი მხატვარი გიორგი ნადირაძე თეატრის რეპერტუარს კომედიური ჟანრის სპექტაკლით გაამდიდრებენ და ამით კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამენ დიდი წარმატებისკენ მიმავალ გზაზე.

# საკითხავი ნივთმოძულეთათვის

### "ფოტომამები" - პოეტ შოთა იათაშვილის პროზაული ფოტომიმოხილვა

ია ვეკუა

პოეზიიდან დროებით მხატვრობაში, მხატვრობიდან კი სტაბილურად პროზაში გადაბარგებულმა შოთა იათაშვილმა მოთხრობების მორიგი კრებულის მოკრძალებულად საზეიმო პრეზენტაცია გამართა. როგორც მას სჩვევია, საკუთარი ნაღვაწის წარდგენისას სიმორცხვენარევი ღიმილით ესალმებოდა "ლიტერატურულ კაფეში" შეკრებილ საზოგადოებას და წიგნის ანონსირება მეგობარ ახალგაზრდა მწერლებს მიანდო. "პრეზიდიუმში" იათაშვილთან ერთად "განთავსებულმა" ლაშა ბუღაძემ კი დაასკვნა: "დიდი ხანია, "ლიტ-კაფეში ასეთი ხალხმრავლობა არ მინახავს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ შოთა იათაშვილი მკითხველს უყვარს!"

მკითხველი კი ხშირად აღნიშნავს, რომ შოთა იათაშვილი კარგი პოეტია, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, პროზის მუზასთანაც წარმატებით მეგობრობს. ამაში უკეთ დასარწმუნებლად, იათაშვილმა საკუთარ თავს შარშან მცირე გამოცდაც მოუწყო, როდესაც იმ 26 მწერალს შორის აღმოჩნდა, რომლებიც "პენ მარათონზე" სწრაფად წერის გარდა, 24-საათიან უძილობაშიც ეჯიბრებიან ერთმანეთს. მართალია, ბოლო მარათონული წერისას იათაშვილს მაინცდამაინც არ გაუმართლა, მაგრამ საკუთარი სამწერლო ძალები ამოწურულად არ ჩათვალა და "ფოტომამებისთვის" რამდენიმე ახალი მოთხრობა შეთხზა.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

წიგნის სარჩევი გვამცნობს, რომ 20-მდე მოთხრობა ხუთ ქვეთავში, შესაბამისად, ხუთი იდეის ირგვლივაა გაერთიანებული. "რეზო და ნანა ანუ კვლავაც მოთხრობები მამრსა და მდედრზე" რეზოს, ნანასა და მისთანების შესახებ დაწერილ 6 მოთხრობას აერთიანებს. სწორედ ამ ქვეთავის კუთვნილებაა "წარღვნა", რომლის შესახებაც ყველაზე მეტი ითქვა და რომელზეც ქვემოთ უფრო დაწვრილებით მოგახსენებთ.

წიგნისსათაურიანი მოთხრობა "ფოტომამები" "ფოტომოთხრობების" სახელით ცნობილ ციკლში ირიცხება, ხოლო ქვეთავი "მწიგნობრული დეფორმაციები" ქართული თანამედროვე ლიტერატურის, ალბათ, ყველაზე გრძელი და უცნაურსათაურიანი მოთხრობის - "არაპოლიტკორექტული სიმბოლური დოკუმენტი ლიბერალებისა და კონსერვატორებისთვის" თავშესაფრად ქცეულა.

მართალია, "წერილები" მხოლოდ ორ მოთხრობას აერთიანებს, მაინც იპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგან მკითხველი შოთა იათაშვილისა და ჟან-კლუკ გოდარის "მიმოწერის" მოწმე გახდება (ერთ-ერთ მოთხრობასაც ასე მარტივად ჰქვია - "გოდართან გასაგზავნი წერილები").

ახალ წიგნზე საუბრისას კრიტიკოსმა ლევან ბრეგაძემ გულწრფელად აღიარა, რომ იათაშვილის მხურვალე მკითხველია და რომ ყველა მოთხრობას ოსტატის ხელი ეტყობა. "განსაკუთრებით "წარღვნა" და "ყველაფერი" მომეწონა. კრებულში გაერთიანებული მოთხრობები იმდენად სადადაა დაწერილი, თითქოს ავტორი ყვავილებზე პეპლების ფარფატს აღწერს", - ხატოვნად აღნიშნა ბრეგაძემ.

სწორედ ლევან ბრეგაძემ გაავლო პარალელი იათაშვილის "წარღვნასა" და ოთარ იოსელიანის მიერ მათემატიკური პედანტურობით გადაღებულ "აპრილს" შორის. აღმოჩნდა, რომ ეს ფილმი პრეზენტაციაზე შეკრებილებს შორის არავის ჰქონდა ნანახი, ჩვენ კი მკითხველს უბრალოდ შევახსენებთ, რომ იოსელიანის შავ-თეთრი კინოგმირები საგნების გაფეტიშების წინააღმდეგ გამოდიან და, საბოლოოდ, მათგან გათავისუფლებას ამჯობინებენ.

შოთა იათაშვილმაც აღიარა, რომ "აპრილი" არასდროს უნახავს და რომ მოთხრობის სიუჟეტი მის სამწერლო წიაღში დამოუკიდებლად იშვა.

მცირე ამონარიდი "წარღვნისა" და "აპრილის" შედარების მსურველთათვის:

**"უცებ გადაწყვიტა, სახლი დაენგრია. სკამებით დაიწყო. აყირავებდა, წიხლს ურტყამდა და საზურგეს აძრობდა. გამძლე სკამებს ხერხით ახერხავდა საზურგეს, ფეხებს ჩაქუჩით ატეხავდა. ცოლი გულგრილად უყურებდა. ბავშვები გამხიარულდნენ, ირგვლივ შემოეხვივნენ, შეკითხვებს აძლევდნენ, სკამების ნატეხებს ბინაში დააჩოჩიალებდნენ. სკამებს რომ მორჩა, ტელევიზორის დაშლას შეუდგა, უკნიდან ჭანჭიკები მოხსნა, მავთულები და სქემები ააგლიჯა, ეკრანი გამოიღო..."**

ამის პარალელურად, ოჯახის ერთ-ერთი უყურადღებო წევრის მიერ ღიად დატოვებული ონკანის "წყალობით" სახლში "წარღვნა" იწყება და დასალეწად განწირული ნივთები გზააბნეული ნავებივით ტივტივებენ. საბოლოოდ, ნანა უსარგებლო ავეჯისგან გასათავისუფლებლად ქმარს "იტალიურ" წესს სთავაზობს, რაც სკამების, სავარძლებისა და მისთანანის პირდაპირ ფანჯრიდან გადაყრას გულისხმობს...

**შოთა იათაშვილი:** "ფოტომამები" ჩემი მესამე პროზაული კრებულია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პოეზიას ვუღალატე. მოთხრობები ბოლოს 2000 წელს გამოვეცი, მას შემდეგ კი მხოლოდ რვა მოთხრობა დავწერე - ამ მხრივ, საკმაოდ არასტაბილური ვარ. უბრალოდ, ხანდახან ისეთი სათქმელი მიგროვდება, რომელიც აუცილებლად პროზის ენით უნდა ვთქვა. რაც შეეხება ჩემი მოთხრობების გმირებს, ბევრ მათგანს ვიცნობ, მაგრამ, ცხადია, არიან გამოგონილი პერსონაჟებიც. ვფიქრობ, ცხოვრებიდან აღებულ იმპულსებში მეტი საინტერესო შტრიხის აღმოჩენაა შესაძლებელი და წერაც უფრო ადვილია."

# კამერონ დიასი ველური ბუნების წიაღში


კამერონ დიასი

ახალი პროექტი "ემ ტი ვი"-ზე.

Trippin - მგზავრობა, ხეტიალი - ეს სიტყვა "რედ ჰოტ ჩილი პეპერსის" ცნობილ სიმღერასთან გვაკავშირებს ასოციაციურად, მაგრამ მალე იგივე სიტყვა მსმენელს კამერონ დიასსაც გაახსენებს. გუშინ საღამოს "ემ ტი ვი"-ს ეთერში შედგა გადაცემის პრეზენტაცია, რომელსაც ველური ბუნების წიაღში მოხეტიალე მსახიობი უძღვებოდა.

პროექტი Trippin ათსერიანია. ავტორი კამერონ დიასი და რჩეული სტუმრები ჰოლივუდიდან ეკოლოგიურ საკითხებზე საუბრობენ, მიყრუებულ რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებთან მეგობრობენ, მათთან ერთად ცეკვავენ, ერთობიან, მათ ყოფა-ცხოვრებას ეცნობიან და სამეცნიერო პრობლემებსაც მაქსიმალურად პოპულარული ენით აშუქებენ. სწორედ ამ მიზნით დიასმა "ჰიჩის" ვარსკვლავი, ევა მენდესი ნეპალში გაუშვა და ნეპალელ ბავშვებთან ერთად აცეკვა. პატარებს ჰიპ-ჰოპის ილეთებს ევა და მომღერალი რედმანი ასწავლიდნენ. რეპერი დი ემ ექსი კი იელოუსტოუნის პარკში შეიჭრა, განგსტერი რეპერის იმიჯი ოსტატურად მოიშორა, ძირსაც დაიხარა, სიგარეტის ნამწვი აიღო, კამერას თვალი გაუსწორა და მთელი გულწრფელობით თქვა - "მე მიყვარს კემპინგი".

უცნობია, მაყურებელი დაუჯერებს თუ არა ვარსკვლავებს, მაგრამ ფაქტია, მათ ძალისხმევა არ დაზოგეს, რათა ეკრანზე გამოჩენილიყვნენ გულწრფელები და ეკოლოგიური პრობლემებით მაქსიმალურად დაინტერესებულები. ამის გამო "ნიუ იორკ ტაიმსის" მსუბუქი ირონიაც დაიმსახურეს. "Trippin წარმოგვიდგენს გადაშენების პირას მყოფ ცხოველებს თავიანთ ბუნებრივ ყოფაში, მაგრამ გადაცემა ასევე წარმოგვიდგენს მომღერლებსა და მსახიობებს თავიანთი ბუნებრივი ყოფის მიღმა", - წერდა ჟურნალისტი.

მართლაც ველურ ბუნებაში მოხვედრილი ვარსკვლავები კამერების წინ ყოველგვარი მაკიაჟის და ვარცხნილობის გარეშე ჩნდებიან. გადაღების დროს ისინი თვითონ ეზიდებოდნენ საკუთარ ტვირთს და ხშირად საერთო კარვებში ეძინათ. "მუწუკები, ყველგან მუწუკები იყო" - ხუმრობს დიასი და იქვე განმარტავს იმასაც, თუ რატომ გაუჩნდა ეკოლოგიური სერიალის გაკეთების სურვილი:

"ერთი უცნაური დეტალი შევნიშნე. მგონი, ხალხს ეშინია ისეთი ვარსკვლავების, რომლებიც თავიანთ აზრს გაბედულად გამოთქვამენ. თითქოს, ამ შიშსაც მოეძებნება ახსნა: ასეთი ტიპის მსახიობებს ხომ დიდ პუბლიკაზე შეუძლიათ გავლენის მოხდენა. ამიტომაც მაყურებელს ურჩევნია, თავი იმით დაიმშვიდოს, რომ მსახიობები იდიოტები არიან და საკუთარი აზრი არ გააჩნიათ". კამერონ დიასს, ტელეჟურნალისტიკაში ფეხის შედგმით, ალბათ, სწორედ ამგვარი დამოკიდებულების გაქარწყლება სურს. ლამაზმანი ვარსკვლავი ცდილობს, პუბლიკა დაარწმუნოს, რომ ის აზროვნებს და დედამიწის ბედიც აღელვებს: "რამ მაიძულა პროექტის გაკეთება? ისეთმა არაფერმა, მეგობარო! ცხოვრებამ, ცხოვრებამ. იმან, რომ ჰაერს ვსუნთქავ და წყალს ვსვამ და ვატყობ, რომ სხვებს ეს ბედის საჩუქარი ჰგონიათ. არადა, ყველაფერს გაფრთხილება უნდა".

ვინც გადაცემა უკვე ნახა, ამბობს, რომ დიასი საშინაო დავალებას მშვენივრად ართმევს თავს. დგას ოკეანის ფონზე, აცვია სერფერის კოსტიუმი და ძალიან სექსუალური გარეგნობის მიუხედავად, ძალიან დიდი სერიოზულობით მიმოიხილავს ხან დინამიტით თევზაობის მავნე მხარეებს და ხან მოსახლეობის ზრდის პრობლემებს.

"როცა კამერონს უნდა შოუს გაკეთება, შენ ცხადია, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე აცხადებ თანხმობას. ის დიდი ვარსკვლავია, მაგრამ თან რეალურიც არის, მიწიერიც და ბუნებრივიც. ამიტომ პროექტმა გაამართლა" - "ემ ტი ვი"-ის ხელმძღვანელობა ასე ახასიათებს კამერონის ხეტიალს ველურ ბუნებაში.

მსახიობს დანარჩენი ვარსკვლავებიც იოლად დათანხმდნენ. მას ყველაზე მეტად თავისი შეყვარებულის, მომღერალ ჯასტინ ტიმბერლეიკის დაყოლიება გაუჭირდა. მაგრამ ბოლოს ტიმბერლეიკი დიასის გადამღებ ჯგუფს ტანზანიაში მაინც წაჰყვა და მასაის ტომის აფრიკელებს ცეკვის ილეთებიც ასწავლა. "ჯასტინი ცეკვავდა, ყველას უკვირდა. ისინი აზრზე არ იყვნენ, ვინ იყო ის, ისინი ვერ ხედავდნენ განსხვავებას ადამიანებს შორის. ამ საერთოობის განცდამ ძალიან იმოქმედა. დასტინს მეც ავყევი, ბრეიკდანსის ილეთებით ავცეკვდი, მათ ყიჟინა დასცხეს. მერე ყველამ ტალღები გავაკეთეთ" - იხსენებს კამერონი.

ერთი სიტყვით, "ემ ტი ვი"-ზე ველური ბუნების ნამდვილი ზეიმი იწყება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს პირველი პრეცედენტი არ გახლავთ. 2000 წელს გარემოს დამცველებმა ლეონარდო დი კაპრიო მიიმხრეს და მსახიობს პრეზიდენტ ქლინტონთან ინტერვიუ ჩააწერინეს, რომელიც "ეი ბი სი"-ს ეთერში გადაიცა. კამერონ დიასი კი მაყურებლის წინაშე უფრო ფართომასშტაბიანი პროექტით წარდგება. მას იმედი აქვს, რომ "ემ ტი ვი"-ს ახალგაზრდულ პუბლიკას ტელეეკრანთან ვარსკვლავების უცნაურ სიტუაციებში ნახვის სურვილი მაინც მიიზიდავს. შემდეგ კი იმაზეც დაფიქრდებიან, რომ დედამიწას გაფრთხილება სჭირდება.

მოკლედ

## მარსოს სკოლას ხურავენ



პარიზში მარსელ მარსოს სასწავლებელი დახურვის პირასაა. სახელოვანი ფრანგი მიმის სახელობის მიმების დრამის საერთაშორისო სკოლა ოცდაშვიდი წელიწადია ამზადებს მსახიობებს. სადავო არც სასწავლებლის ავტორიტეტია - მარსოს სკოლაში სასწავლებლად მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩადიან. თუმცა, საფრანგეთის დედაქალაქის მერიამ უარი განაცხადა სკოლის დაფინანსებაზე. შედეგად, წელს სკოლაში მსურველებს ველარ მიიღებენ. უახლოეს მომავალში კი მასწავლებლებსაც დაითხოვენ.

არაოფიციალური მონაცემებით, ხელისუფლებას სურს, მარსოს სკოლა პარიზის თეატრალურ ინსტიტუტთან გააერთიანოს. რაც შეეხება თავად სახელოვან მიმს, რომელსაც 82 წელი შეუსრულდა, იგი მეტად დამწუხრებულია ამ ყველაფრის გამო და ისღა დარჩენია, მოიწონოს სკოლისა და ინსტიტუტის გაერთიანების იდეა. "იმისათვის, რომ ჩემი სწავლების მეთოდები შევინარჩუნოთ, დავთანხმდი ხელისუფალთა გადაწყვეტილებას. მართალია, შემეძლო გამეხსნა სკოლა შეერთებულ შტატებში, მაგრამ მინდა, რომ ის საფრანგეთის ტერიტორიაზე არსებობდეს, რადგან მე ყოველთვის გამოვდიოდი და გამოვდივარ საფრანგეთის კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად", - განაცხადა მარსელ მარსომ, რომელიც, ასაკის მიუხედავად, არ წყვეტს მსოფლიო ტურნეს; ამჟამად ის არგენტინაში გასამგზავრებლად ემზადება.


ისარგებლეთ ლაი·ლაით & იკითხეთ 24 საათი

1 აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია „24 საათი"-ს ყველა მკითხველს

2 შეაგროვეთ სამი ქვემოთ მოცემული კუპონი და მიიღეთ საჩუქრად ლაი-ლაის სიმ-ბარათი

3 კუპონები ამოჭერით მითითებულ ადგილას და შეაგროვეთ ისე, რომ დაკომპლექტდეს ნუმერაცია 1, 2, 3 (მნიშვნელობა არ აქვს რომელი თარიღის გაზეთიდანაა ამოჭრილი კუპონი).

4 კუპონები წარმოადგინეთ ჯეოსელის თბილისისა და რეგიონების სარეალიზაციო წერტილებში ან სადილერო ქსელში. თქვენ იხდით 10 ლარს ისევ თქვენი სასაუბრო დროისთვის და იღებთ ლაი-ლაის სრულ სასტარტო პაკეტს (ლაი-ლაის სიმ-ბარათი + 10 ლარის ღირებულების სასაუბრო დრო)

24 საათი 1 ლაი·ლაი

აქცია ძალაშია: 2005 წლის 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე.

კუპონების მიღება შესაძლებელია: 2005 წლის 15 აპრილამდე.

სიმ-ბარათის აქტივაციის ბოლო ვადა: 2005 წლის 30 აპრილი.

| ქალაქი | მისამართი |
|---|---|
| თბილისი | რუსთაველის გამზ. №38 |
| | კოსტავას №37 |
| | ბაქოს №2 |
| | შეშელიძის №3 |
| | ჯავახეთის №44 |
| | ქ. წამებულის გამზ. №75 |
| | კინოთეატრი "რუსთაველი" |
| | გამსახურდიას გამზ. №24 |
| | რუსთაველის გამზ. №31 |
| | მარჯანიშვილის №19 |
| | წერეთლის გამზ. №141ა |
| | ყაზბეგის გამზ. №41 |
| | მ.კოსტავას №22 |
| | მ.კოსტავას №7 |
| ზესტაფონი | ჭანტურიას № 2 |
| ქუთაისი | თამარ მეფის №25 |
| სამტრედია | რუსთაველის № 27 |
| სენაკი | რუსთაველის № 211 |
| ზუგდიდი | კოსტავას №5ა |
| ხობი | ლადიანის № 238 |
| ფოთი | 26 მაისის № 2 |
| ბათუმი | ერას №54/62 |
| ქობულეთი | აღმაშენებლის №135 |
| ოზურგეთი | ჭავჭავაძის № 6 |
| ჩოხატაური | დუმბაძის №7 |
| ლანჩხუთი | თავისუფლების №2 |
| რუსთავი | ხალხთა მეგობრობის №10 |
| მარნეული | რუსთაველის №37 |
| ბოლნისი | ს.-ს. ორბელიანის № 44 |
| თელავი | კოსტავას № 3 |
| ყვარელი | ილია ჭავჭავაძის №64 |
| ლაგოდეხი | 26 მაისის №14 |
| წნორი | სტალინის №11 |
| დედოფლისწყარო | რუსთაველის № 4 |
| მცხეთა | სამხედროს №11 |
| კასპი | სტალინის №98 |
| გორი | სტალინის №15 |
| ცხინვალი | ცელნიკოვის №211/39 |
| ხაშური | რუსთაველის №16 |
| ბორჯომი | რუსთაველის № 121 |
| ახალციხე | ნათენაძის № 76 |
| ახალქალაქი | კლარა ცეტკინის №77 |


სამსონ ლეჟავას სვეტი

## საეკლესიო კედლის მხატვრობა ძველ საქართველოში



ათეიზმის ზეობის ხანაშიც კი საეკლესიო კედლის მხატვრობისადმი მოწიწება, მისდამი პატივისცემა საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილში თუნდაც შეფარული რელიგიურობის გამოხატულება იყო. მართალია, ტაძრები და მათი მოხატულობებიც "ძეგლებად" იყო აღიარებული, მაგრამ, მაგალითად, ფრესკებში, ბევრი ადამიანი სჭვრეტდა "ძეგლზე" ბევრად აღმატებულ მნიშვნელობას, აღიარებდა მათ განსაკუთრებულ ხარისხს, სიწმინდეს, ამაღლებულობას. თუმცა, იმავე დროს, უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ იშვიათი როდი იყო ვანდალური შებღალვის, დაზიანების, "უკვდავმყოფელი" წარწერებით საშინელი, გამოუსწორებელი დამახინჯების მაგალითებიც. მთავარი ისაა, რომ სრული უპატრონობის პირობებში და დრო-ჟამის ზემოქმედების შედეგადაც, მოხატულობათა უდიდესი ნაწილის განადგურების მოწმენი ვართ. სამწუხაროდ, ძალზე ცოტაა რიგიანად ფიქსირებული იმასთან შედარებით, რაც ჯერ კიდევ შემოგვრჩა. არადა კედლის მხატვრობის არაერთი ნიმუში საქართველოში, საერთაშორისო ფასეულობის სულიერი საგანძურია. როგორც ჩანს, საზღვარი არც კი აქვს უდარდელობას, უპასუხისმგებლობას, უკულტურობას. ალბათ, ნებისმიერ სხვა ქვეყანაში ასე გულგრილად არასგზით მოეკიდებოდნენ საკუთარ მემკვიდრეობას, რომელიც მხოლოდ ჩვენ როდი გვეკუთვნის. თუმცა, იქნებ აღარც კი ითვლება ეს მემკვიდრეობა საკუთრად?!

მცირე წერილში გამორიცხულია საქართველოს საეკლესიო მხატვრობის თუნდაც უმოკლესი მიმოხილვა. ეს უფრო "თვალგადავლებაა", მისი მნიშვნელობის შეხსენებაა მკითხველისათვის.

გადამწყვეტი წვლილი ქართული კედლის მხატვრობის შესწავლაში გიორგი ჩუბინაშვილისა და შალვა ამირანაშვილის ფუძემდებლურ გამოკვლევათა შემდგომ, ეკუთვნის მანდილოსან მეცნიერებს: თინათინ ვირსალაძეს, გაიანე ალიბეგაშვილს, ეკატერინე პრივალოვასა და სხვებს. ამასთანავე, უზარმაზარი თავდადების შედეგად, სოფიო მირზაშვილმა და ტატიანა შევიაკოვამ დაგვიტოვეს კედლის მხატვრობის პირველხარისხოვანი პირები, რომელნიც შეუცვლელ დოკუმენტურ მასალას წარმოადგენს.

შუასაუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა ცხადყოფს: მასში მაქსიმალური ძალითაა ხორცშესხმული ქრისტიანული სწავლება - შინაგანად სრულებით შესაფერისი ენით მართლმადიდებელი ხელოვნებისა.

გამაოგნებელი მაგალითია "ჯვარის ამაღლება" იშხანიდან (იგი ფოტოზეა წარმოდგენილი). ესაა საკრალურის თვალხილულად გამოვლენის საკვირველი ნიმუში: პარადოქსულადაა შეხამებული გამჭვირვალება, უდიდესი სიმსუბუქე და უკიდეგანო, ყოვლის გამმსჭვალავი ენერგია. ხაზების გაქანება მიუწვდომელ გამომხატველობას აღწევს. თუ როგორ შეახამა ოსტატმა უზუსტესი ხელმოსმა და უზღვარო თავისუფლება, გამოცანად რჩება. ეს არა მხოლოდ სამეფო, არამედ გადაუჭარბებლად, ზეციურთან წილნაყარი ხელოვნებაა - როგორც ჩანს, დიადი ოსტატის ხელი მზად იყო უმაღლესი მადლის აღსაქმელად...

ანდა ატენში, გაბრიელ მთავარანგელოზი გავიხსენოთ "ხარების" სცენიდან: ნახატის შეუდარებელი სიმტკიცე, მონახაზის განსაკუთრებული ნებითობა, ამოუწურავი დინამიკა, პლასტიკის ძალამოსილება... სერგო ქობულაძე ეთაყვანებოდა ამ ბრწყინვალე "ნაწარმოებს", აღფრთოვანებული იყო მისით.

ახლა კი "უფლის სერობას" შევეხოთ დავით გარეჯიდან. აქ საკრალურობა სხვა "კოდითაა" მოწვდილი. ლაქის ზღვრული განყენებულობა, მისი გარდაქმნა წმინდა შუქწერად - ღრმად მისტიკურია. თავს იჩენს უზარმაზარი კონცენტრაცია მატერიალურზე განუზომლად ამაღლებულობის დროს...

ყინწვისის მოხატულობის სულიერი სივრცე - ეს აგრეთვე მეტად თავისებური მაგალითია ფრესკული ფერწერის საზეო მონაპოვართა თვალსაზრისით. ლაქა აქ იძენს უსასრულო სიღრმესა და მანათობელობას. უნატიფესი, "ზემსუბუქი" და იმავდროულად, დაუოკებელი მუხტით აღვსილი ნახატი არა გრძობადემოციური, არამედ უპირველესად, რელიგიური საზრისითაა მშვენიერი, ანუ "შესაშვენია" ღვთიურისა. ფერწერის ერთიანად მდენი "ტალღები" ეფინება, აღავსებს ტაძრის წიაღს, შიდა სივრცეს, განასრულებს მას...

ბეთანიის მხატვრობაში კი (რომელიც კარგადაა ცნობილი თამარ მეფის გამოსახულების წყალობით), უცნაურადაა შეხამებული ასკეტურობა და არაბანალური, სხვა განზომილების მქონე სიცოცხლის მოყვარულობა. ეს მოხატულობა ცხადყოფს, რომ ასკეზა აქ გულისხმობს არა სხეულებრივის მარტივ უარყოფას, არამედ მის განწმენდას, გარდასახვას, ამაღლებას. ნახატი იმდენად დიდი ოსტატობით გამოირჩევა, რომ დანამდვილებით ავლენს თავის შესაძლებლობათა უკიდურეს გამოხატულებას.

ორიოდე სიტყვას დავსძენ სვანეთის საეკლესიო ფერწერაზე. ხაზოვანი მეტყველების სილონივრე, მისი თითქმის არასხეულებრივი, წმინდა პლასტიკური შეხებადობა (გაიანე ალიბეგაშვილი), მთლიანობის გადამწყვეტი შეგრძნება, "გრაფიკის" მიზანსწრაფულობა თავმოყრილი მოგვარებულობის დროს, სიმძაფრის კულმინაციურობა და საბოლოო სულიერი გაწონასწორება - ასეთი რისამე მიღწევა, მხოლოდ მეფის მხატვარ თევდორეს დარ ოსტატს თუ ძალუძდა...

სადღეისოდ, საეკლესიო კედლის მხატვრობა არა მხოლოდ კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით, არამედ ცოცხალი შემოქმედების სახითაც - ძალზე აქტუალურ მნიშვნელობას იძენს. ამდენადაც, აუცილებელია, რომ ჩვენი საეკლესიო კედლის მხატვრობის მემკვიდრეობას, მისი უზარმაზარი ფასეულობის შესაფერისი ყურადღება მიეპყროს - სხვა შემთხვევაში, კვლავ და კვლავ, უკვე ჩვეულად ქცეული უმადურობა გამოვლინდება დიადი ტრადიციისადმი დამოკიდებულებაში. ქართულ სატაძრო კედლის მხატვრობაში ისეთი უნივერსალური სინთეზი იჩენს თავს, რომ მასში საკუთარი ენის სხვადასხვა ნიუანსებს "დაინახავს", თუ გნებავთ, ევროპული ფერწერის თითქმის ყოველი მნიშვნელოვანი მიმდინარეობა.

ინფოთეკა

## ტორესი მომავალზე საუბრობს

მადრიდის "ატლეტიკოს" ლიდერმა ფერნანდო ტორესმა ინგლისელ ჟურნალისტებს სამომავლო გეგმები გაუმხილა. 21 წლის ფორვარდი, რომელმაც ამ სეზონზე კლუბისთვის 15 ბურთი გაიტანა, დარწმუნებული არ არის, რომ დიდების მოსაპოვებლად მშობლიური გუნდის დათმობას შეძლებს.

"ხშირად მეკითხებიან, წავალ თუ დავრჩები. მართალი გითხრათ, არ ვიცი. "ატლეტიკო" - ეს დიდი გუნდია, რომელიც ხანდახან მოგებას ვერ ახერხებს. სხვა კლუბში უფრო მეტის მიღწევას შევძლებ, მაგრამ "ატლეტიკოში" მყავს ის, რაც არც ერთ სხვა ადგილას არ მექნებოდა - ჩემი ოჯახი და მეგობრები. და აი, ვეკითხები საკუთარ თავს: რა ვქნა? პასუხად ვაცხადებ: არ ვიცი. თუ იგივე კითხვას ერთი კვირის შემდეგ დამისვამთ, შესაძლოა, სხვანაირად გიპასუხოთ," - განაცხადა ტორესმა.

## არაგონესმა სასამართლოში საჩივარი შეიტანა

ესპანეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ლუის არაგონესმა სასამართლოში საჩივარი შეიტანა ჯარიმასთან დაკავშირებით, რომლის გადახდაც მას რასისტული გამონათქვამების გამო დაეკისრა.

ცნობილია, რომ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ მწვრთნელი 2080 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმა ლონდონის "არსენალის" ფორვარდის ტიერი ანრის შეურაცხყოფის გამო.

გასაჩივრების მიზეზი გახდა არა მხოლოდ ჯარიმა, არამედ ესპანეთის ანტირასისტული კომიტეტის მოთხოვნა, რომელიც არაგონესის უფრო მკაცრად დასჯას ეხება.

"საქმე ის კი არ არის, რომ დამსაჯეს, არამედ ის, რომ ისინი უფრო მეტს მოითხოვენ," - აღნიშნა არაგონესმა.

## ჯერარდი რჩება

ინგლისური კლუბის "ლივერპულის" კაპიტანი სტივენ ჯერარდი არსად წასვლას არ აპირებს. ბრიტანული პრესის ცნობით, ფეხბურთელმა მადრიდის "რეალსა" და ლონდონის "ჩელსიში" გადასვლაზე უარი თქვა იმისთვის, რომ კლუბში დარჩენილიყო.

ვარაუდობენ, რომ 25 წლის ნახევარმცველი "ლივერპულთან" ახალ, 26 მილიონი გირვანქა სტერლინგის ღირებულების კონტრაქტს გააფორმებს, რაც მას ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად აქცევს მთელ ინგლისში.

## მაკმანამანი ფეხბურთიდან წასვლაზე ფიქრობს

ინგლისური კლუბის "მანჩესტერ სიტის" ნახევარმცველმა სტივ მაკმანამანმა განაცხადა, რომ კარიერის დამთავრებაზე ფიქრობს. მისივე თქმით, თუ ტრავმების გამო ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები არ მოწესრიგდება, ის ფეხბურთიდან წავა. უკანასკნელად მაკმანამანი 7 მარტს გამოვიდა მოედანზე.

"სეზონის ბოლოსთვის ამ საკითხს გადავწყვეტ. თუ ჩემი ორგანიზმი ბრძოლის გასაგრძელებლად მზად იქნება, დავრჩები, მაგრამ თუ კვლავაც შემაწუხებს ტრავმები, წავალ. მოკლედ, ექვს თვეში ზუსტად მეცოდინება, როგორ მოვიქცევი მომავალში", - განაცხადა 33 წლის ფეხბურთელმა.

## ტომასონი "მილანში" თამაშით უკმაყოფილოა

დანიის ეროვნული ნაკრებისა და "მილანის" თავდამსხმელს იონ დალ ტომასონს მიაჩნია, რომ იტალიურ კლუბში მისი როლი არც მაინცდამაინც მნიშვნელოვანია. ფორვარდის განცხადებით, ის უკვე შეეგუა იმ ფაქტს, რომ "მილანის" ძირითად შემადგენლობაში ვერასოდეს ითამაშებს.

ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ ტომასონის შეძენით დაინტერესებული ხუთი ევროპული გუნდი გაისტუმრა უარით.

"მილანში" არის ხუთი ფეხბურთელი, რომლებიც ყველა მატჩში იღებენ მონაწილეობას. სხვები კი იძულებული არიან, შეეგუონ იმ ფაქტს, რომ ხან ითამაშებენ, ხან - არა. ვიცი, რომ ევროპულმა კლუბებმა "მილანს" ჩემი გაყიდვა შესთავაზეს, მაგრამ მისმა ხელმძღვანელობამ უარი თქვა. იტალიაში ჩამოსვლამდე მე "მილანსა" და "ბარსელონას" შორის უნდა გამეკეთებინა არჩევანი. როგორც ხედავთ, კატალონიურ გუნდს იტალიური ვამჯობინე", - განაცხადა დანიელმა ფეხბურთელმა.

ფეხბურთი

# „დიდი თურქობის" წინ

"პატარა თურქობა" გამარჯვებით იწყებს. რას იზამენ დიდები?

მიხეილ აბაიშვილი

ქართველი ქომაგი კიდევ ერთხელ გაწბილდა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის გოჩა ტყებუჩავას დანაპირები - თურქებთან და ბერძნებთან ექვს, ჰა-ჰა, ოთხ ქულას მაინც ავიღებთო, დღეს უკვე სევდანარევ ირონიას იწვევს. ყველაზე საწყენი კი ის არის, რომ ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები დამარცხდა მატჩში, რომელშიც მეტოქეს ბევრით არაფრით ჩამოუვარდებოდა, მომენტებში კი აშკარად აღემატებოდა კიდეც. ორი უპატიებელი და უხეში შეცდომა; ერთხელ დაცვის ხაზის, ხოლო მეორედ - მეკარის მიერ დაშვებული, წაგებულ თამაშად დაგვიჯდა.

**საქართველო (ახალგაზრდული ნაკრები) - თურქეთი (ახალგაზრდული ნაკრები) 0:2 (0:1)**

**საქართველო: ბობღიაშვილი, ჭიღლაძე, ციმაკურიძე, ჩიკვილაძე, ელიავა, ბესარაშვილი, ღვინიანიძე, გეწაძე (მარცვალაძე, 69`), გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე (ებანოიძე, 83`), ხოჯავა (გიორგი ვახტანგის ძე ჭელიძე 83"), იაშვილი. მთავარი მწვრთნელი: გოჩა ტყებუჩავა.**

**თურქეთი: ელმასი, კორა, თათანი, თურანი (გუნგორი, 38`), იოლდასი, ერდოგლუ, თოფუზი, კოგაკი, კაბა, სარიოგლუ (ფერასი, 83`), აკინი (ბულეთი, 78`). მთავარი მწვრთნელი რაშიტ ჩეტინერი**

**გოლები: 0:1 კაბა 6`, 0:2 აკინი 73`.**

**გაფრთხილება: ჭიღლაძე, ელიავა.**

**გაძევება: მარცვალაძე, 75`.**

**მთავარი მსაჯი: კოსტადინ კოსტადინოვი (ბულგარეთი)**

**ეროვნული სტადიონი, 12 ათასი მაყურებელი**

მიზეზთა გამო, ოთხი დღის წინანდელი ძირითადი შემადგენლობიდან, რომელმაც საბერძნეთთან ფრედ, 1:1 დაასრულა მატჩი, ტყებუჩავას ლამის ნახევარი გუნდის გამოცვლა მოუხდა. ყველაზე საგრძნობი მაინც თავდამსხმელ სანდრო გურულისა და ნახევარმცველ ჯაბა კანკავას არყოფნა გამოდგა. ბურთი მასპინძლებს არ უჩერდებოდათ და პირველივე წუთებიდან თურქი ფეხბურთელები დაეუფლნენ უპირატესობას. ეს განსაკუთრებით



სტუმართა კარი ქართველთათვის აუღებელი აღმოჩნდა

თვალშისაცემი იყო მოედნის ცენტრში, რომლის დაპატრონების შედეგად, სტუმრებმა ზედიზედ რამდენიმე სახიფათო იერიში განახორციელეს. აღსანიშნავია, რომ საწყისი წუთები წინა მატჩის ზუსტი ასლი გამოდგა და ფატალურმა დამთხვევებმაც არ დააყოვნა: ოთხი დღის წინ ბერძნებმა მე-6 წუთზე გახსნეს ანგარიში, გუშინ კი იგივე თურქებმა გაიმეორეს. გოლი ასე გავიდა: ჩვენი ახალგაზრდულის დაცვის ხაზი ხელოვნური თამაშგარეს ორგანიზებას ცდილობდა, მაგრამ არ გამოუვიდა, რის შედეგადაც კაბა ბობღიაშვილთან პირისპირ გავიდა და დაუბრკოლებლად დაარტყა კარში. გაშვებული გოლის მიუხედავად, რასაც ქართველი ფეხბურთელების გააქტიურებისთვის დამატებითი მოტივი უნდა შეექმნა, ვერა და ვერ მოხერხდა თამაშის დალაგება და ხეირიანი შეტევების ორგანიზება. ამაში მთავარი "დამნაშავე" თურქეთის ნაკრები იყო, რომელიც საქართველოს ნაკრების ნახევარზეც აქტიურ პრესინგს მიმართავდა და მასპინძლებს იერიშის წამოწყების საშუალებას არ აძლევდა. ერთადერთი დასამახსოვრებელი ეპიზოდი, რაც ჩვენებმა პირველ ტაიმში შექმნეს, 42-ე წუთზე, კუთხურის ჩაწოდების შემდეგ ბესარაშვილის თავური იყო, თუმცა, თურქთა მეკარემ დამაჯერებლად ითამაშა.

მატჩის მეორე ნახევარში მასპინძლები გაცილებით გააქტიურდნენ, რასაც თურქების დაღლილობამაც შეუწყო ხელი. ისინი მთელ მოედანზე პრესინგს შეეშვნენ და უფრო საკუთარი საჯარიმოს მისადგომების დაცვას ცდილობდნენ. კულმინაციური მომენტი 56-ე წუთზე დადგა: როგორც ყოველთვის, ხოჯავამ კარგად შეასრულა საჯარიმო დარტყმა, სტუმართა მეკარემ ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა და წინ დაუვარდა, დამატებაზე კი კარგ პოზიციაში მყოფმა ჭელიძემ მოუქნელად იმოქმედა - დარტყმის ნაცვლად ბურთს ფეხი მოუცაცუნა. ამ გამოუყენებელი მომენტის საზღაურის დრო 73-ე წუთზე დადგა: აკინმა ლამის სტამბულიდან დაარტყა, მაგრამ ბობღიაშვილმა მოგერიება ვერ შეძლო. სტუმრები 2:0 დაწინაურდნენ. მდგომარეობა იმანაც დაამძიმა, რომ 69-ე წუთზე შეცვლაზე შემოსულმა მარცვალაძემ მოედანზე სულ 6 წუთი "გაძლო": 75-ე წუთზე მსაჯმა უხეში თამაშისთვის იგი წითელი ბარათით დასაჯა. რაოდენ კურიოზულადაც არ უნდა გეჩვენოთ, კაცნაკლულად დარჩენილმა ჩვენმა გუნდმა უკანასკნელი წუთები ძალზე კარგად ჩაატარა და ორჯერ გოლის გატანაც შეეძლო: ერთ ეპიზოდში იაშვილი უტევდა, მეორედ - ჭელიძე, მაგრამ ორჯერვე ბრწყინვალედ ითამაშა სტუმართა მეკარემ და ბოლო წუთამდე საკუთარი კარი "მშრალად" შეინახა.

**გოჩა ტყებუჩავა: "ტრავმებმა და დისკვალიფიკაციებმა საშუალება არ მოგვცა, ოპტიმალურთან მიახლოებული შემადგენლობა გამოგვეყვანა. შედეგით უკმაყოფილო ვარ. ყველაზე უფრო იმაზე მწყდება გული, რომ ბიჭებს ცუდად არ უთამაშიათ. დავმარცხდით ორი მიუტევებელი შეცდომის გამო. თურქებს, პრაქტიკულად, სხვა სახიფათო მომენტი არც შეუქმნიათ და ვერც ვიტყვი, რომ რაიმე განსაკუთრებული თამაში შემოგვთავაზეს. თამაშის ხარისხის მიხედვით, სულ მცირე, ფრეს მაინც ვიმსახურებდით."**

**რაშიტ ჩეტინერი: "ძალიან კმაყოფილი ვარ. ბიჭებმა ზუსტად შეასრულეს ის დავალებები, რაც მატჩის წინ მივეცი. ქართველებთან შეხვედრაში დაგეგმილი სამი ქულა მოვიპოვეთ. ეს ჩვენი ზედიზედ მეორე გამარჯვებაა და 4 დღეში მოპოვებული 6 ქულა გვაძლევს ქვეჯგუფში პირველი ადგილის დაკავების შანსს."**



თურქთა ალყას თავი ვერ დავაღწიეთ...

BRITISH AIRWAYS

მიიღეთ მონაწილეობა გაზეთ 24საათის და მისი პარტნიორი ავიაკომპანია ბრითიშ ეარვეისის ვიქტორინაში და მოიგეთ ორი ბილეთი ლონდონის მიმართულებით!

[illegible]

ინფორმაცია ვიქტორინის მონაწილის შესახებ:

სახელი, გვარი

ასაკი

ტელეფონ(ებ)ი

სამსახურის ტელეფონი (აუცილებელი არ არის)

ელექტრონული ფოსტის მისამართი

* [illegible]

1. კვირაში რამდენ რეისს განახორციელებს ბრითიშ ეარვეისი თბილისსა და ლონდონს შორის 2005 წლის 28 მარტიდან?
   1. კვირაში ერთ რეისს
   2. კვირაში სამ რეისს
   3. ყოველდღიურ რეისებს
2. კვირის რომელ დღეებში განახორციელებს ბრითიშ ეარვეისის რეისები თბილისსა და ლონდონს შორის 2005 წლის 28 მარტიდან?
   1. ყოველ სამშაბათს
   2. ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათს და შაბათს
   3. ყოველდღე
3. დღის რომელ მონაკვეთში შესრულდება ბრითიშ ეარვეისის რეისები თბილისსა და ლონდონს შორის?
   1. დილით
   2. საღამოს
   3. შუაღამისას
4. ბრიტანეთის რომელ აეროპორტში მიფრინავს ბრითიშ ეარვეისი თბილისიდან?
   1. ლონდონი-ჰითროუ
   2. [illegible]
   3. ლონდონი-ლუტონი
5. რომელი ტიპის თვითმფრინავით ხორციელდება თბილისი-ლონდონი - თბილისის რეისები?
   1. აერობუსი 320
   2. ბოინგ 747
   3. კონკორდი
6. კვირაში რამდენი დღის განმავლობაშია ღია ბრითიშ ეარვეისის თბილისის ოფისი?
   1. ხუთი
   2. ექვსი
   3. შვიდი
7. სად მდებარეობს ბრითიშ ეარვეისის თბილისის ოფისი?
   1. სასტუმრო შერატონ-მეტეხი-პალასში
   2. ლესელიძის 44-ში
   3. სასტუმრო ქორთიარდ-მარიოტის მიმდებარე [illegible]
8. დაასახელეთ რეისის ხანგრძლივობა თბილისსა და ლონდონის ჰითროუს შორის.
   1. ხუთი საათი
   2. ცხრა საათი
   3. თორმეტი საათი
9. რამდენი სამგზავრო კლასია აერობუს 320-ის სალონში თბილისი-ლონდონი- თბილისის რეისებზე?
   1. ერთი: ეკონომ-კლასი
   2. ერთი: ბიზნეს-კლასი
   3. ორი: ეკონომ-კლასი (World Traveller) და ბიზნეს-კლასი (Club World)
10. დაასახელეთ ბრითიშ ეარვეისის პარტნიორი ავიაკომპანია, რომელიც უშუალოდ ახორციელებს თბილისი-ლონდონი-თბილისის რეისებს.
   1. BMED ([illegible])
   2. GB ეარვეისი
   3. კომეარი

ინფოთეკა

## "იუვენტუსი" დიოგოს შეძენას აპირებს

ადვილი შესაძლებელია, რომ "რივერ პლეიტის" მცველმა დიოგომ მომდევნო სეზონი იტალიის სერია A-სთან ერთად დაიწყოს. 21 წლის ფეხბურთელმა უარი თქვა ურუგვაულ კლუბთან კონტრაქტის გაგრძელებაზე და განაცხადა, რომ ევროპაში სურს გადასვლა.

უკვე დიდი ხანია, რაც ფეხბურთელის აგენტი პაკო კასალი თანამშრომლობს "იუვენტუსთან". აგენტის განცხადებით, იტალიური კლუბი დიოგოს შეძენას გეგმავს. შემდეგ კი მას იჯარით გადასცემს იტალიის ჩემპიონატის ერთ-ერთ კლუბს, სავარაუდოდ, "პალერმოს".

## იუნბერგი ნაკრებში თამაშზე უარს იტყვის

ლონდონის "არსენალის" ნახევარმცველი ფრედი იუნბერგი შვედეთის ეროვნულ ნაკრებში თამაშის შეწყვეტას აპირებს. 27 წლის ფეხბურთელმა, რომელმაც ნაკრებში 49 მატჩი ჩაატარა, საკუთარი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ მთლიანად კლუბზე უნდა გადართვა.

"ეს ძალიან ძნელი გადასაწყვეტია. ამის შესახებ ვესაუბრე დენის ბერგკამპსა და პოლ სქოულს. შეუძლებელია, ნაკრებში თამაშის შემდეგ კლუბში კარგად ითამაშო," - განაცხადა ფეხბურთელმა.

## ტერის ნაკრების კაპიტნობა უნდა

ლონდონის "ჩელსის" ფეხბურთელმა ჯონ ტერიმ ეროვნული ნაკრების კაპიტნობის სურვილი გამოთქვა. "ჩემთვის აუცილებელია, კარგად მოვემზადო იმ თამაშებისთვის, რომელსაც ბატონი ერიქსონი დაესწრება. დარწმუნებული ვარ, ყველა თვისება მაქვს იმისთვის, რომ ინგლისის ეროვნული ნაკრების კაპიტანი გავხდე. საკლუბო დონეზე უკვე გავხდი კაპიტანი და ამ ამპლუაში ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. ჩემი პარტნიორებიც კმაყოფილი არიან ჩემით. ვცდილობ ვიყო ლიდერი და მათ დავეხმარო", - განაცხადა ტერიმ.

## კასილიასი "მანიუში" არ გადადისო

მადრიდის "რეალის" მეკარის იკერ კასილიასის აგენტმა უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფეხბურთელი მოლაპარაკებას აწარმოებს "მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობასთან.

ადრე იტყობინებოდნენ: თავად კასილიასმა განაცხადა "Daily Star"-თან ინტერვიუში, რომ "მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობამ კონტრაქტი შესთავაზა და იგი ზაფხულში გადავა ახალ კლუბში.

ახლა მისი აგენტი აცხადებს, რომ ამ გამოცემის მიერ გამოქვეყნებულ მასალაში არც ერთი სიტყვა არ შეეფერება სიმართლეს. მისივე თქმით, კასილიასს საერთოდ არ უსაუბრია ინგლისელ ჟურნალისტებთან.

"იკერი არანაირ მოლაპარაკებას არ აწარმოებს "მანჩესტერ იუნაიტედის" წარმომადგენლებთან. ის ძალიან კმაყოფილია მადრიდის "რეალში" თამაშით", - განაცხადა აგენტმა.

როგორც ცნობილია, 23 წლის მეკარეს "სამეფო გუნდთან" თამაშის ვადა მომავალი სეზონის ბოლოს ეწურება.

## მოურინიოს პორტუგალიის ნაკრები უნდა

ლონდონის "ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ აღიარა, რომ პენსიაზე გასვლამდე პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელად უნდა მუშაობა. ეს განაცხადა მან ისრაელში ორდღიანი ვიზიტის შემდეგ, სადაც მან ებრაელი და პალესტინელი ბავშვებისთვის ჩატარებულ საწვრთნელ პროგრამაში მიიღო მონაწილეობა.

მოურინიომ ასევე დაამატა, რომ არასოდეს უნდოდა ლონდონში თამაში, თუმცა, სამშობლოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელობა კი ყოველთვის იყო მისი დიდი სურვილი.

"ჩემი ვარაუდით, მწვრთნელად კიდევ 13 წელი ვიმუშავებ. კარგი იქნება, თუ აქედან ოთხი წელი პორტუგალიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ვიქნები. ეს იმას ნიშნავს, რომ ინგლისში კიდევ ცხრა წელიწადს მომიწევს დარჩენა, თუმცა, ეს საჩემო სამუშაო არ არის", - აღნიშნა მოურინიომ.

## ადრიანსე შეიძლება "ვესტ ჰემის" მწვრთნელი გახდეს

შესაძლებელია, ზაფხულში ჰოლანდიელი სპეციალისტი კო ადრიანსე სათავეში ჩაუდგეს ინგლისურ კლუბს "ვესტ ჰემს". მასობრივი საინფორმაციო წყაროების ცნობით, მიმდინარე სეზონის დასასრულს "ალკმარის" მთავარი მწვრთნელი ლუი ვან გალს დაუთმობს ადგილს, თავად კი საზღვარგარეთ აპირებს კარიერის გაგრძელებას.

57 წლის ჰოლანდიელმა ლონდონიდან უკვე მიიღო მიწვევა.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

ფეხბურთი

# მაიკლ ოუენი: „ბოლომდე ვიბრძოლებთ!„

*მაიკლ ოუენი*
*დაიბადა 1979 წლის 14 დეკემბერს*
*თავდამსხმელი*
***სიმაღლე:** 176სმ*
***წონა:** 70კგ*
***კლუბები:** "ლივერპული" (ლივერპული, ინგლისი, 1997-2004), "რეალი" (მადრიდი, ესპანეთი, 2004-)*
***ტიტულები:** ინგლისის თასი - 2001, ინგლისის ლიგის თასი - 2001, 2003, ინგლისის სუპერთასი - 2001, უეფას თასი - 2001, ევროპის სუპერთასი - 2001, ინგლისის ჩემპიონატის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი - 1998, ინგლისის ჩემპიონატის აღმოჩენა - 1998, ინგლისის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი - 1998 (18 გოლი), 1999 (18 გოლი), ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი ("ფრანს ფუტბოლი") - 2001, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ("უორლდ სოკერი") - 2001 ინგლისის ნაკრებში ჩატარებულ 68 მატჩში გაიტანა 29 გოლი*

2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრები, ალბათ, ითამაშებს. ყოველ შემთხვევაში, სვენ გორან-ერიქსონის გუნდი საკვალიფიკაციო ტურნირში ბრწყინვალედ ასპარეზობს და ერთპიროვნულად ლიდერობს ჯგუფს.

შაბათს ინგლისელებმა მეზობელი ჩრდილოირლანდიელები მიიღეს მანჩესტერის ულამაზეს "ოლდ ტრაფორდზე". ბრიტანული დაპირისპირება მასპინძელთა შესანიშნავი გამარჯვებით დასრულდა - ოთხი უპასუხო გოლი გაიტანეს!

ერთ-ერთი გოლი მაიკლ ოუენმა შეაგდო, ფორვარდის სანაკრებო გოლების რაოდენობა კი 29-მდე გაიზარდა.

დღეს ოუენი და მისი თანაგუნდელები აზერბაიჯანის ნაკრებს მასპინძლობენ, გუნდს, რომელიც შაბათს პოლონეთთან 0:8 დამარცხდა. მადრიდის "რეალის" ფორვარდი იმედოვნებს, რომ ექს-საბჭოელებს არაერთ გოლს გაუტანს და ინგლისის ნაკრების ყველა დროის ბომბარდირთა სიაში მეოთხე ადგილზე გადაინაცვლებს.

სანამ თავდამსხმელთან ინტერვიუს შემოგთავაზებდეთ, მცირე სტატისტიკურ ცნობებს მოგაწვდით: ინგლისის ნაკრების ისტორიაში ყველაზე მეტი გოლი ლეგენდარულმა სერ ბობი ჩარლტონმა გაიტანა - 49. მეორე ადგილზეა გარი ლინეკერი - 48, ხოლო მესამეზე - ჯიმი გრივსი 44 გოლით. მაიკლს, როგორც ვთქვით, 29 გოლი აქვს გატანილი და მხოლოდ ერთი ბურთით ჩამორჩება მეოთხე-მეექვსე ადგილზე მყოფ ალან შირერს, ტომ ფინეის და ნეტ ლოფთჰაუზს.

**- მაიკლ, აზერბაიჯანელებს ნიუკასლში, "სენტ-ჯეიმსიზ პარკზე" მასპინძლობთ, ამ სტადიონზე კი ის ფეხბურთელი თამაშობს, რომელიც სანაკრებო ბომბარდირთა სიაში ერთი გოლით გისწრებთ...**

- ვხვდები, რასაც გულისხმობთ, მაგრამ მგონი, არ ეწყინება, თუ გავუთანაბრდები ან გადავასწრებ. ალან შირერი ჩინებული ფორვარდი იყო და მჯერა, სანაკრებო კარიერის დასრულების შემდეგ კვლავაც ინგლისის მხურვალე გულშემატკივარია. მჯერა, რომ სტადიონზე იქნება და გამარჯვებასაც მოგვილოცავს!

**- შირერის, ფინეის და ლოფთჰაუზის მიღწევამდე მხოლოდ გოლი გიკლიათ, ხოლო თუ დუბლს შეასრულებთ, მათ გაასწრებთ და მეოთხე ადგილზე დამკვიდრდებით. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ეს მონაცემები?**

- რომ გითხრათ, არ მაინტერესებს და მხოლოდ გუნდის გამარჯვებაზე ვფიქრობ-მეთქი, მოგატყუებთ. ჩვენ რომ ბრაზილიას ვეთამაშებოდეთ ან სხვა რომელიმე ძლიერ გუნდს, პირველ ადგილზე მართლაც გუნდის ინტერესები იქნებოდა, მაგრამ აზერბაიჯანი ნამდვილად არ განეკუთვნება იმ მეტოქეებს, რომელთანაც ძნელია მოგება. სხვა თუ არაფერი, პოლონელებმა 8:0 მოუგეს. დარწმუნებული ვარ, ჩვენც დიდი ანგარიშით გავიმარჯვებთ. მჯერა, რომ გოლსაც გავიტან, ხოლო თუ რამდენიმე ბურთი შევაგდე, ეს მხოლოდ გამახარებს! ცხადია, ყველანაირად ვეცდები, ჩემი მონაგარი გავზარდო!

**- შვიდი წელია ნაკრებში ასპარეზობთ და უკვე 29 გოლი გაქვთ გატანილი. თუ გავითვალისწინებთ, რომ მხოლოდ 25 წლის ხართ და ალბათ, კიდევ არაერთი წელიწადი ითამაშებთ ქვეყნის პირველ გუნდში, უნდა ვივარაუდოთ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ სერ ბობი ჩარლტონის რეკორდსაც შეუტევთ. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

- ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ ამის საშუალება მომეცემა, მაგრამ აქვე გეტყვით, რომ რეკორდის გაუმჯობესება ძალიან რთული იქნება. თუ ჯანმრთელობამ ხელი შემიწყო და კარგ ფიზიკურ ფორმაში ვიქნები, ალბათ, ნაკრებში მიმიწვევენ და მერე მე ვიცი. გოლების გატანას ყველა მატჩში ვცდილობ და როცა ასე მოწადინებული ხარ, გაგიმართლებს კიდეც. გოლების რაოდენობაც, ცხადია, გაიზრდება.

**- აზერბაიჯანელებთან პირველი მატჩი 1:0 მოიგეთ. გადამწყვეტი გოლი სწორედ თქვენ გაიტანეთ...**

- გამოდის, რომ ვიცი, როგორ დავლაშქრო ამ გუნდის კარი!

**- იმ მატჩში თქვენ ნაკრების კაპიტანიც იყავით...**

- ყოველთვის მიხარია, როცა კაპიტნის სამკლაური მიკეთია. მოედანზე კაპიტნის რანგში გასვლა ათმაგად საპასუხისმგებლოა. თუ გადამწყვეტი გოლი გაგაქვს, თავად წარმოიდგინეთ, რამდენად სასიხარულოა! ის მართლაც რთული მატჩი იყო და, სიმართლე გითხრათ, ჩემთვის უზომოდ სასიხარულო იყო იმ გოლის გატანა!

**- ნაკრებში კარგი თამაში, ალბათ, მადრიდის "რეალის" ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებაში დაგეხმარებათ...**

- მართალი ბრძანდებით. სამეფო კლუბის სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრა ძალიან ძნელია და თამაშიდან თამაშამდე მიწევს იმის დამტკიცება, რომ ამის ღირსი ვარ. უმეტესწილად, მწვრთნელი სათადარიგოთა შორის მტოვებს, მაგრამ თუ სტატისტიკურ მონაცემებს გადავხედავთ, რონალდოს შემდეგ ყველაზე მეტი გოლი მე მაქვს გატანილი. ფეხბურთში ციფრებს აუცილებლად უნდა ენდო - სტატისტიკა მოთამაშის შესაძლებლობების უტყუარი დასტურია! ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია.

**- "ლივერპულში" მუდმივად ძირითად შემადგენლობაში თამაშობდით, "რეალში" გადასვლის შემდეგ კი სათადარიგოთა სკამს შეეჩვიეთ - ხშირად შეცვლაზე ერთვებით თამაშში... ამის გათვალისწინებით, ხომ არ თვლით, რომ ესპანეთის დედაქალაქში ტრანსფერი შეცდომა იყო?**

- მადრიდში გადასვლას დადებითი მხარეც აქვს და უარყოფითიც. ამ უკანასკნელში, ცხადია, სათადარიგოთა შორის ხშირად დარჩენას ვგულისხმობ, თუმცა, ისევ და ისევ სტატისტიკას მოვიშველიებ - რაც ახალი სეზონი დაიწყო, კლუბსა და ნაკრებში ორმოცზე მეტი თამაში ჩავატარე. ეს კი სულაც არაა ცოტა. აქედან გამომდინარე, სათამაშო პრაქტიკა მაქვს, თუმცა, მოედანზე იმაზე ცოტა დროს ვატარებ, ვიდრე მინდა. არა, "ლივერპულის" დატოვებას შეცდომად არ მივიჩნევ...

**- "ლივერპულის" შემადგენლობაში 297 მატჩი ჩაატრეთ და 158 გოლი გაიტანეთ. ვერაფერს იტყვი, შესანიშნავი ციფრებია. თვლით თუ არა, რომ თქვენი მადრიდული კარიერაც არანაკლებ შთამბეჭდავი იქნება?**

- ვნახოთ, ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს. მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია - "რეალში" თავს ჩინებულად ვგრძნობ და ვთვლი, რომ კლუბისთვის სიკეთის მოტანა შემიძლია. იმედია, კლუბში ჩემს მონდომებას უფრო დააფასებენ.

**- სხვათა შორის, პრიმერადივიზიონის თავდამსხმელთა შორის თქვენ ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი გაქვთ - საშუალოდ, 50 წუთში ერთხელ გაგაქვთ გოლი...**

- არ მიკვირს, რადგან ყოველთვის ბევრი გოლი გამქონდა. მერწმუნეთ, "რეალში" უფრო ხშირად რომ მქონდეს ძირითად შემადგენლობაში თამაშის საშუალება, ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა შორის ვიქნები.

**- თუ გისაუბრიათ მწვრთნელთან ამის შესახებ?**

- არაერთხელ, თუმცა, ამას სერიოზულ საუბარს ვერ დავარქმევდი. ვანდერლეი ლუშემბურგოს თავისი მოსაზრებები აქვს და რადგან ფეხბურთელი ვარ, მათ უსიტყვოდ ვემორჩილები. მწვრთნელმა იცის თავისი საქმე და მჯერა, რომ შესაძლებლობების დამტკიცების შანსს არაერთხელ მომცემს.

**- საინტერესოა, რამდენი გოლია საჭირო, რომ სეზონის ბოლოს კმაყოფილი დარჩეთ?**

- სულ ცოტა, ოცი! მიუხედავად იმისა, რომ პრიმერადივიზიონის დარჩენილ ტურებში ამის გაკეთება ძალიან ძნელი იქნება, ვეცდები, სასურველ შედეგს მაქსიმალურად მივუახლოვდე.

**- "რეალში" უმაღლესი დონის ფორვარდები ირიცხებიან. რონალდოს და რაულის დასახელებაც კმარა. თქვენ რომელთან გიადვილდებათ თამაში?**

- ორივე იმ დონის თავდამსხმელია, რომელთაც უსიტყვოდ გაუგებ. რონალდო ორიგინალურია, არ იცი, რას მოიმოქმედებს, რაული კი ძალიან ცბიერია და თავითაც ჩინებულად თამაშობს... მათ მხარდამხარ თამაში, გარდა იმისა, რომ ძალიან კარგია, ბევრის მომცემია. მათგან ბევრს ვსწავლობ.

**- პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სეზონის ბოლოს სამეფო კლუბში დიდი ცვლილებები იგეგმება. ამბობენ, რომ, შესაძლოა, მადრიდი დატოვოთ. თქვენ თუ გსმენიათ ამის შესახებ?**

- რა თქმა უნდა, მაგრამ თავს მშვიდად ვგრძნობ. მთავარია ის, თუ რას გეუბნება კლუბის ხელმძღვანელობა და არა ის, თუ რა იწერება ჟურნალ-გაზეთებში. "რეალის" თავკაცებისგან ვიცი, რომ საჭირო ვარ. სხვა არაფერი მაინტერესებს. თუ ჩათვლიან, რომ ჩემი წასვლის დროა, არ მოერიდებათ, მეტყვიან. არც მე დავიკარგები, მაგრამ ეს საკითხი, ჯერჯერობით, დღის წესრიგში არ დგას.

**- ინგლისური გაზეთები წერენ, რომ თქვენი შეძენა პრემიერლიგის სამ კლუბს სურს...**

- იმაზე კი არაფერს ამბობენ, მე რა მინდა. ასეა, ხომ? სამწუხაროა, როცა გაზეთები გადაუმოწმებელ ინფორმაციას აქვეყნებენ...

**- "ლივერპულმა" ფერნანდო მორიენტესი შეიძინა, მადრიდის "რეალის" ფორვარდი, რომელსაც კლუბი ზედიზედ მეორე სეზონია ვერ იყენებდა...**

- მორიენტესი ჩინებული თავდამსხმელია და "რეალი" მხოლოდ იმიტომ დატოვა, რომ კონკურენციას ვერ გაუძლო. ეს გასაკვირი სულაც არაა...

**- რა უფრო ადვილია: პრემიერლიგიდან პრიმერადივიზიონში გადასვლა თუ პირიქით?**

- მგონი, პირველი. ესპანეთის ჩემპიონატის თამაშები არ მღლის, პრემიერლიგაში კი იყო შემთხვევები, როცა მატჩის ბოლოს სიარული მიჭირდა. თამაშის ტემპით ეს ორი პირველობა ძალიან განსხვავდება და თუ კარგად არ ხარ მომზადებული, ინგლისში თამაში გაგიჭირდება.

**- ესპანური კლუბებიდან ევროთასებს მხოლოდ "ვილიარეალი" შემორჩა. როგორ ფიქრობთ, დასუსტდნენ პრიმერადივიზიონის გუნდები?**

- მგონი, ნაადრევია ესპანური კლუბების სისუსტეზე საუბარი. ორი-სამი წლის წინ ნახევარფინალებში, სულ ცოტა, სამი ესპანური კლუბი თამაშობდა. ეს კი გასათვალისწინებელია - დიდი გუნდები ერთ სეზონში არ სუსტდებიან. წლეულს, მგონი, შიდა საკლუბო პრობლემებმა იჩინა თავი, რამაც გუნდების თამაშზე უარყოფითი გავლენა მოახდინა, რითაც სხვა ქვეყნის კლუბებმა ისარგებლეს...

**- რით ახსნით "რეალის" მარცხს ტურინის "იუვენტუსთან"?**

- ჩვენ წავაგეთ კლუბთან, რომელიც ძლიერი იყო. მეტოქემ ორი მატჩის ჯამში გვაჯობა და ტურნირსაც გამოგვთიშა. ესაა და ეს. როცა მეტოქე გჯობია, გიგებს კიდეც. მარტივი ჭეშმარიტებაა.

**- მეოთხედფინალში "იუვენტუსი" თქვენს ყოფილ კლუბს ხვდება. საინტერესოა, რას ფიქრობთ ამ წყვილზე?**

- მიუხედავად იმისა, რომ "ლივერპული" ჩემი ცხოვრების ნაწილად მიმაჩნია, უზომოდ მიყვარს და ვქომაგობ კიდეც, ვთვლი, რომ ნახევარფინალში "იუვენტუსი" გავა. "ლივერპული" ლამაზი კლუბია და სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში იტალიელები უფრო გამოცდილნი არიან. და ალბათ, ამის ხარჯზე გაიმარჯვებენ კიდეც.

**- დიდი შანსია, რომ "რეალმა" ტიტულის გარეშე დაასრულოს სეზონი...**

- სრული სიმართლეა, მაგრამ ჩვენსას ვეცდებით. პრიმერადივიზიონის მოგების შანსი ისევ გვაქვს და ამიტომ ბოლომდე ვიბრძოლებთ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ "ბარსელონას" ვმასპინძლობთ!

*მოამზადა*
*ლაშა გოდუაძემ*



ფორმულა 1

## „ფერარი„ მემკვიდრის ტახტს ამზადებს



*ბრიატორეს ალონსო არ ეთმობა*

*ბოლო დროს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ მიხაელ შუმახერს მემკვიდრე სჭირდება. ამით, პირველ ყოვლისა, "ფერარის" საჯინიბოა დაინტერესებული. სკუდერიაში კი თვალი იმაზე აქვთ დადგმული, ვინც თავად შუმიმ შარშან საკუთარ მემკვიდრედ გამოაცხადა. ყოველ შემთხვევაში, ასე თქვა: მომავალ ჩემპიონს ფერნანდო ალონსოში ვხედავო და იქვე დასძინა: ოღონდ მას შემდეგ, რაც სამეფო რბოლებიდან წავალო. მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი კი, როგორც თვითონ ამბობს, კიდევ რამდენიმე წელიწადს არსად წასვლას არ აპირებს. ეს იყო შარშან, წლეულს კი სკუდერიაც აღარ მალავს, რომ ესპანელის გადაბირება სურს. ალონსო კი ფრანგული საჯინიბოს - "რენოს" სული და გულია.*

გიგა გურასაშვილი

2005 წლის ჩემპიონატი დაიწყო და იტალიურ საჯინიბოს ალონსოსადმი ინტერესი უფრო გაუღვივდა, რაც, შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად შუმახერის დამსახურებაა. მიხაელმა ავსტრალიისა და მალაიზიის დიდ პრიზებზე ორ ქულაზე მეტი ვერ მოაგროვა. ესპანელმა ჯერ მესამე ადგილი დაიკავა, მერე კი სულაც გაიმარჯვა (პირველი ეტაპი ალონსოს თანაგუნდელის, იტალიელი ჯანკარლო ფიზიკელას ტრიუმფით დამთავრდა).

ერთი სიტყვით, ახლა ამბობენ, რომ მიხაელის 14-წლიანი კარიერა ქვევით მიექანებაო, თუმცა, ორი წარუმატებელი ეტაპის გამო მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის ჩამოწერა ნაადრევია. ასეა თუ ისე, "ფერარის" თადარიგი გასაგებია.

ესპანურ გაზეთ ABC-სთან საუბარში სკუდერიელთა სპორტული დირექტორი ჟან ტოდტი არ მალავს ფერნანდო ალონსოსადმი პატივისცემას და მისთვის საქებარ სიტყვებს არ იშურებს: "დღესდღეობით მსოფლიოს საუკეთესო პილოტი ალონსოა! იმედი გვაქვს, მომავალში ალონსო "ფერარის" სახელით იასპარეზებს, თუმცა, ეს ბევრ სხვადასხვა ფაქტორზე იქნება დამოკიდებული".

მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, "რენოს" ესპანელ მრბოლს "ფერარისთან" თანამშრომლობის წინასწარ ხელშეკრულებაზე შარშან მოუწერია ხელი. მრბოლის მენეჯერი ლუის გარსია აბატე ამ კითხვაზე პასუხს თავს კი არიდებს, მაგრამ პასუხი გარკვეულ ეჭვს მაინც ბადებს: "რთული კითხვაა. ყველაფერი შესაძლებელია".

ესპანელით სკუდერიელთა დაინტერესების შესახებ კარგად იცის "რენოს" ბოსმა ფლავიო ბრიატორემაც: "ვიდრე შუმახერი "ფერარიშია", ალონსო იქ არ გადავა. უფრო ზუსტად, სანამ მე "რენოში" ვიქნები, ალონსო ჩვენი გუნდიდან არსად გადავა".

ამასობაში ირკვევა, რომ ალონსოთი იტალიური საჯინიბოს დაინტერესება "ფერარის" მეორე პილოტის ბრაზილიელი რუბენს ბარიკელოს გულისწყრომას იწვევს, რაც არც არის გასაკვირი. როდესაც ბრაზილიელი "ფერარიში" მიდიოდა, იმედი ჰქონდა, რომ მიხაელ შუმახერი ავტოსპორტს მალე შეეშვებოდა და პირველი პილოტის სტატუსი მას დარჩებოდა. ალონსოსადმი ჟან ტოდტის ქებას ბარიკელო მძაფრად აღიქვამს: მიხაელის შემდეგ საუკეთესო მრბოლს ჯანკარლო ფიზიკელა ჰქვია და არა ალონსო!"

TV-სპორტი

### ოთხშაბათი. 30 მარტი

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "არსენალი" - "ბავარია". საპასუხო მატჩი
14:10 ფუტზალი. რუსეთის ჩემპიონატი. სუპერფინალი. მეორე ტაპი
15:10 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
15:40 თავისუფალი დარტყმა
15:55 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "მონაკო" - პსჟ. საპასუხო მატჩი
17:50 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
18:20 უეფას თასი. 1/8 ფინალური მატჩების მიმოხილვა
18:50 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "იუვენტუსი" - "რეალი". საპასუხო მატჩი. შესვენებისას (19:40) - თავისუფალი დარტყმა
20:50 სახვალიო ტელეპროგრამა
20:55 მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. სლოვაკეთი - პორტუგალია. პირდაპირი ტრანსლაცია
22:55 მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. სერბეთი და მონტენეგრო - ესპანეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:50 თავისუფალი დარტყმა
01:05 მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. საქართველო - თურქეთი

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 16:00, 19:00 პრესცენტრი
10:20, 19:15 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჩოგბურთი. "Masters Series" მაიამიში. შესვენებისას (13:00) - პრესცენტრი
14:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
15:00 სინქრონული ცურვა. საერთაშორისო ასპარეზობა. ჟურნალ "ქალთა სამყაროს" პრიზზე. ჯგუფები. მხატვრული პროგრამა
16:15 "არტეფაქტი" - ჰოკეი
17:00 "ბილიარდის მეუფენი"
17:30 პაველ ბურე. "რუსული რაკეტის გაფრენა". პირველი ნაწილი
18:30 "სპორტის აკვატორია"
19:20 სახვალიო ტელეპროგრამა
19:30 ჩოგბურთი. "Masters Series" მაიამიში
21:00 "სპორტისიმო"
21:45 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "CLEVELAND CAVALIERS" - "LOS ANGELES CLIPPERS"
23:45 ახალი ამბები
00:00 ჩოგბურთი. "Masters Series" მაიამიში. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
02:00 02:00-დან 04:45-მდე შესვენება
04:45 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ურუგვაი - ბრაზილია. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
10:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი აშშ-ში
11:00 სნუკერი. ჩინეთის ღია ტურნირი. პირდაპირი ტრანსლაცია
13:30 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე. უელსი - ავსტრია
14:30 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე. იაპონია - ბაჰრეინი. პირდაპირი ტრანსლაცია
16:30 სნუკერი. ჩინეთის ღია ტურნირი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:00 მაგიდის ჩოგბურთი. ევროპის ჩემპიონატი დანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი
19:30 გოლფი. სპეციალური მიმოხილვა
21:00 მაგიდის ჩოგბურთი. ევროპის ჩემპიონატი დანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
23:30 ცხენოსნობა. მსოფლიო თასი შვედეთში
00:30 მულტისპორტი ოთხშაბათობით
01:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე. მიმოხილვა
03:00 ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი

რაგბი

# ელიტური ახალგაზრდები

პაატა თოთაძე

ამ დღეებში საფრანგეთში 18 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართა. რვაგუნდიან შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრებმაც მიიღო მონაწილეობა. ჩვენი გუნდის ამოცანა ჯგუფში ადგილის შენარჩუნება იყო, რასაც ქართველმა მორაგბეებმა მიაღწიეს კიდეც.

გათამაშების ფორმატის მიხედვით საქართველოს ნაკრებს პირველი თუ არა, მეორე მატჩი მაინც უნდა მოეგო, რომ უძლიერესთა შორის ადგილი შეენარჩუნებინა, თუ არადა, დაქვეითება მოუწევდა. პირველ მატჩში ჩვენი მეტოქე იტალიის ნაკრები იყო. შეხვედრა 0:11 წავაგეთ, თუმცა, როგორც მწვრთნელებმა განაცხადეს, შესაძლებელი იყო, შედეგი სხვა ყოფილიყო. ამისთვის მსაჯს უნდა ემსაჯა უფრო პატიოსნად და ბიჭებსაც ზედმეტად არ უნდა ენერვიულათ. იტალიელთა ლელოებიც მსაჯის "დამსახურება" ყოფილა. ამ მარცხის შემდეგ ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად ქართველებს რუმინელთა დამარცხება მართებდათ, რომლებიც, თავის მხრივ, ინგლისელებთან დამარცხდნენ 3:21.

მატჩი ჩვენთვის უსიამოვნოდ დაიწყო - მეტოქემ დასაწყისშივე გაგვიტანა ლელო. იქიდან მოყოლებული, უპირატესობას ქართველები დაეუფლნენ და მატჩის ბოლომდე არც გაუშვიათ ხელიდან. ამ დროში ჩვენმა ნაკრებმა ოთხი ლელო გაიტანა და მეტოქე 26:7 დაამარცხა. ამ მოგებით საქართველოს ნაკრებმა უძლიერესთა შორის შეინარჩუნა ადგილი და მეხუთე ადგილისთვის ბრძოლის შანსი მიეცა. რუმინელებს კი მომავალ წელს ქვედა ჯგუფში მოუწევთ ასპარეზობა. თვრამეტწლამდელებსაც იმ ქვეყნის წარმომადგენლებთან მოუხდათ პაექრობა, ვისთანაც ეროვნულ გუნდს უწევს თამაში. რუმინეთის შემდეგ საქართველოს მეტოქე რუსეთის ნაკრები იყო. ქართველებთან შერკინების უფლება რუსებმა ესპანელთა დამარცხებით მოიპოვეს.

მატჩი დაძაბული გამოდგა. ეს განსაკუთრებით პირველ ტაიმზე ითქმის, როცა ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა ლელოს გატანა - მხოლოდ ორჯერ მოახერხეს ქართველებმა ჯარიმის გატანა და ტაიმიც ჩვენს სასარგებლოდ დასრულდა - 6:0. შესვენების შემდეგ მდგომარეობა ჩვენს სასარგებლოდ შეიცვალა - ქართველთა ორ ლელოს მეტოქემ ერთით უპასუხა. საბოლოოდ მატჩი 21:7 მოვიგეთ და ევროპის ჩემპიონატზე მეხუთე ადგილს დავჯერდით. ჩემპიონი კი ინგლისი გახდა ფინალში საფრანგეთის დამარცხებით 16:9. რუმინეთთან ერთად ელიტა დატოვა ესპანეთმა. მის ადგილს მომავალ წელს უელსი და პორტუგალია დაიკავებენ.

თვრამეტწლამდელთა შემდეგ ერთი წლით უფროსების ჯერი დგება. ცხრამეტწლამდელები ამჟამად სამხრეთ აფრიკაში არიან, სადაც ზეგ მსოფლიო ჩემპიონატი იწყება. შარშანდელი მსოფლიო თასიც სამხრეთაფრიკულ დურბანში ჩატარდა. მაშინ ქართველებმა მე-10 ადგილი დაიკავეს. შარშანდელისგან განსხვავებით, წლევანდელი გათამაშების ფორმატი შეცვლილია. 12 გუნდი ოთხ სამგუნდიან ჯგუფშია გადანაწილებული. ქართველები C ჯგუფში მოხვდნენ, მაგრამ მატჩებს B ჯგუფის წარმომადგენლებთან გამართავენ - 1 აპრილს ირლანდიასთან, 5 აპრილს საფრანგეთთან და 9 აპრილს არგენტინასთან. სამი ტურის შემდეგ დგება საერთო ცხრილი. ამის შემდეგ იწყება მეორე რაუნდი - პირველი ოთხეული იბრძოლებს ჩემპიონობისთვის, მეორე ოთხეული - მეხუთე ადგილისთვის, ბოლო ოთხეული კი - ელიტაში ადგილის შენარჩუნებისთვის. ბოლო წლების მსგავსად, ქართველ ჭაბუკებს ამჯერადაც ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად მოუწევთ ბრძოლა. მეტოქეთა გათვალისწინებით, პირველ რაუნდში წარმატების მიღწევის შანსი ნაკლებად გვაქვს. ასე რომ, მეორე რაუნდში ერთი მატჩის მოგება გვმართებს. კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი ისაა, რომ ჩვენს გუნდში ითამაშებს იაშვილების გვარის უმცროსი წარმომადგენელი შარლს-ედუარდი, რომელიც საფრანგეთის "ბიარიცის" ახალგაზრდულ გუნდში ბურთაობს.



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

გამოკითხვა

## რას ფიქრობთ რკინიგზის აღდგენაზე?

**გია ჭუბაბრია, კინორეჟისორი:** "ყოველგვარი პოლიტიკა დგას ეკონომიკაზე. თუ ეს იქნება გამოყენებული ჯანმრთელი ეკონომიკისათვის, რკინიგზის აღდგენა ძალიან კარგი იქნება ქართველებისთვისაც, აფხაზებისთვისაც, რუსებისთვისაც და სომხებისთვისაც, მაგრამ თუ ვერ მოხერხდა რკინიგზის დაცვა, ისევ დაიწყო აფეთქებები და ა.შ. მაშინ მისი აღდგენა არ იქნება გამართლებული".

**ლია ბურჭულაძე, ჟურნალისტი, 57 წლის:** "დარწმუნებული ვარ, ეს ძალიან მომგებიანი იქნებოდა ჩვენთვისაც, რომ შეიძლებოდეს რუსული მხარის ან აფხაზური მხარის ნდობა. რადგან მათ ასე ძლიერ სურთ რკინიგზის აღდგენა და ამას მათთვის ასე სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, - კი ბატონო, მაგრამ, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი ლტოლვილებს დააბრუნებენ".

**გიორგი კაკაურიძე, საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი, 24 წლის:** "ეს, რა თქმა უნდა, პოლიტიკური ამბავია. რასაკვირველია, მთავრობის დონეზე უნდა გადაწყდეს, მაგრამ, ჩემი აზრით, პირველ რიგში, უნდა გაითვალისწინონ აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისა და აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის აზრი".

**ლალი ებანოიძე, ინჟინერი, 40 წლის:** "სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა თუ აღქმული იქნება აფხაზების მიერ, როგორც საქართველოს ხელისუფლების სისუსტე, რასაკვირველია, ძალიან ცუდი იქნება, მაგრამ თუ ისინი გაიაზრებენ, რომ ეს არის მათი ნდობის მოსაპოვებლად გადადგმული სერიოზული ნაბიჯი, მაშინ აფხაზების მხრიდანაც უნდა გადაიდგას მსგავსი ნაბიჯები".

**დათო ბუტიკაშვილი, მძღოლი, 32 წლის:** "სანამ აფხაზეთი სრულად არ დაბრუნდება საქართველოს შემადგენლობაში, მე არა ვარ მომხრე, რომ რკინიგზა აღდგეს, იმიტომ რომ ეს ძალიან დიდ საშუალებას მისცემს აფხაზებს. ეგ მერე, როცა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება".

**ლერი მიქაბერიძე, გეოლოგი, 51 წლის:** "არაფერი საგანგაშო არაა იმაში, რომ ჯერ ეს საკითხი გადაწყდეს, სანამ ლტოლვილები დაბრუნდებიან. დაიწყება ტვირთის გადაზიდვა, ხალხის გადაადგილება. ყოველ შემთხვევაში, ეს უკეთესი ვარიანტია, ვიდრე სომხეთის ტვირთის პირდაპირ ზღვით გადაზიდვა ფოთიდან. სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე უარის თქმა არის შენი ტერიტორიის მოწყვეტა შენგან, შენ ამბობ, რომ ეს შენი ტერიტორია აღარ არის".

**თამაზ ჩადუნელი, მწერალი, 39 წლის:** "ცუდი ნამდვილად არ იქნება. არა მგონია, ამ რკინიგზით მარტო სომხებმა და აფხაზებმა ისარგებლონ, ქართველიც ისარგებლებს, ტვირთბრუნვა გაიზრდება, ტრანსპორტირება უფრო იაფი დაჯდება, სავაჭრო ურთიერთობა აღდგება, ფირმებსაც გაუადვილდებათ ბაზრის მოპოვება და კერძო პირებსაც. უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იქნება, კავშირი აღდგება. ახლა თვალითაც ვერ ვხედავთ აფხაზეთს და სოხუმს, მერე გავლისას და გამოვლისას, დავინახავთ მაინც".

გადარჩენილი ფოტოები

## მენატრები!



*სოხუმი, 1983 წელი, სისხლის გადასხმის სადგური. მარცხნიდან: როზა ქეცბაია, კამა ტარბა, ხათუნა გოგოლი*

**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი"**, ყოველ ოთხშაბათს საქართველოს რადიო, პირველი არხი, **FM 102,4 10სთ და 25 წთ-დან, ყოველ ორშაბათს**

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

# ორი წინადადება "იქითა" მხრიდან

ზაზა ფაჩუაშვილი

*სერგეი ბაგაფშის მიერ მოსკოვში გაკეთებულ განცხადებებს საქართველოში არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. ოფიციოზი სიფრთხილეს იჩენს, ექსპერტებს კი მიაჩნიათ, რომ ქართულ მხარეს გაუჩნდა შანსი, რომელიც ხელიდან არ უნდა გაუშვას. ამასთან დაკავშირებით ვესაუბრებით სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს კონფლიქტების დარგში გიორგი ვოლსკის და ექსპერტს პაატა ზაქარეიშვილს.*

## გიორგი ვოლსკი: "ვითარება რეალურად უნდა შევაფასოთ"

**- ბატონო გიორგი, ბაგაფშმა გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ მზადაა ქართულ მხარესთან აწარმოოს მოლაპარაკებები ეკონომიკურ საკითხებზე და გალის მცხოვრებთა ორმაგი მოქალაქეობის შესაძლებლობაზე. როგორია ამასთან დაკავშირებით სახელმწიფოს პოზიცია?**

- ვითარება რეალურად უნდა გავაანალიზოთ და შევაფასოთ. ბაგაფშის წინადადებები პირველ რიგში ემსახურება იმას, რომ ამომრჩევლის თვალში საკუთარი პოზიციები გაამართლოს. ქართველებსა და აფხაზებს შორის ხიდი დიდი ხანია ჩატეხილია და ინტეგრაცია (სარკინიგზო მიმოსვლა იქნება თუ სხვა ფორმა) სამშვიდობო პროცესისთვის აუცილებელია, მაგრამ წინაპირობების შექმნის გარეშე ვერაფერს გავაკეთებთ. ჯერჯერობით, რკინიგზის გახსნის წინაპირობები შექმნილი არ არის. როგორ შეიძლება რკინიგზამ გაიაროს იქ, სადაც იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტური დასახლებებია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს პრაქტიკულადაც ძნელი გადასაწყვეტია.

**- სახელმწიფო ამ საკითხებთან დაკავშირებით გარკვეულ სიფრთხილეს იჩენს?**

- საქმე მხოლოდ სიფრთხილეში არ გახლავთ. მოლაპარაკებების წარმოებას თავისი აქსიომური წესები აქვს. არ შეიძლება მოლაპარაკების მხარის მიერ გამოთქმულ პოზიტიურ წინადადებებს მაშინვე რაღაც პოპულისტური განცხადებები მიაყოლო.

მოგეხსენებათ, გოგა ხაინდრავა და ირაკლი ალასანია რამდენიმე დღეში მიემგზავრებიან ჟენევაში აფხაზურ მხარესთან შესახვედრად. ამდენად ამ საკითხებზე უფრო დეტალური საუბარი უპრიანი იქნება, ალბათ, მათი ჩამოსვლის შემდეგ.

## პაატა ზაქარეიშვილი: "საჭიროა ცოტაოდენი ფანტაზია!"

**- ბატონო პაატა, შეიძლება თუ არა, ითქვას, რომ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში ახალი ეტაპი დაიწყო?**

- მართალია, ქმედითი ნაბიჯები ჯერ არ გადადგმულა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში ახალი ეტაპი იწყება. საქართველოსა და სოხუმის ახალი ხელისუფლებების მეგაფონურ განცხადებებშიც კი იგრძნობა გარკვეული დინამიკა. აფხაზური მხრიდან წამოვიდა წინადადება ჩვენთან შეხვედრის თაობაზე. თანაც ისე, რომ მოლაპარაკებების საგანიც კი დაკონკრეტდა – ეკონომიკური და არა პოლიტიკური საკითხები. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია, ვინაიდან, ჯერჯერობით, სწორედ ეკონომიკით შეიძლება მთელი რიგი ბევრი საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტა, რაც შემდეგში პოლიტიკურ მოლაპარაკებებსაც შეუწყობს ხელს და გარკვეული შეთანხმებების მიღწევასაც გააადვილებს.

**- მაინც, რა იგულისხმება ეკონომიკურ საკითხებში?**

- ბუნებრივია, ბაგაფში, პირველ რიგში, რკინიგზის აღდგენას გულისხმობს. საქართველოს ხელისუფლებამ კარგად უნდა გადახარშოს ეს საკითხი და ბრძნული გადაწყვეტილება მიიღოს. დღეს ჩვენთან რკინიგზის გახსნას დევნილების დაბრუნებას უკავშირებენ, მაგრამ ფაქტია, რომ არც რკინიგზა იხსნება და არც დევნილები ბრუნდებიან. თუ დევნილების დაბრუნება, ჯერჯერობით, ვერ ხერხდება, რატომ უნდა შეუშალოს ამან ხელი რკინიგზის გახსნას? ეს ხომ საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებაა?

**- რკინიგზის გახსნას რუსეთის ინტერესებს უკავშირებენ...**

- კი, ბატონო, რკინიგზის გახსნა რუსეთის და სომხეთის ინტერესებში შედის, მაგრამ რკინიგზა ყველაზე მეტად საქართველოს სჭირდება. ჯერ ერთი, რკინიგზის აღდგენა კიდევ უფრო განამტკიცებს საქართველოს, როგორც სატრანსპორტო დერეფნის მქონე ქვეყნის იმიჯს. მეორე, რკინიგზა ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. მესამე, რკინიგზა საქართველოს ხელში იქცევა ისეთ ძლიერ ბერკეტად, რომელიც ყოველთვის გამოგვადგება რუსეთთან მოლაპარაკებების დროს. აღარაფერს ვამბობ დევნილების დაბრუნებაზე.



*პაატა ზაქარეიშვილი.*

**- რამდენად შეძლებს საქართველო ამ რკინიგზის გაკონტროლებას?**

- რკინიგზა საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტი არ არის, რომ ვერ გავაკონტროლოთ. ის მთლიანად ჩვენს ხელში იქნება და თუ საჭირო გახდება, როცა მოვისურვებთ, მაშინ გავაჩერებთ. ამიტომ, ხელშეკრულება ისე უნდა გავაფორმოთ, რომ ეს შესაძლებლობები დავიტოვოთ. რკინიგზის გახსნის შემდეგ ჩვენი მხრიდან დათმობების სამაგიეროდ უკვე შეგვეძლება, მოვითხოვოთ შემხვედრი ნაბიჯები, ანუ დევნილების დაბრუნება, დასაწყისისთვის - თუნდაც, კოდორამდე.

**- ბაგაფშის კიდევ რომელი განცხადებაა ჩვენთვის საყურადღებო?**

- ბაგაფშმა მოსკოვში წამოაყენა კიდევ ერთი სერიოზული წინადადება, იმის თაობაზე, რომ ის თანახმაა, გალში მცხოვრებ ხალხს ორმაგი მოქალაქეობის უფლება მიენიჭოს. ესეც ძალიან მნიშვნელოვანი, უნიკალური მომენტია, რასაც ხელი უნდა მოვკიდოთ.

რუსები უკანონოდ იქცევიან, როცა აფხაზეთში მცხოვრებ ადამიანებს რუსულ პასპორტებს ურიგებენ, მაგრამ ამბობენ, რომ ამით ადამიანის უფლებებს იცავენ. ამაში ლოგიკა არის (აულიარებელ აფხაზეთში მცხოვრები ადამიანი ჩაკეტილია და საზღვარგარეთ გასვლის საშუალება არა აქვს, თუ რომელიმე აღიარებული ქვეყნის პასპორტი არ ექნება) და ადამიანის უფლებების დაცვის კონტექსტში გამართლებულიცაა მანამდე, სანამ რუსეთი ხელს არ შეუშლის ქართული პასპორტების გაცემას. თუ რუსეთი აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული პასპორტების გაცემას ხელს შეუშლის, მაშინ აშკარა გახდება, რომ მისი განცხადებები არის თაღლითური და ეს კიდევ ერთი კოზირი იქნება ჩვენთვის. ამიტომ, თუ ჩვენ მოვახერხეთ და გალის მცხოვრებლებს ქართული პასპორტები მივეცით, რომლითაც ისინი რუსეთის ტერიტორიაზე გადავლენ, ეს იქნება ფსოუს საზღვრის ფორმალური აღდგენა.

**- თუ რუსეთი ფსოუზე ხელოვნურ ბარიერებს შექმნის?**

- თუ რუსეთი ფსოუზე ქართული პასპორტების მფლობელებს ხელოვნურ ბარიერებს შეუქმნის, მაშინ ჩვენ უკვე სერიოზულად უნდა ვიბრძოლოთ ადამიანის უფლებებზე. მთავარი მაინც ისაა, რომ საქართველოს პრეზიდენტს ეძლევა საშუალება, ორმაგი მოქალაქეობა მიანიჭოს გალის მაცხოვრებლებს. შედეგად, რუსული პასპორტის მქონე ადამიანს ჯიბეში ქართული პასპორტიც ექნება.

**- აფხაზებიც ხომ არ დაინტერესდებიან ქართული პასპორტებით?**

- თბილისში საზღვარგარეთის ვიზის აღება გაცილებით ადვილია, ვიდრე რუსეთში. თუ რუსები 5-წლიან პასპორტებს აძლევენ, ჩვენ 10-წლიანი, ან უვადო პასპორტები გავცეთ, თანაც, გამარტივებული წესით, რომ აფხაზებიც მოვიზიდოთ. შედეგად, ბევრი აფხაზი აიღებს და, რუსულ პასპორტთან ერთად, ჩუმად, ქართული პასპორტიც ექნება. ამის მნიშვნელობის ახსნა, ალბათ, ზედმეტია, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება, როგორც ჩანს, ასეთ ფანტაზიას მოკლებულია. არადა, ასეთი მომგებიანი პოზიცია თავად ბაგაფშიდან მოდის. სამწუხაროდ, ჩვენი მთავრობა გადაწყვეტილებებს ძალიან ვიწრო წრეში იღებს და კონფლიქტოლოგიის სფეროში კომპეტენტურ ხალხს არაფერს ეკითხება.

თუ რუსეთი ხელს შეუშლის გალში ქართული პასპორტების გაცემას, შეგვეძლება, ვთქვათ, სტრასბურგის სასამართლოში ჩივილი, სადაც აუცილებლად გავიმარჯვებთ.

**- რამდენად თავისუფალია ბაგაფში თავის განცხადებებში?**

- აბსოლუტურად არ არის თავისუფალი და მიბმულია როგორც შიდა, ისე გარეშე ძალებზე. შიგნით ის ანგარიშს უწევს ანქვაბს, გარედან კი მას მოსკოვი აკონტროლებს. ამიტომ მისი არც ერთი განცხადება არ იქნება გაკეთებული რუსეთთან შეთანხმების გარეშე. რაც შეეხება ანქვაბს, ის მკაცრი იქნება და ავტორიტარულ რეჟიმს გაატარებს.

**- ასეთ შემთხვევაში, ქართულ-აფხაზურ სამოქალაქო დიალოგს საფრთხე ხომ არ ემუქრება?**

- ბაგაფშის მოსვლის შემდეგ აფხაზეთში სამოქალაქო საზოგადოებამ ცოტა ამოისუნთქა, მაგრამ დემოკრატიულობის მხრივ, ხელისუფლებასა და მას შორის მაინც ძალიან დიდი სხვაობაა. აფხაზეთში სამოქალაქო საზოგადოება ბევრად უფრო დემოკრატიულია, ვიდრე ხელისუფლება (სხვათა შორის, ეს ჩვენთანაც ასეა). იქ კი დემოკრატიულობა პროქართულობაში ასოცირდება. ამიტომ, აფხაზეთში მოქმედ სამოქალაქო საზოგადოებას ძალიან დიდი გამძლეობა დასჭირდება იმისთვის, რომ დემოკრატიის დამკვიდრებისათვის იბრძოლოს და ამის გამო მიკრული პროქართულობის იარლიყიც ატაროს. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მისი გადარჩენის ერთადერთი საშუალება სწორედ დემოკრატიულობაა. მე ვუთხარი კიდეც აფხაზებს შეხვედრაზე, რომ უფრო დემოკრატიულები უნდა იყვნენ, ვიდრე ჩვენ, ქართველები ვართ. თუ ისინი ჩვენზე უფრო მეტად ნაციონალისტები იქნებიან, საერთაშორისო თანამეგობრობა მათ ზედაც არ შეხედავს. ცხადია, აფხაზებს დამოუკიდებლობის შანსი არა აქვთ, მაგრამ აქვთ შანსი, მსოფლიოს ყურადღება მიიპყრონ. ეს მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება ოფიციოზს, აპრილში ჟენევაში ჩატარდება პირველი ქართულ-აფხაზური შეხვედრა ახალი მთავრობების დონეზე. აფხაზური მხრიდან იქნებიან სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა და უშიშროების საბჭოს მდივანი სტანისლავ ლაკობა. ქართულ მხარეს წარმოადგენს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ირაკლი ალასანია; მაგრამ ამასთან დაკავშირებით ძალიან კარგია, რომ სააკაშვილმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, ანგარიში გაუწია აფხაზების დისკომფორტს და ალასანიას მიანიჭა სხვა სტატუსი – საქართველოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში. სამაგიეროდ, აფხაზებმაც გადმოდგეს შემხვედრი ნაბიჯები და ირაკლი ალასანია აღიარეს, როგორც მომლაპარაკებელი. ეს კარგი ნიშანია.

თვალსაზრისი

# აფხაზთა ქვეყანა

### ფიქრები ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების წინ

ეს არ არის ისტორიული ნარკვევი. ჩვენ დღევანდელობა გვაინტერესებს და იმ კითხვებზე პასუხის გაცემა, რომელიც თანამედროვეობას აფხაზეთის კონფლიქტმა დაუსვა.

უნდა ვაღიაროთ, აფხაზეთის კონფლიქტში ქართულმა მხარემ სრული უსუსურობა და უუნარობა გამოიჩინა. ვაი-პოლიტიკოსებს აყოლილმა ხალხმა კი თანამოძმეთა სისხლი დაღვარა.

საქართველოს ხელისუფლებამ, რაკიღა ჩიხიდან გამოსასვლელი გზა ვერ მონახა, კონფლიქტის მიჩქმალვის ტაქტიკა აირჩია.

მხოლოდ ახლახან გახდა შესაძლებელი ე.წ. გაყინული კონფლიქტების გააქტიურება.

ვერ ვიტყვით, რამდენად ეფექტურად განხორციელდა ეს "გააქტიურება", მაგრამ ერთი რამ ცხადია - კონფლიქტი "ღიაა" და იგი უნდა დარეგულირდეს.

ხშირად ისმის კითხვა, რა უნდა შევთავაზოთ აფხაზურ მხარეს, რომ კონფლიქტის ამოწურვის მომენტი დადგეს. ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ამ მიმართულებით წარმოდგენილი პროექტების განხილვა, მუხლებისა და პარაგრაფების კვალდაკვალ მათი ჩაკირკიტება, მაგრამ აუცილებელია, ვისაუბროთ რამდენიმე პრინციპულ საკითხზე მაინც. მათ შორის უპირატესობას მივანიჭებდით აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის, უფლებამოსილებათა გადანაწილების (დელეგირება) და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საკითხებს.

აფხაზეთის სტატუსი კონფლიქტის დარეგულირების ცენტრალური, გადამწყვეტი საკითხია. ისტორიულადაც ასე იყო. იგი ყოველთვის ფიგურირებდა იმ საკითხებს შორის, რომელიც უკავშირდებოდა საქართველოდან აფხაზეთის ცალკე გამოყოფის პრობლემებს (მხედველობაში გვაქვს რუსეთის მიერ საქართველოს და მისი ცალკეული კუთხეების მიერთება-ანექსირების შემდგომი პერიოდი).

იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები შეთანხმდნენ აფხაზეთის სტატუსის საკითხში, მიგვაჩნია, რომ სხვა, მასთან დაკავშირებული, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხები, ავტომატურად თუ არა, იოლად მაინც მოგვარდება.

არ ვიცით, ქართული მხარე რას შესთავაზებს აფხაზურ მხარეს. არც ის ვიცით, რა დათმობებზეა საუბარი აფხაზების მხრიდან, რომლის გარშემო მოსკოვის ზოგიერთმა გაზეთმა ("კომერსანტი") მინიშნებები გააკეთა.

თავად ოფიციალური მოსკოვი "მინიშნებებიდან," დიდი ხანია, საქმეზე გადავიდა და აფხაზეთს თავის მამა-პაპისეულ მამულად მოიაზრებს.

აფხაზ და ოს სეპარატისტებს არ ვურჩევდი რუსეთის იმედად ყოფნას. რუსეთს თავისი პრობლემაც ეყოფა - დღეს თუ ხვალ ის უნდა დაიშალოს. პოსტსაბჭოურ სივრცეში დაწყებული პროცესებიც აღნიშნულის გარდაუვალობაზე მიგვანიშნებს. "ვარდების რევოლუციით" საბჭოთა კავშირის (ჟნდ) მეორე დაშლა დაიწყო. ეს არის ის რეალობა, რასაც სეპარატისტებმაც ალღო უნდა აუღონ.

დროა, აფხაზებმა საკუთარი ისტორიული ფესვებისა და წიაღისადმი მიბრუნებაზე იფიქრონ, უარი თქვან სეპარატისტულ მიზნებსა და ამოცანებზე, რაც მათ რუსულენოვან სივრცეში გათქვეფისაგან დაიცავს.

იმასაც ვიტყოდი, რომ ძალიან მოკლე გამოდგა სეპარატისტულად განწყობილ აფხაზთა ისტორიული მახსოვრობა. რად ივიწყებენ ისინი მაჰაჯირობას, ან მათი უკანასკნელი მთავრის მიხეილ შერვაშიძის ტრაგიკულ ცხოვრებას. მრავალი ათეული წელი ებრძოდა რუსეთი აფხაზურ ეთნოსს და ვერაფერი რომ ვერ გაუვიდა - ტაქტიკა შეცვალა (სტრატეგია იგივე დარჩა - აფხაზების განადგურება). შედეგებიც "შთამბეჭდავია" - მათ აშკარად ემუქრებათ კავკასიის ხალხთა ეთნოსივრციდან ამოვარდნის საფრთხე. ასეთი საფრთხის წინაშე არასოდეს დამდგარა აფხაზი ხალხი, საფრთხე, რომელიც სეპარატისტებმა და მათმა მოსკოველმა "მამებმა" განუმზადეს.

აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების პრობლემები გადაწყვეტის სტადიაში შედის. ეს კარგია, მაგრამ ბოლო 11 წლის განმავლობაში აფხაზ სეპარატისტებთან მოლაპარაკებებს ქართველმა ვაი-პოლიტიკოსებმა ცუდი ფონი შეუქმნეს. მხედველობაში გვაქვს იმ არამკითხე პირთა გამონათქვამები, რაც საქმეში ჩაუხედავი კაცისათვის ოფიციალურ თუ ნახევრად ოფიციალურ პოზიციად აღიქმება. ზოგიერთმა ძალიან შორს შეტოპა, აქაოდა, აფხაზებს ქართველებთან რა საერთო აქვთ, ცალკე სახელმწიფო უნდა ჰქონდეთო.

მსგავსი პოზიციიდან შორს არ დგას კონცეფცია "საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ" (ავტორები: პ. ზაქარეიშვილი, ივ. ხაინდრავა და სხვ. კონსულტანტები: პროფ. თომას ფლაინერი, პროფ. ალ. ბლანკენაგელი და სხვ.).

ამ კონცეფციის მუხლობრივი განხილვისაგან შორს ვართ, მით უმეტეს, რომ აფხაზებთან მოლაპარაკებებზე მოთავებული კონცეფციით კი არ უნდა გავიდეთ, არამედ არსებითი, ერთიანი ქართულ-აფხაზური სახელმწიფოს განმსაზღვრელი თეზისებით, იმ ფორმატით, რომელიც შეითავსებს ჩვენი ერების – ქართველებისა და აფხაზების, ასევე არსებითი მნიშვნელობის, ინტერესებს. მეორეც, რატომ მაინცდამაინც "განსაკუთრებული სტატუსი", რას ნიშნავს ეს "განსაკუთრებული" და ვისი დაკვეთითაა იგი დაწერილი? პირველი რეაქციის მიხედვით, ეს კონცეფცია მოსკოვში მოეწონათ, აფხაზებსაც მოსწონთ, ალბათ, მაგრამ მათ დროის გაყვანის ტაქტიკა უფრო აძლევთ ხელს, ვიდრე გონივრულ გადაწყვეტილებამდე მისვლა.

უადგილო გადახვევად თუ არ ჩამითვლის მკითხველი, იმასაც აღვნიშნავ, რომ საქართველო ვერა და ვერ აუდის შემოტევებს მარცხნიდან თუ მარჯვნიდან. ნაცვლად იმისა, რომ ყველამ თითო აგური მაინც დადოს ქვეყნის აღმშენებლობის საძირკველში, პირიქით - თავში ურტყამენ მას (საქართველოს).

პირდაპირ საოცარია, ოპოზიცია "ვერ ხედავს" პოზიტიურს, ხოლო პოზიცია - ნეგატიურს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ვერა და ვერ დაცხრა ზოგიერთთა სურვილი, კიდევ ერთხელ გააწნან სილა დედა სამშობლოს. სხვას ვერაფერს უწოდებს კაცი კანონპროექტს, "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზაციის შესახებ" რომ ჰქვია და, ძირითადად, საქართველოს სასაზღვრო ზონის გაყიდვას განაპირობებს.

რად ვირჯებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთსა და ცხინვალის რეგიონში, თუ სამხრეთ-აღმოსავლეთში საკუთარი ნებით, გროშების საფასურად, ტერიტორიებს გავყიდით?

კარგად გვესმის ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა მნიშვნელობა და ხელშეუვალობა, მაგრამ სახელმწიფოს ინტერესების დაცვაც დემოკრატიის მონაპოვარია. რატომ უნდა გადავჭრათ საკითხი ცალმხრივად, როცა ადვილად შესაძლებელია, დავიცვათ ერთიცა და მეორეც?

რატომ არ შეიძლება, მაგალითად, სასაზღვრო ზონა და მასთან გათანაბრებული ტერიტორიები გამოცხადდეს სახელმწიფოს სტრატეგიული მნიშვნელობის ტერიტორიებად, ხოლო მისი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები ადგილობრივ მოსახლეობას შეღავათიან პირობებში, იჯარის წესით, უვადო სარგებლობაში გადაეცეს? ამით მიღწეული იქნება მოსახლეობისა და სახელმწიფოს ინტერესთა ჰარმონია, ნაცვლად ინტერესთა კონფლიქტისა, რაც ამ კანონპროექტის დაკანონებას შეიძლება მოჰყვეს.

ჩვენ უნდა ვეძებოთ ჰარმონია და არა ისეთი ნაღმები ჩავდოთ, რომელიც არცკი ვიცით, ფეხქვეშ როდის აგვიფეთქდება. ასეთ მიწაზე, გნებავთ, "ცვრიან ბალახზე" ვერც ჩვენ გავივლით და ვერც სხვა ვერავინ.

იგივე სიტუაცია იქმნება საქართველოს ფედერაციული მოწყობის სქემითაც, როცა საქართველომ "...უნდა გაითვალისწინოს აფხაზთა რეგიონული იდენტურობის გრძნობა, რომელიც ეფუძნება ... მოსახლეობის დანარჩენი ნაწილისაგან გამორჩეულობის გრძნობას" ("ქართულსაც" ვერ დაუწუნებს კაცი!).

გაუგებარია, რომელ გამორჩეულობაზეა საუბარი. ჩვენ ხომ ერთ ქვეყანაში ვცხოვრობთ და არა ერთი – აფხაზეთში, მეორე – ახალ გვინეაზე.

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხებზე ბევრიც ითქვა და ბევრიც დაიწერა. ამ საკითხზე დიდი ერთსულოვნებაა - საქართველო უნდა დარჩეს ისეთივე უნიტარულ სახელმწიფოდ, როგორიც ის იყო ისტორიულად.

ფედერალიზმი საქართველოსათვის, სადაც 100-მდე ერისა და ეთნოსის წარმომადგენელი ცხოვრობს, მიუღებელია, გაუმართლებელია. პირიქით, ის გამოიწვევს დაპირისპირებებს ეროვნულ უმცირესობებსა და ეთნიკურ ჯგუფებს შორის, დაძაბულობის ველი გავრცელდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, რაც, საბოლოო ჯამში, მას ფედერაციის მონაწილე სუბიექტებად დაშლის.

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხებში არ უნდა დავესესხოთ არც გერმანიას და არც სხვა ქვეყნებს. ვისაც სახელმწიფო მოწყობის ფედერალური პრინციპი უდევს საფუძვლად.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, თუ როდის გაერთიანდა ესა თუ ის ქვეყანა, რა ისტორიული ტრადიცია გააჩნია მის შემქმნელ ხალხებს, რა აკავშირებთ მათ და ა.შ. მოშველიება იმ ფაქტისა, რომ აფხაზებს სხვა სამშობლო არ გააჩნიათ, იმის არგუმენტად ვერ გამოდგება, რომ მათ ცალკე სახელმწიფო უნდა ჰქონდეთ. მათი სამშობლო ხომ საქართველოა - აფხაზეთად წოდებული ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთი. მსოფლიო პრაქტიკის გაცნობა უდაოდ სასარგებლოა, მაგრამ ჩვენ უნდა ვეძებოთ ჩვენი - ქართველებისა და აფხაზების გამაერთიანებელი გზები. ამიტომ, პასუხი უნდა გაეცეს უმნიშვნელოვანეს კითხვას: რა სახე მივცეთ ქართულ-აფხაზური სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას?

იმის აღნიშვნაც ღირს, რომ მთელი ეს "თავისტკივილი" გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ აფხაზთა ინტერესებიდან გამომდინარე. რომ არა აფხაზეთის კონფლიქტი, საერთოდ არ უნდა დასმულიყო მსგავსი საკითხი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. საქართველოში ერთადერთი ეთნოსი, რომელსაც უფლება აქვს ილაპარაკოს პოლიტიკური სტატუსის შესახებ, აფხაზი ეთნოსია და ამის უარყოფა არავის შეუძლია.

ახლა ვნახოთ, ეს უფლება რით არის განპირობებული და როგორაა მისი სამართლებრივი ხარისხი.

ამ საკითხის გასარკვევად არ გამოგვადგება 1962 წლის დეკლარაცია კოლონიალური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მიცემის შესახებ. აფხაზეთი და აფხაზი ხალხი არასოდეს ყოფილა საქართველოს არც კოლონია, ან მის მიერ დაპყრობილი და ანექსირებული.

ჩვენს კერძო შემთხვევაში უნდა დავეყრდნოთ ხალხთა თვითგამორკვევის პოლიტიკურ-სამართლებრივი საფუძვლების მსოფლიო პრაქტიკას, რომლის პრიორიტეტებად ითვლება შემდეგი: არის თუ არა ესა თუ ის ტერიტორია ამა თუ იმ ხალხთა ისტორიული კუთვნილება; როგორია მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, აქვს თუ არა ამა თუ იმ ეთნოსს ამ შემადგენლობაში დომინანტობა; არის თუ არა ამა თუ იმ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ნებასურვილი, შექმნას სუვერენული სახელმწიფო.

თანამედროვე პოლიტოლოგია და პოლიტტექნოლოგია ამ სამი ძირითადი პოლიტიკურ-სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში აღიარებს ამა თუ იმ ეთნოსის უფლებას, შექმნას საკუთარი სუვერენული სახელმწიფო (მათ შორის, ფედერაციის ფარგლებში).

აფხაზ სეპარატისტებს გააჩნიათ სურვილი, შექმნან დამოუკიდებელი სახელმწიფო, მაგრამ ამ სამი ძირითადი მოთხოვნებიდან ვერც ერთს ვერ აკმაყოფილებენ. თვითგამორკვევის უფლება აქვს ყველა ერს თუ ეთნოსს, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს იგი, და თავის ბედს თვითონვე განაგებდეს, მაგრამ არა იმ გაგებით, რომ ამით ზიანი მიადგეს მათ გვერდით მცხოვრებ სხვა ერისა და ეთნოსის უფლებებსა და ინტერესებს.

ყოველივე აღნიშნული კანონიერად გვაფიქრებინებს, რომ საქართველოსთვის სახელმწიფო მოწყობის ერთადერთ მისაღებ ფორმას უნიტარული სახელმწიფო წარმოადგენს.

მსოფლიო პრაქტიკა იმის მაგალითებსაც იძლევა, როდესაც უნიტარული სახელმწიფოს ჩარჩოებში ამა თუ იმ ეთნოსს გააჩნია პოლიტიკური ავტონომია.

დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფოს მოწყობა ერთადერთი გამოსავალია იმ ჩიხიდან, რომელშიც საქართველო გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იმყოფება. ურთიერთგაგებისა და პატივისცემის, ისტორიული ტრადიციებისა და ფასეულობებისადმი ობიექტური მიდგომის საფუძველზე შესაძლებელი გახდება, პოლიტიკურ ავტონომიას მივანიჭოთ არანაკლებ იმ უფლებებისა, რომელსაც ის მიიღებდა სახელმწიფოს ფედერალური მოწყობის პირობებში.

აქ მთავარია უფლებები, რითაც აღჭურვილი იქნება პოლიტიკური ავტონომია და უფლებამოსილებათა გამიჯვნა ცენტრსა და ავტონომიას შორის მის სამ დონეზე, ანუ უნდა განისაზღვროს უფლებამოსილებანი, რომელიც შეადგენს ცალკე, პოლიტიკური ავტონომიის და ცალკე, ცენტრის პრეროგატივას. მესამე დონის უფლებამოსილებაა ის, რაზედაც გადაწყვეტილება ერთობლივად იქნება მიღებული.

ქართველებმა და აფხაზებმა მომავალ თაობას არ უნდა დავუტოვოთ არც "გაყინული" და არც "გააქტიურებული" კონფლიქტი. არამედ შევქმნათ ერთიანი სახელმწიფო აფხაზეთის პოლიტიკური ავტონომიით და ამ ერთეულს ვუწოდოთ "აფხაზთა ქვეყანა".

*ზაურ კვარაცხელია*
*პროფესორი, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ეროვნებათაშორისი ურთიერთობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამსახურის ქართულ დიასპორებთან და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების განყოფილების უფროსი.*

| | |
|---|---|
| სახელი | მისამართი |
| გვარი | |
| ასაკი | საკონტაქტო ტელეფონის ნომრები |
| სიმაღლე | |

| | |
|---|---|
| 1 ოჯახური მდგომარეობა : დაქორწინებული / დაუქორწინებელი / გაყრილი / ქვრივი | 8 თქვენი ინტერესები |
| 2 შვილები: (თუ გყავთ) | 9 თქვენი ჰობი |
| 3 პროფესია : | 10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ? |
| 4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა) | 11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება) |
| 5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა) | 12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი) |
| 6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის? | 13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი) |
| 7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის? | ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში. ხელმოწერა________ თარიღი________ ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება ! |



გადაცემა
სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

შეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" უკავს ყურადღებულ, თამამ, მონებაგასხნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

**გთხოვთ შეავსოთ ბეჭდური ასოებით**
**ბლანკი ვრცლად**

[illegible]

**ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:**
[illegible]

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მარტო თქვენ ხართ გამოსახული, მაგრამ სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

## სკანვორდი



უდანაშაულობ-ის საბუთი
იგივეა რაც, მეტალი
ძვლიანი სამწვადე ხორცი
ერთ-ერთი მუშკეტერი
ვაზის მოვლე-დ აჭრილი [illegible] რქა
"ჰარი პოტერის" ავტორი
მამულის გამოსაკვანი ხელსაწყო
ავსტრალიური სირაქლემა
ოზოზას ქაში
ინგლისელის ხალხური სახელწოდება
საქართველოს [illegible] *** ქუთელაური
ქალაქი საფრანგეთში
*** ხაიამი
ფოსო თვალის ქვეშ
ფარული დასინება
ფეხბურთელი მენდიეტას სახელი
ვეფხის დედა
მომღერალი *** ფიცჯერალდი
ლევენჰუკის გამოგონება
მოუხარშავი
ნოეს ერთ-ერთი შვილი
ულემბამო გამეში
ბაიკალ-ამურის მაგისტრალი
ქალაქი ესპანეთში
ჩოგბურთელი *** ნოა
საფრანგეთის დედაქალაქი
ცნობილი რუ-სი "ზნატოკი"
სამხედრო ნადავლი
დღის დასაწყისი
იაპონური მიმართვა
ცხვირით აღქმული შეგრძნება
პაკისტანის ოფიციალური ენა
ლიტ. თხრო-ბითი ჟანრი
უკრაინის პარლამენტი
ქართული სადაზღვევო კომპანია
იტალიური [illegible]
"12 სკამის" ერთ-ერთი ავტორი
"ნათლიის" ავტორი
მამალი ქვიში
მზის ღმერთი ეგვიპტ. მით.
იგივე, რაც დოლი
ტიბეტური ხარი
ოქროს ურდოს სარდალი

წინა სკანვორდის პასუხები:
ორერა; როვნო; ომმეტრი; შაფრანი; სოლი; სოში; ოტელო. კიმბერლიტი; პლანკი; პორტერი; კარდინალი; მიზანა; გულაბი; ანტრონოვი; მორგვი; მანქანა; ლოტბარი; მექა; გეომეტრია; ლელო; სტანისლავსკი; ლიტურგია; ილია; ავეისტო; ამარეტო; ულაყი; ორანგუტანი; გარდერობი; ლომა; ქვისლი; რტო; პონი; სტალკერი; იასონი; ამანსიო; ტანგო; კანოე; სტაკატო.

## TV პროგრამა

30 მარტი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ადამიანი-ობობა **10.00** სერიალი "შეყვარებული ქალები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.45** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "უიღბლონი" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ადამიანი-ობობა **18.30** პატრული **18.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ხალხის პირისპირ **23.00** დოკ. ფილმი "ეს დემონისეური მაიმუნი" **00.00** მხ. ფილმი "იღბლიანი სალი" (18) (პოლ ნიუმენი) **02.05** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.00** (შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** შავი ყუთი. **08.30** ტელედილა. 11.05. გადაცემა: საოჯახო ფოტოები. **12.20** გადაცემა: წითელი ფარდა. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** ქალთა ტკივილი. ტელესერიალი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** ირანს სალამი. დოკ. ფილმი. **24.30** გადაცემა: ორმაგი მე. **03.00** მოგზაურობა სიმშილის წინააღმდეგ. დოკ. ფილმი. **04.25** სერიული დანაშაულებანი. ტელესერიალი.

### JST

**09.00** პროგრამა "დილა" **11.00** "საბავშვო ხუთეული" **11.30, 16.45, 20.30** სტერეო-ნიუსი **11.54** პოპ-ათეული **12.30** სმს-ჩარტი **13.30** სტერეო-რეპი **14.00** ავტოპილოტი **15.00** სმს-ჩარტი **16.00** პოპ-ათეული **17.00** რეტრო **17.30** "საბავშვო ხუთეული" **18.00** სმს-ჩარტი **19.00** ლიტ. ვიქტორინა **20.00, 23.00** "ქალაქური" **21.00** რეტრო **21.15** პოპ-ათეული **22.00** სმს-ჩარტი **01.00** ავტოპილოტი

**08.00** "ადრე" **22.00** დოკ. ფილმი "კოსმოსური ოდისეა" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "რედვოლი" **12.45** დოკ. ფილმი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის და ბეწვის ქვეშ" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" სომხურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** რაციო - აკა მორჩილაძე **16.30** დოკ. ფილმი "ჯოკონდა - მითი და საიდუმლო" **17.30** ვაკანსია **18.00** "მთავარი" რეგიონებიდან **18.30** სერ. "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "არაბული ღამეები" მე-2ს. **20.00** "მთავარი" **20.45** "ზაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "ვარსკვლავის დისკის საიდუმლო" **23.00** ახალი პროექტი - "ტაძართმშენებლობა" **23.30** კინოსამყარო "მოემზადე, არ გაინძრე, ჩარლი!" (15) **02.10** საინფ. გამოშვება

### კავკასია

**11.00, 13.00, 17.20, 00.30** ტუწ-ემ **11.30** მხ. ფილმი "სასიკვდილო ურო" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** სპექტრი **22.00** მხ. ფილმი "ტაბლოიდი" (გ)

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **09.25** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **13.05** "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.00** მუსიკა **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "დიელი და პასკო" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "პოლიციელი ქალები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება. "ანიმაცია", "პეიზაჟი ნისლში", "ორშაბათს საღამოს". **23.45** მხ. ფილმი "მაგარი ბიჭების ისტორიები" (12) (ბრეტ პიტი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.50** "ზაბილინა" **20.05** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **20.30** დოკ. სერიალი "ევროპის ახალი სახე" **20.55** დოკ. ფილმი "მონღოლური ცხენის დაბრუნება" **21.45** კინოსეანსი "ინსპექტორი ლავარდენი"

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **11.35** სერიალი "ცხელი ძაღლი-1" **12.40, 16.25, 01.45** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "გრძელი გზა შინისკენ" (რ. დე მორნეი) **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.20, 04.45** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.10, 04.55** იმედის მელოდიები **17.25** არტ-ბულვარი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.25** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.25** ფეხბურთი. საქართველო-თურქეთი. **23.10** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.30** "უცნობი საქართველო" **00.05** მხ. ფილმი "შვილის ოთახი" (15) (ნ. მორეტი) **02.15** მხ. ფილმი "ცალთვალა ჯეკი" (მ. ბრანდო)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი"ჩემი სამი და" (გან) **10.00** მუსიკა **10.20** "მოგზაური" **11.00** "სტარტი" **11.30** მუსიკა **12.00** ფანტასტიკა "ვარსკვლავური ომები" **14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **14.50** ბოევიკი "მომრიგებელი" **17.55** მულტფილმი **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.55** მუსიკა **19.30** სერიალი"ჩემი სამი და" **21.00** მხ. ფილმი "ქორწილი წვიმების სეზონზე" **23.00** დოკ. ფილმი "ვან გოგი" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** თრილერი "შიშის ოთახი"

### OPT

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости**. 09.20, 21.30** Сериал **"БРЕЖНЕВ". 10.30, 18.10** Сериал **"КЛОН". 11.40** Дисней-клуб: "Лило и Стич". **12.20** Лидия Смирнова в комедии **"ДАЧА". 14.00** Док. фильм "Девушка из страны глухих". **14.30** "Угадай мелодию" **15.20** Валерий Николаев в боевике **"РОДИНА ЖДЕТ". 16.20** "Пять вечеров". **17.30** Док. детектив "Опасен при задержании". Дело 2004 года**. 19.10 Футбол.** Отборочный матч чемпионата мира. **Сборная Эстонии - сборная России**. Прямой эфир из Эстонии**. 21.00** Время**. 22.40** Тайны века. "Щелоков. Плата за власть". **23.30** Ночное "Время". **23.50** Теория невероятности. "Диета звезд". **00.30** Сканер. "Экскурсия для президентов". **01.00** Мэл Брукс в комедии **"НЕМОЕ КИНО".** Кинорежиссер Мел Фанн давно вынашивал идею снять немую комедию. Замысел грандиозный: из всех достижений техники используется только цвет. Никто из приглашенных актеров-звезд не произносит в фильме ни слова! Исключение делается лишь для великого мима Марселя Марсо: он поднимает телефонную трубку и говорит лишь одно слово: "Да?". Все шутки и трюки - либо в изображении, либо в смешных титрах. Дело за малым - нужно найти продюсера, который согласится финансировать этот проект... **02.40** Гай Пирс в триллере **"ЛЮДОЕД". 04.30** Сериал **"ПРИКЛЮЧЕНИЯ ГЕРКУЛЕСА".**

### НТВ

**06.00** "Сегодня утром" **09.05** Сериал **"ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО: СЕМЕЙНЫЕ ТАЙНЫ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.15** Особо опасен! **10.50** Сериал **"СЛЕПОЙ". 11.55** Сериал **"ФАВОРСКИЙ". 13.35** Чистосердечное признание**. 14.05** Худ. фильм **"ГОСУДАРСТВЕННАЯ ГРАНИЦА".** Фильм 1-й. **"МЫ НАШ, МЫ НОВЫЙ...". 2**-я серия**. 15.35** Чрезвычайное происшествие**. 16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ". 18.35** Чрезвычайное происшествие**. 19.40** Сериал **"ФАВОРСКИЙ". 20.45** Сериал **"СЛЕПОЙ". 21.50** Чрезвычайное происшествие**. 22.40** Сериал **"МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ". 23.50** Чрезвычайное происшествие**. 00.15** Сериал **"ФАВОРСКИЙ". 01.20** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ". 02.20** Бильярд**. 03.15** Сериал **"СУПЕРШПИОНКИ". 04.10** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО". 04.55** Сериал **"ЛЮБОВЬ ВДОВЦА-2". 05.40** Чрезвычайное происшествие.

# The Who-ს არ ეჩქარება

არც ისე დიდი ხნის წინათ გავრცელდა ცნობა 60-იანი წლების ცნობილი როკ-ჯგუფის The Who-ს აღდგენის შესახებ. ახლახან კი გაირკვა, რომ მუსიკოსები არ ჩქარობენ და ერთობლივ კონცერტებს მოგვიანებით გამართავენ. როგორც გიტარისტმა პიტ თაუშენდმა განაცხადა, მუსიკოსებმა შეაჩერეს მუშაობა ახალ ალბომზე, რომელიც 1982 წელს გამოშვებული It's Hard-ის შემდეგ ჯგუფის პირველი სტუდიური ალბომი იქნება.

ალბომის გამოსვლა ყველაზე გვიან, ზაფხულის დასაწყისისთვის იყო გამიზნული; გადაიდო საზაფხულო კონცერტებიც; ამასობაში ჯგუფის დრამერმა ზაკ სტარკიმ იპოვა სამუშაო - იგი მომავალი წლის იანვრამდე "ოაზისის" წევრებს შეუერთდება. The Who-ს აღდგენამდე საკუთარი პროექტით დაკავდება ვოკალისტი როჯერ დოლტრიც.








# ჟურნალისტები აჯილდოებენ



ნიუ იორკში ჯაზის ჟურნალისტების ასოციაციის მეცხრე ყოველწლიური პრემიის ნომინანტები დაასახელეს. პრემია შეერთებულ შტატებში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ჯილდოდ მიიჩნევა. ყველაზე მეტი ნომინაცია - ხუთ-ხუთ კატეგორიაში, წილად ხვდა ცნობილ კონტრაბასისტსა და ბიგ-ბენდის ლიდერს დეივ ჰოლანდს, ასევე ძმებ მარსალისებს. წლის საუკეთესო ჯაზის ვოკალისტი მანდილოსანი დაიანა რივზსა და კასანდრა უილსონს შორის უნდა შეარჩიონ. წლის საუკეთესო გიტარისტის კატეგორიაში კი უპირატესობას, სავარაუდოდ, პეტ მეთენის მიანიჭებენ. დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი 14 ივნისს ნიუ იორკში გაიმართება.

# კომიკოსის უცნაურობები



ლეგენდარული ლუი დე ფიუნესის ხასიათის თავისებურებების შესახებ ფრანგი მსახიობის შვილებმა წიგნი გამოსცეს. წიგნის სახელწოდებაა "ნუ ილაპარაკებთ ბევრს ჩემს შესახებ, ბავშვებო" და უკვე გამოჩნდა პარიზის წიგნის მაღაზიების თაროებზე.

წიგნიდან ირკვევა, რომ მსახიობი არანაკლებ ექსცენტრიკული იყო ცხოვრებაში, ვიდრე კინოში. მსახიობის თაყვანისმცემლებმა, ალბათ, არც კი იციან, რომ კომიკოსი არავითარ შემთხვევაში არ გავიდოდა სასეირნოდ ბაღში (რომელიც მის კუთვნილ ტერიტორიაზე იყო) დატენილი იარაღის გარეშე; როგორც შვილები იხსენებენ, მსახიობს ცუდი მეხსიერება ჰქონია; ლუი დე ფიუნესის კიდევ ერთი თავისებურება მუდმივ პარტნიორებთან და გადამღებ ჯგუფთან მუშაობის სურვილი იყო; ამიტომაც მის თითქმის ყველა ფილმში ერთი და იგივე სახეები ჩნდებიან. ეს ყველაფერი არაფერია იმასთან შედარებით, რისი გამხელაც მსახიობის შვილებმა ისურვეს ამ წიგნში. პატრიკ და ოლივიე დე ფიუნესებთან ერთად წიგნზე კონსულტანტის სტატუსით იმუშავა მსახიობის მეუღლემ ჟანამ.





# იყიდება

ურეკში კაფე-ბარი სასტუმრო „მთის ბროლის" პირდაპირ, 350 კვ.მ, მუშა მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით.

ტელ: 899 16 28 67 , ამირანი






# ბრიუს ლი - საუკუნის ვარსკვლავი




ჰონკონგში ჩინური კინემატოგრაფის ასი წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიაზე ბრიუს ლი "საუკუნის ვარსკვლავად" დასახელდა; ჯილდო კი მსახიობის ქალიშვილს - შენონს გადაეცა.

ლეგენდარული მსახიობი და საბრძოლო ხელოვნების ოსტატი 1973 წელს გარდაიცვალა (32 წლის ასაკში; სიკვდილის გარემოებები დღემდე გაურკვეველია). წარსულში ჰონკონგის ხელისუფლება ბრიუს ლის კრიტიკულად ეკიდებოდა და მიიჩნევდა, რომ ეს ცუდ გავლენას ახდენს ახალგაზრდებზე.

ჰონკონგელი მოსწავლეების გამოკითხვით, ბრიუს ლი პოპულარობით უსწრებს მსახიობ ჯეკი ჩანსა და ფეხბურთელ დევიდ ბექჰემს.





თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.